



საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო  
შესრულების  
წლიური ანგარიში

ბიუჯეტის

თბილისი

2010

თავი I

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	2009 წლის დამტკიცებული გეგმა	2009 წლის დაზუსტებული გეგმა	2009 წლის ფაქტი
<b>შემოსავლები</b>	<b>4,945,645.4</b>	<b>4,945,645.4</b>	<b>4,916,960.1</b>
გადასახადები	4,139,200.0	4,139,200.0	4,161,738.6
გრანტები	463,167.9	463,167.9	387,677.6
სხვა შემოსავლები	343,277.5	343,277.5	367,543.9
<b>ხარჯები</b>	<b>5,476,248.1</b>	<b>5,468,219.9</b>	<b>5,367,210.0</b>
შრომის ანაზღაურება	948,868.1	943,253.8	941,632.4
საქონელი და მომსახურება	877,600.6	896,660.7	879,897.5
პროცენტი	173,397.7	169,192.7	167,177.3
სუბსიდიები	502,463.5	498,691.1	447,327.9
გრანტები	825,201.0	865,506.2	861,218.8
სოციალური უზრუნველყოფა	1,417,365.8	1,424,352.5	1,419,901.8
სხვა ხარჯები	731,351.4	670,562.9	650,054.3
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>-530,602.7</b>	<b>-522,574.5</b>	<b>-450,249.9</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>768,745.1</b>	<b>799,554.8</b>	<b>746,716.1</b>
ზრდა	936,745.1	967,554.8	907,058.4
კლება	168,000.0	168,000.0	160,342.3
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-1,299,347.8</b>	<b>-1,322,129.3</b>	<b>-1,196,966.0</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-543,631.4</b>	<b>-546,126.4</b>	<b>-499,557.4</b>
ზრდა	169,675.4	167,180.4	130,842.8
ვალუტა და დეპოზიტები			
სესხები	156,475.4	146,825.4	110,642.8
აქციები და სხვა კაპიტალი	13,200.0	20,355.0	20,200.0
კლება	713,306.8	713,306.8	630,400.2
ვალუტა და დეპოზიტები	491,106.8	491,106.8	402,789.1
სესხები	40,500.0	40,500.0	45,877.6
აქციები და სხვა კაპიტალი	181,700.0	181,700.0	181,732.0
სხვა დებიტორული დავალიანება	0.0	0.0	1.5
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>755,716.4</b>	<b>776,002.9</b>	<b>697,408.7</b>
ზრდა	1,129,650.6	1,129,650.6	1,046,404.2

დასახელება	2009 წლის დამტკიცებული გეგმა	2009 წლის დაზუსტებული გეგმა	2009 წლის ფაქტი
საგარეო	869,650.6	869,650.6	786,896.8
სესხები	869,650.6	869,650.6	786,896.8
საშინაო	260,000.0	260,000.0	259,507.4
ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა	260,000.0	260,000.0	259,507.4
<b>კლება</b>	<b>373,934.2</b>	<b>353,647.7</b>	<b>348,995.5</b>
საგარეო	116,458.8	117,058.8	115,880.2
სესხები	116,458.8	117,058.8	115,880.2
საშინაო	257,475.4	236,588.9	233,115.3
სხვა კრედიტორული დავალიანება	257,475.4	236,588.9	233,115.3
ბალანსი	0.0	0.0	0.0

შენიშვნა: ვალუტა და დეპოზიტების კლებაში გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და საზაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

ათას ლარებში			
დასახელება	2009 წლის დამტკიცებული გეგმა	2009 წლის დაზუსტებული გეგმა	2009 წლის ფაქტი
შემოსულობები	6,465,496.0	6,465,496.0	6,362,461.2
<b>შემოსავლები</b>	<b>4,945,645.4</b>	<b>4,945,645.4</b>	<b>4,916,960.1</b>
არაფინანსური აქტივების კლება	168,000.0	168,000.0	160,342.3
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	222,200.0	222,200.0	238,754.6
ვალდებულებების ზრდა	1,129,650.6	1,129,650.6	1,046,404.2
გადასახდლები	6,956,602.8	6,956,602.8	6,754,106.8
<b>ზარგები</b>	<b>5,476,248.1</b>	<b>5,468,219.9</b>	<b>5,367,210.0</b>
არაფინანსური აქტივების ზრდა	936,745.1	967,554.8	907,058.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	169,675.4	167,180.4	130,842.8
ვალდებულებების კლება	373,934.2	353,647.7	348,995.5
ნაშთის ცვლილება	-491,106.8	-491,106.8	-391,645.6

შენიშვნა: ფინანსური აქტივების კლებაში (ნაშთის გამოკლებით) გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და საზაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

## საქართველოს 2009 წლის შემოსავლები, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება

### 2009 წლის ეკონომიკური განვითარების ტენდეციები

#### 1.1. ეკონომიკური ზრდა

2009 წლის საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენა იქონია მსოფლიო ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა. კრიზისის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა კრიზისის გავლენა.

ბუნებრივია, რომ ვერ მოხდებოდა კრიზისის თავიდან არიდება და წინა წელთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 3.9%-ით შემცირდა. ნომინალურ გამოხატულებაში მშპ-მა 17.9 მლრდი ლარი შეადგინა.

2009 წელს მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში. ვაჭრობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 17.8%-ით, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების დარგში - 11.4%-ით, სასტუმროების და რესტორნების დარგში - 6.9%-ით, სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება 5.7%-ით, მშენებლობაში - 5.5%-ით, ხოლო მრეწველობაში 3.9%-ით შემცირდა (ცხრილი 1).

მშპ-ს კლებაზე ეკონომიკის დარგებმა სხვადასხვა გავლენა იქონია. კერძოდ: ვაჭრობის 17.8 პროცენტით კლების გამო მშპ 2.5 %-ით შემცირდა, მრეწველობის გავლენა -0.47%-ია, სოფლის მეურნეობის -0.46%, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწვევის -0.46%.

კრიზისის მიუხედავად, ცალკეული დარგები 2009 წელს ზრდის ტემპით ხასიათებოდა. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვა 7.6%-ით გაიზარდა, განათლება - 3.2%-ით, საფინანსო საქმიანობა - 1.5%-ით და ტრანსპორტი - 1.2%-ით.

2009 წელს 2008 წელთან შედარებით მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურაში ვაჭრობის წილი 1.7%-ით შემცირდა და 12.4% შეადგინა, ხოლო მრეწველობამ მშპ-ის 10.5% და სოფლის მეურნეობის წილმა შესაბამისად 8.3% (ცხრილი 2).

**ცალკეულ დარგში შექმნილი დამატებული  
ღირებულების ზრდის ტემპი**

ცხრილი №1

	2007	2008	2009
	რეალური ზრდის ტემპი (%)		
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	3.3	-4.4	-5.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა	19.9	16.7	9.3
გადამამუშავებელი მრეწველობა	11.5	-1.5	-8.4
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	6.8	3.7	5.9
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	28.1	-4.5	-2.0
მშენებლობა	14.6	-11.1	-5.5
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	9.6	11.8	-17.8
სასტუმროები და რესტორნები	11.4	4.9	-6.9
ტრანსპორტი	11.9	-9.5	1.2
კაპშირგაბმულობა	8.7	15.8	-0.3
საფინანსო საქმიანობა	15.3	4.3	1.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	23.1	2.4	-2.8
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	5.4	3.2	2.8
სახელმწიფო მმართველობა	15.9	9.9	1.2
განათლება	9.5	13.1	3.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	10.4	6.8	7.6
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	24.0	1.6	-11.6

შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	7.5	5.8	2.9
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	42.5	26.3	-1.0

**მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა  
დამატებული ღირებულების მიხედვით**

ცხრილი №2

(პროცენტი ჯამის მიმართ)


	2007	2008	2009
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	9.2	8.1	8.3
მრეწველობა	11.5	10.9	10.5
პროდუქტების გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	2.7	2.4	2.7
მშენებლობა	6.7	5.6	5.3
ვაჭრობა	12.8	14.1	12.4
სასტუმროები და რესტორნები	2.1	2.1	2.0
ტრანსპორტი	7.2	6.1	6.6
კავშირგაბმულობა	3.1	3.4	3.7
საფინანსო საქმიანობა	2.2	2.3	2.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, კვლევები, კომერციული საქმიანობა	3.4	3.5	3.5
სახელმწიფო მმართველობა	12.8	14.9	13.7
განათლება	3.2	3.5	4.2

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	4.1	4.4	5.6
სხვა დარგები	5.0	5.3	5.4
წმინდა არაპირდაპირი გადასასადები	14.0	13.4	13.6
მთლიანი შიდა პროდუქტი	100.0	100.0	100.0

## 1.2. ფასები და ინფლაცია

2009 წლის დეკემბერში, 2008 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 3.0%-ით გაიზარდა. საშუალო წლიურმა ინფლაციამ კი 1.7% შეადგინა (ნახ. 1)

ნახ. 1. სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასების ინდექსების დინამიკა  
2009 წელს (2008 წლის დეკემბერი=100)



2009 წლის დეკემბერში 2008 წლის დეკემბერთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასები 0.4%-ით შემცირდა. მრეწველობის ცალკეული სფეროების მიხედვით ფასების ცვლილება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. სამთომომპოვებელ მრეწველობაში ფასების ღონე 18.9%-ით გაიზარდა, გადამამუშავებელ მრეწველობაში 5.9%-ით შემცირდა, ხოლო ელექტროენერჯის, აირის და წყლის წარმოებისა და განაწილების სფეროში ფასები არ შეცვლილა.


### 1.3. ვალუტის კურსი

2009 წლის მანძილზე ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა (ნახ. 2). 2009 წლის ბოლოს ლარის კურსმა 1.686 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე, რაც 1.1%-ით მეტია 2008 წლის ბოლოსათვის არსებულ მაჩვენებელზე. ლარის საშუალო თვიური კურსი კი 1.4%-ით გაუფასურდა და 2009 წლის დეკემბერში 1.679 ლარი/აშშ დოლარის ღონეზე დაფიქსირდა. რაც შეეხება ლარის საშუალო წლიურ კურსს, 2009 წელს 2008 წელთან შედარებით იგი 12.1%-ით გაუფასურდა და 1.67 ლარი/აშშ დოლარს გაუტოლდა.

2009 წლის ბოლოს წინა წლის ბოლოსთან შედარებით, ლარის კურსი ევროს მიმართ 2.3%-ით გაუფასურდა და 2.420 ლარი შეადგინა ერთ ევროზე. ლარის საშუალო თვიური კურსი კი 10.1%-ით გაუფასურდა და 2009 წლის დეკემბერში 2.459 ლარი/ევროს ღონეზე დაფიქსირდა. რაც შეეხება ლარის საშუალო წლიურ კურსს, იგი 6.4%-ით გაუფასურდა და 2.33 ლარს გაუტოლდა ერთ ევროზე.




ნახ. 2. ლარის საშუალო თვიური ნომინალური სავალუტო კურსის ინდექსის დინამიკა 2009 წელს (2008 წლის დეკემბერი=100)



#### 1.4. მონეტარული მაჩვენებლები

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლის ბოლოს 2008 წლის ბოლოსთან შედარებით სარეზერვო ფულის მასა 12.8%-ით გაიზარდა და 1 851.5 მლნ ლარს გაუტოლდა. ამავე დროს 3 ფართო ფულის აგრეგატის მოცულობამ 4 656.8 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, რაც 8.2%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში 2 ფულის მასა 14.9%-ით გაიზარდა და 2 139.5 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა (ნახ. 3).

ნახ.3. ინფლაციის, 2 და 3 ფულის ინდექსების დინამიკა 2009 წელს (2008წ დეკემბერი=100)



გასული წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 3.1%-ით, ხოლო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 16.7%-ით გაიზარდა. შესაბამისად იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. წინა წელთან შედარებით 3-ის მულტიპლიკატორი 0.11 პუნქტით შემცირდა და 2.52 გაუტოლდა, 2-ის მულტიპლიკატორი კი 0.02 პუნქტით გაიზარდა და 1.16 შეადგინა.

2009 წელს, წინა წელთან შედარებით, 2.35%-ული პუნქტით შემცირდა დოლარიზაციის კოეფიციენტი და 73.5%-ს გაუტოლდა. შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა ფულის მიმოქცევის სიჩქარეც. აღნიშნული მაჩვენებელი 3 ფულის აგრეგატის მიხედვით 0.8 ერთეულით შემცირდა და 3.6 შეადგინა. 2-თვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 7.9 გაუტოლდა, რაც 2.3 ერთეულით ნაკლებია 2008 წლის შესაბამის მნიშვნელობაზე.

2009 წელს 2008 წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.2%-ული პუნქტით გაიზარდა და 24.2%-ს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში კი სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 0.3%-ული პუნქტით მოიმატა და 21.3% შეადგინა.

რაც შეეხება საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში აღნიშნული მაჩვენებელი 0.4%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 0.8%-ული პუნქტით მოიმატა და შესაბამისად 10.8% და 9.7% შეადგინა.

### 1.5. საგარეო სექტორი

2009 წელს 2008 წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო შემცირდა და 1 274.3 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მშპ-ის მიმართ მისმა

ფარდობითმა მაჩვენებელმა 11.9 პროცენტი შეადგინა, რაც 10.9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2008 წლის ანალოგიურ სიდიდეზე.

2009 წელს, წინა წელთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 29.3%-ით შემცირდა. აქედან, საქონლის ექსპორტი 24.1%-ით, ხოლო საქონლის იმპორტი კი 30.6%-ით შემცირდა. 19.2%-დან 20.6%-იამდე გაიზარდა ექსპორტის წილი საქონელბრუნვის მოცულობაში, 23.7%-დან 25.9%-მდე კი იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი, 2009 წლის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 18.4%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი (9.9%), უკრაინა (9.1%), გერმანია (5.9%) და ა.შ.

ექსპორტში 19.9%-ით პირველ ადგილზე თურქეთია, მეორეზე აზერბაიჯანი 14.7%-ით, მესამეზე კანადა 10.3%-ით, მეოთხეზე სომხეთი 7.8%-ით და მეხუთეზე უკრაინა 7.4%-ით.

იმპორტში პირველი ადგილი 18.0%-ით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან უკრაინა (9.6%), აზერბაიჯანი (8.6%), გერმანია (6.9%), რუსეთი (6.6%) და ა.შ.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, ამ მიმართულებითაც გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 11.5%-ით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან ნახევრადდამუშავებული ოქრო (10.2%), მსუბუქი ავტომობილები (6.9%), თხილი და სხვა კაკალი (6.2%), შავი ლითონების ჯართი (5.6%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (5.5%) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე 12.7%-ით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (5.8%), სამკურნალო საშუალებები (4.0%), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (ბუნებრივი აირები) (3.5%) და ა.შ.

## 2.1. 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)


2009 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებზე გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკურმა განვითარებამ, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებამ (საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება) და სხვა ფაქტორებმა.

გადასახადების სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 4 388.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 348.8 მლნ ლარი) 101%-ია. გასულ წელთან

შედარებით გადასახადების მოცულობა 7.7%-ით შემცირდა, მშპ-ს მიმართ მისი წილი 24.5%-ია. გადასახადების წილმა შემოსავლების 83.4% შეადგინა.


საგადასახადო შემოსავლებზე გავლენა იქონია 2009 წელს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა. 2009 წლის პირველი იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის ძირითადი განაკვეთი 25%-დან 20%-მდე შემცირდა. ასევე შემცირდა პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის განაკვეთიც. საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების შედეგად საგადასახადო შემოსავლები დაახლოებით 300.0 მლნ ლარით შემცირდა, რაც კრიზისის ფონზე ეკონომიკის დამატებით სტიმულს წარმოადგენდა. კერძო სექტორის სასარგებლოდ სახელმწიფომ უარი თქვა საგადასახადო შემოსავლებზე, რომელიც მშპ-ის დაახლოებით 1.7 პროცენტია.

გადასახადების უფრო სრულყოფილი ანალიზის მიზნით, საჭიროა განხილულ იქნას ცალკეული გადასახადის მობილიზებაში არსებული მდგომარეობა. ქვემოთ მოცემულია ნაერთი ბიუჯეტის სტრუქტურა 2009 წელს, რაც ნათელ სურათს იძლევა გადასახადებში ცალკეული გადასახადის წილის შესახებ (ნახ. 1).



საშემოსავლო გადასახადის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 1 118.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 114.3 მლნ ლარი) 100%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 6.2%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 13.7%-ით შემცირდა. გადასახადებში საშემოსავლო გადასახადის წილი 25.5%-ს შეადგენს. საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულ თანხებზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გავლენა იქონია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირებამ.

მოგების გადასახადის სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 517.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (520.6 მლნ ლარი) 99%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 12.6%-ით შემცირდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.9%-ია. გადასახადებში მოგების გადასახადის წილი 11.8%-ია (ნახ. 1, 2).




დამატებული ღირებულების გადასახადის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 2 051.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 034.3 მლნ ლარი) 101%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 0.8%-ით შემცირდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 11.4%-ია. გადასახადებში დამატებული ღირებულების გადასახადის წილი 46.7%-ს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების სახით მობილიზებულ იქნა 825.3 მლნ ლარი, რომელიც საპროგნოზო მაჩვენებლის (819.4 მლნ ლარი) 101%-ია და რაც წინა წელთან შედარებით 11.8%-ით მეტია.

– საბაჟო ორგანოების სახით მობილიზებულ იქნა 1 226.4 მლნ ლარი, რომელიც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 214.9 მლნ ლარი) 101%-ია და რაც წინა წელთან შედარებით 7.8%-ით ნაკლებია (ნახ. 1, 3).

ნახ. 3




აქციზის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 443.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (446.4 მლნ ლარი) 99%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 14.5%-ით შემცირდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.5%-ია. გადასახადებში აქციზის წილი 10.1%-ს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების სახით მიღებულ იქნა 114.3 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (113.3 მლნ ლარი) 101%. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 6.6%-ით შემცირდა.


– საბაჟო ორგანოების სახით მობილიზებულ იქნა 329.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (333.1 მლნ ლარი) 99%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 17%-ით შემცირდა (ნახ. 1, 4). 2009 წელს საბაჟო ორგანოების სახით მიღებულ აქციზზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამო, მსუბუქი ავტომობილების იმპორტის მკვეთრმა შემცირებამ.

ნახ. 4



საბაჟო გადასახადის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 35.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35.0 მლნ ლარი) 103%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.2%-ია. გადასახადებში საბაჟო გადასახადის წილი 0.8%-ს შეადგენს (ნახ. 1, 5). უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს საბაჟო გადასახადის სახით მიღებულ შემოსავლებზე გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ 2008 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა შეთანხმება საქართველო-თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

ნახ. 5



ქონების გადასახადის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 160.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (143.0 მლნ ლარი) 112%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 21.6%-ით გაიზარდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.9%-ია. გადასახადებში ქონების გადასახადის წილი 3.7%-ს შეადგენს (ცხრილი 1, ნახ. 1).

საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში 2009 წელს საგადასახადო ორგანოების საგადასახადო შემოსავლის სახით მობილიზებულ იქნა 2 788.4 მლნ ლარი. საპროგნოზო მაჩვენებლის (2 757.4 მლნ ლარი) 101%.

საბაჟო ორგანოების საგადასახადო შემოსავლის სახით მობილიზებულ იქნა 1 600.5 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (1 591.4 მლნ ლარი) 101% (ცხრილი 1).

### 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ცხრილი 1

მლნ ლარი

დასახელება	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტიური მაჩვენებლები	პროცენტულად საპროგნოზო მაჩვენებლებთან	პროცენტულად წინა წელთან	პროცენტულად მშპ-სთან
<b>გადასახადები</b>	4,348.8	4,388.9	100.9	92.3	24.5
<b>საშემოსავლო გადასახადი</b>	1,114.3	1,118.9	100.4	86.3	6.2
<b>მოგების გადასახადი</b>	520.6	517.7	99.4	87.4	2.9
<b>დამატებული ღირებულების გადასახადი</b>	2,034.3	2,051.7	100.9	99.2	11.4
მათ შორის:					



საგადასახადო ორგანო	819.4	825.3	100.7	111.8	4.6
საბაჟო ორგანო	1,214.9	1,226.4	100.9	92.2	6.8
<b>აქციზი</b>	<b>446.4</b>	<b>443.2</b>	<b>99.3</b>	<b>85.5</b>	<b>2.5</b>
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	113.3	114.3	100.9	93.4	0.6
საბაჟო ორგანო	333.1	329.0	98.8	83.0	1.8
<b>საბაჟო გადასახადი</b>	<b>35.0</b>	<b>35.9</b>	<b>102.6</b>	<b>69.2</b>	<b>0.2</b>
<b>ქონების გადასახადი</b>	<b>143.0</b>	<b>160.4</b>	<b>112.2</b>	<b>121.6</b>	<b>0.9</b>
<b>სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი</b>	<b>55.2</b>	<b>61.0</b>	<b>110.5</b>	<b>65.6</b>	<b>0.3</b>
საგადასახადო ორგანოებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავალი	2,757.4	2,788.4	101.1	94.0	15.5
საბაჟო ორგანოებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავალი	1,591.4	1,600.5	100.6	89.5	8.9

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

გრანტების სახით მობილიზებულია 388.6 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (463.2 მლნ ლარი) 84%. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.2%-ია. საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით ნაკლები თანხების მობილიზება ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საინვესტიციო გრანტების ფარგლებში ზოგიერთი პროექტის დასრულების ვადა გადაიწია 2010 წელს. აგრეთვე, ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების ნაწილი 2009 წლის დეკემბრის ნაცვლად, ჩამოირიცხა 2010 წლის იანვარში.

სხვა შემოსავლების სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 487.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (453.8 მლნ ლარი) 107%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.7%-ია. სხვა შემოსავლების წილი შემოსავლებში 9.3%-ს შეადგენს.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 211.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (214.4 მლნ. ლარი) 98.6%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 1.2%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 244.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (239.4 მლნ. ლარი) 102.3%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 1.4%-ია.

## 2.2. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

გადასახადების სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 4 161.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 139.2 მლნ ლარი) 101%-ია. გასულ წელთან შედარებით გადასახადების მოცულობა 8.4%-ით შემცირდა, მშპ-ს მიმართ მისი წილი 23.2%-ია, გადასახადების წილმა შემოსავლების 84.6% შეადგინა, მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 1 053.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 048.8 მლნ ლარი) 100%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 5.6%-ია. გადასახადებში საშემოსავლო გადასახადის წილი 25.3%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 517.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (520.6 მლნ ლარი) 99%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 12.6%-ით გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.9%-ია. მოგების გადასახადის წილი გადასახადებში კი 12.4%-ია.

ღამატებული ღირებულების გადასახადის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 2 051.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 034.3 მლნ ლარი) 101%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 0.8%-ით შემცირდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 11.4%-ია. გადასახადებში ღამატებული ღირებულების გადასახადის წილი 49.3%-ს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 825.3 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (819.4 მლნ ლარი) 101%, რაც წინა წელთან შედარებით 11.8%-ით მეტია.

– საბაჟო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 1 226.4 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (1 214.9 მლნ ლარი) 101%, რაც წინა წელთან შედარებით 7.8%-ით ნაკლებია.

აქციზის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 443.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (446.4 მლნ ლარი) 99%-ია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 14.5%-ით შემცირდა. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.5%-ია. გადასახადებში აქციზის წილი 10.7%-ს შეადგენს.

– საგადასახადო ორგანოების ხაზით მიღებული იქნა 114.3 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (113.3 მლნ ლარი) 101%. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 6.6%-ით შემცირდა.

– საბაჟო ორგანოების ხაზით მობილიზებულ იქნა 329.0 მლნ ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (333.1 მლნ ლარი) 99%. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 17.0%-ით შემცირდა.

საბაჟო გადასახადის სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 35.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35.0 მლნ ლარი) 103%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 0.2%-ია. გადასახადებში საბაჟო გადასახადის წილი 0.9%-ს შეადგენს.

### 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ცხრილი 2  
მლნ ლარი

დასახელება	საპროგნოზო მაჩვენებლები	ფაქტიური მაჩვენებლები	პროცენტულობად საპროგნოზო მაჩვენებლებთან	პროცენტულობად ფოსტალური წინა წელიწადთან	პროცენტულობად მშპ-თან
<b>გადასახადები</b>	4,139.2	4,161.7	100.5	91.6	23.2
<b>საშემოსავლო გადასახადი</b>	1,048.8	1,053.2	100.4	86.5	5.6
<b>მოგების გადასახადი</b>	520.6	517.7	99.4	87.4	2.9
<b>დამატებული ღირებულების გადასახადი</b>	2,034.3	2,051.7	100.9	99.2	11.4
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	819.4	825.3	100.7	111.8	4.6
საბაჟო ორგანო	1,214.9	1,226.4	100.9	92.2	6.8
<b>აქციზი</b>	446.4	443.2	99.3	85.5	2.5
მათ შორის:					
საგადასახადო ორგანო	113.3	114.3	100.9	93.4	0.6
საბაჟო ორგანო	333.1	329.0	98.8	83.0	1.3
<b>საბაჟო გადასახადი</b>	35.0	35.9	102.6	69.2	0.2
<b>სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი</b>	54.1	60.0	110.8	65.3	0.3
<b>საგადასახადო ორგანოებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავალი</b>	2,547.8	2,561.2	100.5	93.0	14.3
<b>საბაჟო ორგანოებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავალი</b>	1,591.4	1,600.5	100.6	89.5	8.9

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

გრანტების სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 387.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (463.2 მლნ ლარი) 84%-ია. მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.2%-ია.

სხვა შემოსავლების სახით 2009 წელს მობილიზებულ იქნა 367.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (343.3 მლნ ლარი) 107%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.0%-ია. სხვა შემოსავლების წილი შემოსავლებში 7.5%-ს შეადგენს, მათ შორის (ცხრილი 3)

**საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

ცხრილი 3  
მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი		
	გეგმა	ფაქტი	%
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>343.3</b>	<b>367.5</b>	<b>107.1</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	149.4	162.8	109.0
პროცენტები	19.2	22.4	116.3
დივიდენდები	98.7	100.3	101.6
რენტა	31.5	40.2	127.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	94.5	99.4	105.3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	85.9	90.1	104.9
საბაჟო მოსაკრებელი	20.5	21.2	103.3
სალიცენზიო მოსაკრებლები	3.9	3.9	100.7
სანებართვო მოსაკრებლები	27.0	29.2	108.1
სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები	0.03	0.03	100.0
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	4.0	4.0	99.8
სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი	0.01	0.01	110.0
სახელმწიფო ბაჟი	26.5	27.4	103.4
საკონსულო მოსაკრებელი	2.9	3.1	107.7
სატენდერო მოსაკრებელი	0.7	0.8	118.9
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.3	0.3	108.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.1	0.1	133.6
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და</b>	<b>8.6</b>	<b>9.4</b>	<b>108.9</b>

მომსახურება			
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	5.2	5.5	105.2
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	3.4	3.9	114.6
<b>სანქციები (ჯარიმები და საურავები)</b>	<b>75.0</b>	<b>80.3</b>	<b>107.1</b>
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	8.3	8.7	104.9
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>16.1</b>	<b>16.3</b>	<b>101.2</b>

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 162.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (149.4 მლნ ლარი) 109%-ია. აქედან,

- პროცენტები – 22.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19.2 მლნ ლარი) 116%-ია.

- დივიდენდები – 100.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (98.7 მლნ ლარი) 102%-ია.

- რენტა – 40.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (31.5 მლნ ლარი) 128%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 99.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (94.5 მლნ ლარი) 105%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 90.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (85.9 მლნ ლარი) 105%-ია, მათ შორის:

- საბაჟო მოსაკრებელი – 21.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20.5 მლნ ლარი) 103%-ია;

- სალიცენზიო მოსაკრებელი – 3.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3.9 მლნ ლარი) 101%-ია;

- სანებართვო მოსაკრებელი – 25.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.6 მლნ ლარი) 101%-ია;

- სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი – 0.03 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.03 მლნ ლარი) 100%-ია;

- სარეგისტრაციო მოსაკრებელი – 4.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.0 მლნ ლარი) 100%-ია;

- სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი – 0.01 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 110%-ია;

- სახელმწიფო ბაჟი – 27.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26.5 მლნ ლარი) 103%-ია;

- საკონსულო მოსაკრებელი – 3.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2.9 მლნ ლარი) 108%-ია;

- სატენდერო მოსაკრებელი – 0.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.7 მლნ ლარი) 119%-ია;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 0.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.3 მლნ ლარი) 108%-ია.

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 9.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8.6 მლნ ლარი) 109%-ია, მათ შორის:

- საქონლის რეალიზაციიდან – 5.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5.2 მლნ ლარი) 105%-ია;

- მომსახურების გაწევიდან – 3.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3.4 მლნ ლარი) 115%-ია;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 80.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (75.0 მლნ ლარი) 107%-ია.

ნებაყოფლობითი ტრანსფერებიდან, გრანტების გარდა, მობილიზებულია 8.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8.3 მლნ ლარი) 105%-ია.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 16.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16.1 მლნ ლარი) 101%-ია.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 160.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (168.0 მლნ. ლარი) 95%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 0.9%-ია. არაფინანსური აქტივების წილი სულ შემოსულობებში 3.0%-ს შეადგენს.


ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 227.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (222.2 მლნ. ლარი) 102%-ია. მშპ-ს მიმართ მისი წილი 1.3%-ია. ფინანსური აქტივების წილი სულ შემოსულობებში 4.3%-ს შეადგენს.

ამას გარდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 288.5 ათასი ლარი, რომელიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.

### თავი III სახელმწიფო ბიუჯეტის ასივნებები

2009 წლის განმავლობაში ორჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში, ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ასივნებები გაიზარდა 100 214.6 ათასი ლარით და განისაზღვრა 6 956 602.8 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 6 754 106.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.1 %-ია.

საქართველოს 2008-2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების  
გეგმიური და საკასო მაჩვენებლები  
(ათას ლარებში)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 5 476 248.1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ხარჯების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 468 219.9 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 99.9%-ია, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 367 210.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.2%-ია.

#### **სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა**

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 936 745.1 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 967 554.8 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 103.3%-ია, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 907 058.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.7%-ია.


#### **სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა**

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 169 675.4 ათასი ლარით. ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 167 180.4 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 98.5%-ია, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 130 842.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78.3%-ია.

#### **სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება**

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 373 934.2 ათასი ლარით. ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 353 647.7 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 94.6%-ია, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 348 995.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.7%-ია.





ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებების მიერ გატარებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში საარსებო შემწეობის ოდენობა სოციალურად დაუცველი ოჯახის მეორე და ყოველ მომდევნო წევრზე 12 ლარიდან გაიზარდა 24 ლარამდე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიიმართა 159.9 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო პენსიების ზოგიერთი კატეგორიის ზრდა, კერძოდ, საპენსიო ასაკით დანიშნული სახელმწიფო პენსია (652.8 ათასი ბენეფიციარი) 2009 წლის 1 იანვრიდან 70 ლარიდან გაიზარდა 75 ლარამდე, ხოლო 1 ნოემბრიდან 80 ლარამდე. ასევე გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიები, მათ შორის, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია (29 ათასზე მეტი ბენეფიციარი) 65 ლარიდან გაიზარდა 80 ლარამდე, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (გარდა მკვეთრად გამოხატულისა) პირთა პენსია (110 ათასზე მეტი ბენეფიციარი) 65-დან 70 ლარამდე. სახელმწიფო პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური

სტიპენდიების დასაფინანსებლად 2009 წლის განმავლობაში მიიმართა 866.1 მლნ ლარი;

- სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის ხორციელდებოდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. აღნიშნულ პირთა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 83.3 ათასამდე პირი და სულ ამ მიზნით მიიმართა 22.0 მლნ ლარი;

- ლტოლვილთა და დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შემწვობებით უზრუნველყოფილ იქნა 217.3 ათასამდე ბენეფიციარი, რომლის დაფინანსებამ შეადგინა 64.9 მლნ ლარი;

- ქვეყნის მასშტაბით, ხორციელდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის დაზღვევა, კერძოდ: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაზღვეულთა რაოდენობამ მოიცვა 914.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი; საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლებს, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით 82,9 ათასზე მეტ ბენეფიციარს გადაეცა სადაზღვევო ვაუჩერი; სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობდნენ სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 145.6 მლნ ლარი;

- საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით 2009 წელს დაიწყო ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დაზღვეულ იქნა 124.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ახორციელებდა 70%-იან თანადაფინანსებას, რაზედაც მიიმართა 5.6 მლნ ლარი;

- ზემოაღნიშნულის გარდა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული საქართველოს შინგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ყველა თანამშრომელი, რაზედაც მიმართულ იქნა 10.0 მლნ ლარი;

- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქ. გორში აშენდა და შესაბამისი საოჯახო ინვენტარით აღიჭურვა 300 საცხოვრებელი სახლი, რომლის დაფინანსებამაც შეადგინა 16.9 მლნ ლარი;

- 2008 წელს რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებულ 700 ოჯახზე, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებელ სახლებზე, გაიცა კომპენსაციები თითოეულზე 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, რაზედაც მიმართულ იქნა 11.7 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში დასაქმდნენ რუსული სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები. ისინი შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამსახურებში ვაკანტურ თანამდებობებზე დაინიშნენ;

- 2009 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ვაუჩერული დაფინანსება, რის შედეგადაც ორჯერ განხორციელდა მასწავლებელთა საბაზისო ხელფასის ზრდა, კერძოდ 1 იანვრიდან გაიზარდა 25 ლარით და შეადგინა 220 ლარი, ხოლო 1 სექტემბრიდან 245 ლარი. გარდა ამისა, დამრიგებელთა დანამატის მინიმალური ოდენობა გაიზარდა 23 ლარიდან 62 ლარამდე. მცირეკონტიგენტთან სკოლებს ვაუჩერული დაფინანსების გარდა ყოველთვიურად გამოეყოფოდათ დამატებითი თანხები. სულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად მიიმართა 300.3 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა გალის პედაგოგებზე და ადმინისტრაციულ პერსონალზე დახმარების გაცემა, ხოლო 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად დევნილ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს შეუნარჩუნდათ საომარ მოქმედებებამდე არსებული ხელფასები, რომელთა დაფინანსებამ ჯამში 4.0 მლნ ლარი შეადგინა;

- საქართველოს სტუდენტების მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლების მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსების მიზნით, პროგრამა „ცოდნის კარიდან“ მიიმართა 6.0 მლნ ლარი;

- 2009 წელს რთველის წარმატებულად განხორციელების მიზნით მიმართულ იქნა 28.8 მლნ ლარი, საიდანაც 5.5 მლნ ლარი მოხმარდა მოსახლეობის მიერ ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებზე ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურებას;

- მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრებ ოჯახებს დაურიგდა 47.1 ათას ტონამდე ამონიუმის გვარჯილა, რამაც უზრუნველყო მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლის ღონისძიებების ხარისხიანად ჩატარება, რის შედეგად

გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა. აღნიშნული ღონისძიების დაფინანსებამ შეადგინა 23.8 მლნ ლარი;

- რუსეთის აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სათესლე მასალით უზრუნველყოფის მიზნით სათესლე მასალა დაურიგდა 5 ათას ოჯახს, რაზედაც მიიმართა 455.2 ათასი ლარი;

- „ბუნებრივი გაზის სექტორში სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების“ ფარგლებში განხორციელდა სამხრეთ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ასპინძა, ახალციხის 30 - კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამ რეგიონის გაზმომარაგება და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნული ღონისძიების დასაფინანსებლად მიიმართა 15.0 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 508 დაჯილდოებულ პირზე, ამ მიზნით მიიმართა 379.2 ათასი ლარი;

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 943 253.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა – 941 632.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 17.5%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 896 660.7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 879 897.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 16.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 29 316.5 ათასი ლარი;

- მივლინებები – 23 580.2 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები – 133 429.8 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები – 9 936.2 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები – 97 277.9 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები – 4 893.6 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები – 44 775.0 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 111 227.4 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები – 168 393.7 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 257 067.2 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 169 192.7. საკასო კი შესრულებამ შეადგინა 167 177.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.1%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 498 691.1 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 447 327.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 8.3%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სახელოვნებო და სასპორტო განათლება, ხელოვნების, სპორტის განვითარება – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 45 369.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;

- პროფესიული განათლება, უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა და სამეცნიერო კვლევების პროგრამა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 44 189.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.9%-ს შეადგენს;

- საქართველოს ენერგოსისტემა – აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 3 432.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.0% შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 861 218.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (865 506.2 ათასი ლარი) 99.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 16.0%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 419 901.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური პარამეტრის (1 424 352.5 ათასი ლარი) 99.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 26.5%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:


- სახელმწიფო პენსიები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 808 406.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია;
- სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 43 673.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია;
- მონეტიზებული სოციალური შეღავათები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 21 626.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია;
- სოციალური დახმარებები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 157 916.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია;
- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 64 964.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს;
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები – აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა 286 870.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.7%-ია;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 670 562.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 650 054.3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 96.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 12.1%-ს შეადგენს.

სხვა ხარჯების მუხლიდან დაფინანსებული იქნა ძირითადად ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (მათ შორის საჯარო სკოლების მასწავლებლების დაზღვევა) - აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 318 744.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით უზრუნველყოფა – აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 23 808.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს.

(საკასო შესრულება)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2009 წლის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 576 993.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 609 619.6 ათასი ლარი) 98.0%, ხოლო მთლიანი ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 25.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 292 816.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (301 172.0 ათასი ლარი) 97.2%-ია;
- საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 35 413.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (36 844.6 ათასი ლარი) 96.1%-ია;

- ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 32 995.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (33 807.4 ათასი ლარი) 97.6%-ია;
- გამოყენებით კვლევებზე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 99.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ია;
- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 181 919.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (184 109.7 ათასი ლარი) 98.8%-ია;
- საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 1 016 429.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 035 489.4 ათასი ლარი) 98.2%;
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 17 320.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 097.3 ათასი ლარი) 95.7%-ია;

**თავდაცვის** ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 868 588.6 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 867 667.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.8%;

**საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების** სფეროში დაგეგმილ იქნა 855 730.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 853 143.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.6%; მათ შორის:

- პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 118 248.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (118 280.2 ათასი ლარი) 100.0%;
- სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 70 663.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (71 083.0 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს.
- სასჯელალსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 113 016.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (114 195.7 ათასი ლარი) 99.0%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 113.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (113.5 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 551 100.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (552 057.8 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს.

**ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმამ შეადგინა 820 956.0 ათასი ლარი; ხოლო საკასო შესრულებამ – 767 348.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12.2%. მათ შორის:



- საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 74 425.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (74 247.5 ათასი ლარი) 100.2%;
- სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 66 355.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (73 200.7 ათასი ლარი) 90.6%-ს შეადგენს.
- სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 27 603.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (28 281.0 ათასი ლარი) 97.6%-ს შეადგენს.
- სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 222.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (250.0 ათასი ლარი) 88.8%;
- ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 502 136.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (541 816.1 ათასი ლარი) 92.7%;
- ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 58 296.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (64 124.6 ათასი ლარი) 90.9%;
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში კვლევების და განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 7 837.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 271.6 ათასი ლარი) 94.7%-ს შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 30 472.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 764.7 ათასი ლარი) 99.0%-ს შეადგენს.

**გარემოს დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმამ შეადგინა 29 860.1 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ – 28 693.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ნარჩენების შეგროვების, გადამამუშავების და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 112.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (112.7 ათასი ლარი) 99.9%;
- გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 4 249.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 352.3 ათასი ლარი) 97.6%;
- ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 5 188.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 801.5 ათასი ლარი) 89.4%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 1 179.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 183.0 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 17 964.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 410.6 ათასი ლარი) 97.6%-ს შეადგენს.

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის** სფეროს დასაფინანსებლად 2009 წელს დაგეგმილი იყო 4 394.1 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ შეადგინა 2 286.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 52.0%. მათ შორის:

- კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 988.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 905.1 ათასი ლარი) 34.0%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 1 297.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 489.0 ათასი ლარი) 87.1%-ს შეადგენს.

**ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმა განისაზღვრა 365 217.4 ათასი ლარით; საკასო შესრულებამ შეადგინა 331 612.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.3%. მათ შორის:

- სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 732.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (814.5 ათასი ლარი) 90.0%;
- ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 38 348.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (39 341.1 ათასი ლარი) 97.5%-ს შეადგენს.
- საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 102 659.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (106 680.5 ათასი ლარი) 96.2%;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 50 655.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (78 546.6 ათასი ლარი) 64.5%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 427.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (428.1 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 138 789.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (139 406.6 ათასი ლარი) 99.6%-ს შეადგენს.

**დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად 2009 წელს განსაზღვრული იყო 138 171.0 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ შეადგინა 137 359.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.2%. მათ შორის:

- დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 36 762.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (37 057.6 ათასი ლარი) 99.2%;
- კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 41 545.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 042.0 ათასი ლარი) 98.8%-ს შეადგენს.
- ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 26 438.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100.0%;

- რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 25 659.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 6 952.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 972.4 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს.

**განათლების** სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის გეგმამ შეადგინა 488 104.3 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ შეადგინა 459 589.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7.3%. მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდის გეგმიურმა დაფინანსებამ შეადგინა 16.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (54.8 ათასი ლარი) 30.2%-ს შეადგენს.

- ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 331 040.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (340 980.5 ათასი ლარი) 97.1%-ს შეადგენს.

- პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 11 686.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (12 414.2 ათასი ლარი) 94.1%;

- უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 64 830.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (69 299.8 ათასი ლარი) 93.6%-ს შეადგენს.

- უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 138.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (150.2 ათასი ლარი) 92.2%-ს შეადგენს.

- განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 29 504.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (39 784.9 ათასი ლარი) 74.2%-ს შეადგენს.

- განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 22 372.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 420.0 ათასი ლარი) 88.0%-ს შეადგენს.

**სოციალური დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად 2009 წელს განსაზღვრული იყო 1 255 133.3 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ შეადგინა 1 249 573.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 19.9%. მათ შორის:


- ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 9 487.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 564.9 ათასი ლარი) 99.2%;

- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 867 599.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (867 625.2 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს.

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 204 059.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (205 703.2 ათასი ლარი) 99.2%;

- საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 19 982.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (20 313.3 ათასი ლარი) 98.4%;
- სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 93 512.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (94 663.0 ათასი ლარი) 98.8%;
- სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 54 932.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (57 263.6 ათასი ლარი) 95.9%-ს შეადგენს.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
**33 02** – „ხელოვნების განვითარების ღონისძიებების“ დამტკიცებულ გეგმასა და დაზუსტებულ გეგმას შორის სხვაობა გამოწვევლია აღნიშნულ კოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფით შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: საქართველოში 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ მეომართა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს ტერიტორიის მოწყობისა და მემორიალის შექმნა; გაზეთების „კრასტანის“ და „გურჯისტანის“ დაფინანსება; საახალწლო ღონისძიებათა ჩატარება; სსიპ ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრის ესპანეთში ნიხონის ოპერის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა, კომუნალური, სატრანსპორტო, საოფისე ფართისა და დეკორაციების შესანახი საწყობის დაქირავება; სსიპ ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატული თეატრისათვის მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამოსთან დაკავშირებული საიუბილეო საღამოს მოწყობა; სსიპ ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახ. ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ დასის; სსიპ ეროვნული მუსიკალური ცენტრს შეუფერხებელი ფუნქციონირების; ქ. ბათუმში „შავი ზღვის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის“ და ქ. თბილისში „თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის“ ჩატარების; ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში ქ. მელუას კონცერტების; ვახტანგ კიკაბიძის კონცერტის; საქველმოქმედო ფონდის „ხელოვნები თანადგომისთვის“ ფუნქციონირების, საქველმოქმედო ღონისძიებათა ჩატარებისა და სარეკლამო რგოლის დამზადების ხარჯების დაფინანსების მიზნით.

ასევე, „ხელოვნების განვითარების ღონისძიებების“ დაზუსტებული გეგმის გაზრდა გამოიწვია, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სხვა პროგრამებისა და ღონისძიებების შემცირების ხარჯზე, აღნიშნული ორგანიზაციული კოდის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ასიგნებების გადმოტანამ, კერძოდ: რუსთაველის თეატრის სპექტაკლის „ჰენრი V“ დადგმის, პარიზის სიმფონიური ორკესტრისა და ელისო ბოლქვაძის თანამონაწილეობით ეროვნული მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის საგასტროლო კონცერტის მოწყობის, ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და ჯ. კახიძის ორკესტრის სომხეთში ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობის, საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ცენტრის მიერ პროექტის „ქართული პოეზიის საღამო“ განორციელების, კულტურული

ლონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით საზეიმო კონცერტის მოწყობის, საფრანგეთში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ 2009 წლის კანის 62-ე კინოფესტივალის ბაზრობაზე ფრანგულ კომპანია „ თჰ “-თან ერთად ქართული პავილიონის მოწყობის, ეროვნული მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის სტასბურგში წმინდა პეტრეს სახელობის პროტესტანტულ ეკლესიაში ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში ორკესტრის მონაწილეობის, კინემატოგრაფიის ცენტრის მიერ ფილმის „ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“ სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების; თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში ნინო რამიშვილის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობის, ლ. ისაკაძის მონაწილეობით ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ პარიზში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტის გამართვის, კ. მარჯანიშვილის თეატრის მიერ ისრაელში დაგეგმილ 50-ე საერთაშორისო ფესტივალში „ისრაელის ფესტივალი“ მონაწილეობის, ანსამბლ „რუსთავისა“ და ეროვნული მუსიკალური ცენტრის გერმანიის კულტურის დღეებში მონაწილეობის, ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზის სარემონტო სამუშაოების, ჯ. კახიძის ორკესტრის მიერ რეგიონებში ჯანსუღ კახიძის სახელობის ფესტივალის ჩატარების, კინემატოგრაფიის ცენტრს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „მანტრაპას“ გადაღების, ფოლკლორის ცენტრის მიერ რიგი პროექტების განხორციელების, ასევე ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ „ჰამლეტის“ დადგმის, ანსამბლ რუსთავისთვის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებული წიგნის და ფოლკლორის ცენტრის მიერ 158 ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობელის კრებულის გამოცემის ხარჯების დაფინანსების მიზნით.

**33 07 01** – „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის აპარატის“ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დამტკიცებულ გეგმასა და დაზუსტებულ გეგმას შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა და საექიმო პერსონალის დაჯილდოვების მიზნით დეპარტამენტის აპარატისთვის თანხების გამოყოფით. ასევე, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სხვა პროგრამებიდან და ღონისძიებებიდან დეპარტამენტის აპარატში გადმოტანილი იქნა თანხები „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ შენობის სახურავის შეკეთების, შენობის დაცვისთვის საჭირო

ელექტრონული მოწყობილობებისა და სიგნალიზაციის სისტემის დაყენებისა და თანამშრომელთა მატერიალური წახალისების ხარჯების დაფინანსების მიზნით.

**34 11** – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ხარჯებში დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებას შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია სამინისტროს მიერ დამტკიცებულ გეგმაში განხორციელებული ცვლილებებით. კერძოდ, კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის საფასურს ანაზღაურებდა საქრთაშორისო ორგანიზაცია „ შ I ჩ ჩ შ შ“-ი, სამინისტრომ პრიორიტეტად მიიჩნია აღნიშნული ღონისძიების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ამ ორგანიზაციული კოდიდან დამატებული ღირებულების გადასახადის დაფინანსება. ამავე კოდიდან სახსრები აგრეთვე მიმართულ იქნა სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების დაფინანსებაზე. გარდა ამისა, 34 11 კოდში ასევე დაფიქსირდა დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ტენდერი, რომლისთვისაც ჯამურად გათვალისწინებული თანხა განაწილებულ იქნა 34 04 და 34 11 ორგანიზაციულ კოდებზე, თუმცა ჩატარებული ტენდერის დროს წარმოიქმნა ეკონომია და 34 11 კოდში ამ მიზნით გათვალისწინებული თანხის გახარჯვა საჭირო აღარ გახდა.

**34 12 02** – იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია მსოფლიო ბანკის მიერ ამ პროექტის ფარგლებში 2009 წლის შესყიდვების გეგმის წლის ბოლოს დამტკიცების გამო.

**35 04 02** – სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე კონტროლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის დამატებითი გამოკვლევების ჩატარებას, თუმცა წინასწარი გამოკვლევების საფუძველზე გამოვლინდა შედარებით ნაკლები რაოდენობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რომელთათვისაც აუცილებელი იქნებოდა ასეთი დამატებითი გამოკვლევის ჩატარება.

**35 04 03** – სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ

პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების სრულად ათვისება საჭირო აღარ გახდა, ვინაიდან წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები (საქართველოს მასშტაბით სამკურნალო საშუალებების შესყიდვა და ლაბორატორიული გამოკვლევა) სრულად დაფინანსდა.

**35 17 03** – დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული 30%-იანი შეუსაბამობა განაპირობა იმან, რომ წინა წელთან შედარებით საქართველოში მნიშვნელოვნად იმატა შობადობამ და შესაბამისად დეკრეტული შვებულებების დასაფინანსებლად შემოსული განცხადებების რაოდენობამ, რამაც თავის მხრივ გამოიწვია 2009 წელს პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების მნიშვნელოვნად გაზრდა.

**35 17 10** – ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული 30%-იანი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლს, სოციალურ პროგრამებს დაემატა „ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, თუმცა მასში გათვალისწინებული ასიგნებები საკმარისი არ იყო წლის ბოლომდე პროგრამით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის დასაფინანსებლად, რის გამოც საჭირო გახდა პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა.

**35 18 01 02** – სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია 191 ბენეფიციარის ხელმეორედ დაგვიანებით გადაზღვევით. კერძოდ, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 7 მაისის №118 დადგენილების საფუძველზე 2009 წლის 10 ივნისამდე დაზღვეული იყო 199 ბენეფიციარი. აღნიშნულ ბენეფიციართა ხელახალი გადაზღვევა მოხდა 2009 წლის 10 აგვისტოდან „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 ივლისის №123 დადგენილების საფუძველზე და გადაეზღვია 191 ბენეფიციარი, რამაც გამოიწვია სადაზღვევო პრემიების დასაფინანსებლად ნაკლები რაოდენობით ხარჯის გაწევა.

**35 18 02 04** – ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული 30%-იანი შეუსაბამობა მონაწილე საავადმყოფოების წარმომადგენელთა განმარტებით გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ იანვარში რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობიდან გამომდინარე,

გამოყოფილი ლიმიტები საკმარისი არ იყო წლის განმავლობაში პროგრამის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რის გამოც საჭირო გახდა პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა.

**35 18 02 07** – ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კონტრაქტორი დაწესებულებების (საავადმყოფოები) მიერ სრულად არ იქნა ათვისებული კონტრაქტით გათვალისწინებული თანხები.

**35 18 02 13 04** – სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამედიცინო დაწესებულებების მიერ არ განხორციელებულა დამტკიცებული ლიმიტების ათვისება.

**35 18 03 04** – ონკონკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული 30%-იანი შეუსაბამობა გამოწვეულია დამატებით 260,0 ათასი ამპულა მორფინის შესყიდვით, რომელიც თავის მხრივ საჭირო გახდა ტაბლეტური ტკივილგამაყუჩებლის მიწოდების დაგვიანების გამო. შესაბამისად, გაიზარდა კომპონენტის ბიუჯეტიც.

**35 18 03 10** – ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული 30%-იანი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიით მკურნალობაში ჩართულ ავადმყოფთა რიცხვი.

**35 18 04 04** – დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამედიცინო დაწესებულებების მიერ არ განხორციელებულა დამტკიცებული ლიმიტების ათვისება.

**35 18 04 05** – იმუნიზაციის კომპონენტიდან წითელა-წითურა-ყბაყურის ვაქცინის 63 000 დოზისა და ჰეპატიტის ვაქცინის 49 000 დოზის შესაძენად საჭირო გახდა კომპონენტის ასიგნების გაზრდა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ამ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული 30%-იანი სხვაობა. ამასთან, ამავე პროგრამის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოიწვია ვაქცინების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის შედეგად გამარჯვებული კომპანიების მიერ დაბალი ფასების შემოთავაზებამ, რის გამოც დაგეგმილი ასიგნებების სრულად გახარჯვა არ

განხორციელდა. ასევე, სამედიცინო დაწესებულებების მიერ არ განხორციელებულა დამტკიცებული ლიმიტების სრულად ათვისება.

**35 19 01** – სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვით, რამაც გამოიწვია დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა.

**35 19 02** – სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილის განხორციელება გადაიღო 2010 წლისათვის, რის გამოც აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ასიგნება გამოყენებულ იქნა საჭიროებისამებრ წლის განმავლობაში სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა პროგრამებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამან თავის მხრივ განაპირობა პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული 30%-იანი შეუსაბამობა. აგრეთვე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვების ნაწილი არ განხორციელდა, რის გამოც ვერ მოხერხდა პროგრამის ასიგნების მთლიანად ათვისება და შესაბამისად დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 15%-ზე მეტია.

**35 20 01 01, 35 20 01 04 და 35 20 01 05** – გლობალური ფონდის მიერ 2009 წელს პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო თანხა უნდა გადახდილიყო ავანსად, თუმცა ფონდის მიერ მსოფლიო საფინანსო კრიზისის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით გადახდა განხორციელდა ნაწილობრივ და დაგვიანებით, რამაც ზემოაღნიშნულ პროექტებში გამოიწვია დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა.

**35 20 03** – პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა ამბროლაურის რაიონში 25 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. პროგრამით გათვალისწინებული იყო კონტრაქტით განსაზღვრული წინასწარი (საავანსო) გადახდა (რაც მთლიანი კონტრაქტის 20%-ს შეადგენდა) და მოსალოდნელი შესრულებული სამუშაოების დაფინანსება. იმის გამო, რომ კონტრაქტორს წლის ბოლომდე არ წარმოუდგენია შესრულებული სამუშაოების დაფინანსებაზე მოთხოვნა, აღნიშნულმა გამოიწვია დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა.

**35 20 07** – ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტის ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოიწვია მსოფლიო ბანკის



განვითარების საერთაშორისო სააგენტოდან ( I ) სექტემბერ-დეკემბრის თვეებში თანხის გადმორიცხვის შეფერხებამ, რის გამოც შეჩერებული იყო ამ რესურსიდან თანხების გამოყენება.

**35 20 08** – პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის (ევროკავშირი) ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოიწვია შემდეგმა ფაქტორებმა: საოჯახო მედიცინაში მზადების (6 თვიანი პროგრამა) დაგვიანებით დაწყებამ – პროგრამის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებში ცვლილებების გათვალისწინებით 2009 წლის II კვარტალში დაგეგმილი მზადების დაწყება მოხერხდა მხოლოდ 2009 წლის ბოლოს; საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ცენტრებისა და ლაბორატორიების (ოზურგეთი, ფოთი, ახალციხე, ამბროლაური, ზუგდიდი) მშენებლობების განსახორციელებლად საჭირო არქიტექტურული პროექტების შემუშავება და გადაცემა უნდა განხორციელებულიყო აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის მიერ, რაც განხორციელდა დაგვიანებით და შედეგად ზემოაღნიშნული მშენებლობები გადავადდა 2010 წლისათვის.

**35 20 09** – „ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა – ფაზა II ( კ )“ ფარგლებში დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოიწვია იმან, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი გადავადდა 2010 წლისათვის.

**36 03 01** – ჰიდრო და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაციის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თბილსრესის №4 ენერგობლოკის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გამართულად ფუნქციონირებისათვის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გამოეყო დამატებითი ასიგნებები.

**36 03 03** – ელექტროენერჯითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების მოსალოდნელი ზრდის კომპენსაციის ღონისძიებების დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით ენერგეტიკის სამინისტროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო დამატებითი ასიგნებები რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად გორის, ქარელის ახალგორის და საჩხერის მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებულ ელექტროენერჯიის ღირებულების ასანაზღაურებლად, ხოლო დაზუსტებულ გეგმასა და

საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნებების ეკონომიური ხარჯვით.

**36 03 05 და 36 03 10** – ჰიდრორესურსების შესწავლის, საპროექტო და ექსპერტიზის სამუშაოების დაფინანსების ღონისძიების დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია სსიპ „ენერგოგენერაციის“ რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული ასიგნებების გადანაწილებით, ხოლო 36 03 05 კოდში დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნებების ეკონომიური ხარჯვით.

**36 04 03** – ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტში დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებში 30%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტის ფარგლებში არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო დამატებითი ასიგნებები.

**36 04 04** – რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – I პროექტის (ალავერდი) დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ საკონტრაქტო შეთანხმებაში ღონისძიების მიერ შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმადაც გაიზარდა სამუშაოების მოცულობა და ძირითადი სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა არა 2009 წლის დეკემბერი, არამედ 2010 წლის მარტი.

**36 04 09** – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შავი ზღვის ელექტროგადამცემის (500 კვ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესწავლის დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელებისათვის დაქირავებულმა კონსულტანტმა ვერ მოახერხა დაკისრებული მოვალეობის ვადებში შესრულება პროექტის საჯარო განხილვების გაჭიანურების გამო, შესაბამისად არ განხორციელდა სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხების ანაზღაურება.

**37 01 02** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამინისტროს დაგეგმილი ჰქონდა ტერიტორიული ორგანოების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, თუმცა მსოფლიო სასურსათო

პროგრამამ სამინისტროს გადმოსცა კომპიუტერული მოწყობილობები, აღნიშნულის გამო. დაზოგილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

**37 01 08** – „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“ პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია შემდეგით: 2010 წლის პროგრამით „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“ არ იქნა გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ახალი ობიექტების აღდგენა და შესაბამისად არ წარმოიქმნა მათთვის 2009 წელს საპროექტო-სახარჯთაღირციხვო დოკუმენტაციის დამუშავების აუცილებლობა; კონტრაქტორის მიერ სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შედეგად, ცალკეული სარეაბილიტაციო სამუშაოების დაუსრულებლობისა და კაზრეთის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისას წარმოშობილი პრობლემების (ადრეული ხანის სამარხების აღმოჩენა, რაიონში მოსული უხვი ნალექი, ჩატარებულ სამუშაოთა სამართლებრივად დარეგულირების საკითხი) შედეგად სახელშეკრულებო ვადების 2010 წლისათვის გადაწევის გამო.

**37 01 18** – პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება“ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განპირობებულია შემდეგით: სოფლის მეურნეობის სამინისტრო განისაზღვრა იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი არასაპროექტო გრანტის მიმღებ ორგანოდ, შესაბამისად, ტექნიკის განბაჟება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მითითებული პროგრამის ფარგლებში, სადაც გამოყოფილი ასინებები არ იყო საკმარისი ტექნიკის განბაჟებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნულის გამო გაიზარდა პროგრამის დაზუსტებული ასიგნებები. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიდი ნაწილის შემოტანა დაგეგმილი იყო 2009 წელს, თუმცა გარკვეული ობიექტური მიზეზებით 2009 წელს შემოვიდა ტექნიკის მცირე ნაწილი, ხოლო დარჩენილი ოდენობა შემოტანილ იქნა 2010 წლის დასაწყისში, რამაც განაპირობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის გადახრა.

**37 02 03** – პროგრამის „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებების“ დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ღონორი ორგანიზაციის ( -ს) მიერ წლის მეორე ნახევარში გადმოცემულ იქნა ჰუმანიტარული ვაქცინა, რის გამოც ეროვნული სამსახურის მიერ აღარ მოხდა ვაქცინაციისთვის საჭირო დამხმარე მასალების შეძენა.

**37 03 01** – სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტის“ აპარატის დაზუსტებულ გეგმას და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულ იქნა სპეციალური ჰოლოგრამის შესყიდვების შეჩერების გამო.

**37 03 02** – პროგრამის „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების“ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პროგრამაში მონაწილეობაზე სურვილი გამოთქვას მხოლოდ ორმა კომპანიამ, შესაბამისად შემცირებული იქნა პროგრამის დამტკიცებული ასიგნებები.

**37 03 05** – პროგრამის „ღვინის ლაბორატორიული კვლევა“ - დაზუსტებულ გეგმას და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საჭირო არ გახდა კომპანიების მიერ წარმოდგენილი ღვინომასალების განმეორებითი ლაბორატორიული კვლევა, ვინაიდან პირველივე კვლევამ არ გამოავლინა ფალსიფიცირებული ნიმუშები.

**37 03 07** – „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“ პროგრამის დაზუსტებულ გეგმას და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის მიზეზია: შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული იყო 2010 წელს საქართველოში ჩასატარებელი ღვინის 33-ე საერთაშორისო კონგრესის წინამოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები. კონგრესის ჩატარების ვადის შეცვლასთან დაკავშირებით 2009 წელს არ დადგა საჭიროება წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების.

**37 03 12** – „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“ პროგრამის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებისათვის ჩაბარებულ 1 კგ ყურძენზე კომპანიის მიერ გადახდილი თანხის დამატებით ყურძნის ჩამბარებულ პირს აუნაზღაურდებოდა 1 კგ: რქაწითელის ყურძენზე – 0.15 ლარი, საფერავზე – 0.25 ლარი, ალექსანდროული-მეჯურეთულზე – 1 ლარი. შესაბამისად, ყურძნის მოსავლის მიხედვით პროგრამის განსახორციელებლად საჭირო გახდა დამატებითი სახრების გამოყოფა.

**37 03 13** – დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია ქვეყანაში ვაზის ნარგაობების განახლების, ჯიშობრივი გადახალისების, გამოთავისუფლებული ფართობების რაციონალური გამოყენების, ღვინოპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მევენახეობა-მეღვინეობის დარგის შემდგომი განვითარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გამოყოფილი სახრებით.

**37 05 01** – სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში დაბალი ათვისების მიზეზებია: 2009 წელს კომერციული ბანკებიდან მეორად სესხებზე მოთხოვნა მეტად დაბალი იყო,

რისი პროგნოზირებაც კანონის პროექტზე მუშაობისას პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ასევე, არ განხორციელდა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის სრულად დაფინანსება, ვინაიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მისაღებად არ ჩათვალა კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიში.

**37 05 02** – პროექტის ფარგლებში არსებული აუთვისებელი თანხები წარმოადგენს კონტრაქტორებისთვის დაკავებულ თანხებს, რომელთა გადახდა განხორციელებულ უნდა ყოფილიყო სამშენებლო სამუშაოების დამთავრებისთანავე (შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში) ან ერთ წლიანი საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგ (კონტრაქტორის მოთხოვნის შემთხვევაში). აღნიშნულ თანხებზე კონტრაქტორების მიერ მოთხოვნა არ განხორციელებულა.

**38 04** – დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ ვერ განხორციელდა ზოგიერთი ხელშეკრულების გაფორმება მომსახურეობაზე, აუთვისებელი დარჩა მივლინებისათვის დაგეგმილი სახსრები და შრომის ანაზღაურების ფონდის ნაწილი (არსებული ვაკანსიების გამო), ასევე ვერ განხორციელდა იარაღისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

**38 11** – დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ 2009 წლის გაზაფხულზე დაიწყო გამწვანების ახალი პროექტი: „დარგე-ხე!-გაამწვანე შენი გარემო“, რომლის მიზანი იყო გამწვანების ყველაზე მასშტაბურ აქციაში დედაქალაქის მოსახლეობის ჩართვა. ამ ღონისძიების დასაფინანსებლად მოხდა სამინისტროს თავისუფალი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება, რამაც გამოიწვია სსიპ-ს დაზუსტებული გეგმის ზრდა. ხოლო დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ 2010 წლის გაზაფხულისათვის გადაიდო 2009 წლის შემოდგომაზე პოლონეთში დაგეგმილი სამუშაო სემინარი, ასევე არ მოხდა კონტეინერული მეთოდით ნერგების გამოყვანისათვის სპეციალური მიწის სუფსტრატის დაგეგმილი მოცულობის მთლიანად შეძენა.

**38 15 02** – დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის (მათ შორის, წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა) დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებული „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის“ ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ვერ განხორციელდა პროექტით დაგეგმილი ზოგიერთი ღონისძიება.

**38 15 09** – ევროპისა და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილების რისკის შესამცირებელ ღონისძიებათა პროექტის დაზუსტებული გეგმასა და საკასო ხარჯებს

შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია კურსთა სხვაობით და იმით, რომ პროექტის ნაწილი წლის ბოლოს აისახა როგორც მიზნობრივი გრანტი სამინისტროს სსიპ-ს გარემოს ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ კოდში.

**40 02 01** – დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის 15%-ზე მეტი შეუსაბამობა გამოწვეულია „სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა ( )“ პროექტის ფარგლებში სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანით, რის გამოც ვერ მოხერხდა თანხების ათვისება.


**თავი VI**

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები**

**საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები**


საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციებისთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 37 612.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 36 788.9 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1 884.9 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 89.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 10.3%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




### საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 21 578.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 20 220.7 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 402.0 ათასი ლარით ნაკლებია.



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.5%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 2.2%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლის – 2.3%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი




საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 17 314.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 17 280.7 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 621.4 ათასი ლარით ნაკლებია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.2%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.7%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.1%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



## საქართველოს მთავრობის კანცელარია


საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 9 402,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 8 768,8 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 209,3 ათასი ლარით ნაკლებია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 3.4%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




### საქართველოს კონტროლის პალატა

საქართველოს კონტროლის პალატისთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 12 959.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 11 994.8 ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 2 874.4 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს კონტროლის პალატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 60.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 39.4%.



საანგარიშო პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

I თ შ I-ის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ტრანსფორმაცია სახელმწიფო უმაღლეს გარე მაკონტროლებელ ორგანოდ

- „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებისთანავე, კონტროლის პალატაში დაიწყო სტრუქტურული გარდაქმნა, რომელმაც მოიცვა როგორც რევიზია - შემოწმებების განმახორციელებელი, ისე სხვა ფუნქციონალური სტრუქტურული ქვედანაყოფები.

- გათვალისწინებული იქნა რა განვითარებული და გარდამავალ ეტაპზე მყოფი რიგი ევროპული ქვეყნების გამოცდილება, ნაცვლად სარევიზიო საქმიანობისა, კონტროლის პალატამ დაიწყო აუდიტის განხორციელება და არსებული სარევიზიო დეპარტამენტების ლიკვიდაციის შემდეგ, აუდიტის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ფუნქციონალურ-დარგობრივი პრინციპის დაცვით. კერძოდ, შეიქმნა შემდეგი დარგობრივი მიმართულებების აუდიტის

დეპარტამენტები: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს, სოციალური სფეროს, თავდაცვის სფეროს, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს, ეკონომიკური საქმიანობის სფეროს.

- „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული დამატებითი უფლებამოსილებების რეალიზაციის მიზნით, შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი. ასევე შეიქმნა დავების განხილვის საბჭო.

- „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემოღებული იქნა აუდიტორ-სტაჟიორის სამტატო ერთეული, რაც მიზნად ისახავს კონტროლის პალატაში აუდიტორული საქმიანობით დაკავებული კადრების მომზადების სტაბილური, მოქნილი და ანაზღაურებადი მექანიზმის შექმნას.

- გამოცხადებული და ჩატარებული ორ ეტაპიანი კონკურსის შედეგად, 1380 კონკურსანტიდან აუდიტორ-სტაჟიორის თანამდებობაზე შეირჩა 48 ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებმაც ექვს დისციპლინაში გაიარეს აუდიტორული საქმიანობის დაწყებისთვის საჭირო თეორიული მომზადების სპეციალური კურსები. მათ მონაწილეობა მიიღეს ინდივიდუალური წესით დანიშნული ხელმძღვანელების ზედამხედველობით კონტროლის პალატის აუდიტის დეპარტამენტების საქმიანობაში, ჩართულნი იყვნენ აუდიტის განმხორციელებელ სხვადასხვა ჯგუფებში.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებულ იქნა 243 ობიექტის აუდიტი, რომელთაგან 44 ობიექტზე ჩატარდა კომპლექსური აუდიტი, ხოლო 199-ზე - თემატური აუდიტი. მათ შორის 109 ობიექტზე ჩატარდა ბიუჯეტის აუდიტი.

- საერთაშორისო დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდა საქართველოს კონტროლის პალატის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის პროექტი, აგრეთვე ზოგადი, სამუშაო და ანგარიშების სტანდარტების პროექტები.

## **სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზების ხელშეწყობა**

- გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების, შვედეთის სამეფოს ეროვნული აუდიტორული ოფისის ( ) და ევროკავშირის პროექტების დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სტანდარტებისა და აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით კონტროლის პალატის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის მიზნით. დაწყებულია მუშაობა აუდიტის სახელმძღვანელოზე, რომელიც შეასრულებს

სამაგიდლო წიგნის ფუნქციას კონტროლის პალატის მიერ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოთა საერთაშორისო ორგანიზაციის (I თ შ I) პროფესიული სტანდარტების მიხედვით აუდიტის დაგეგმვის, მომზადების, ჩატარებისა და აუდიტის შედეგებზე ანგარიშების მომზადების პროცესისთვის.


- საქართველოს კონტროლის პალატა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო სექტორში შიდა აუდიტისა და შიდა ფინანსური კონტროლის საკითხების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მუშაობაში, რომლის მეშვეობით შემუშავდა „სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სტრატეგიული ხედვა“. აღნიშნული დოკუმენტის 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის თანახმად სამინისტროებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში უნდა დაიწყოს სახელმწიფო შიდა აუდიტის დანერგვის პროცესი.

- საქართველოს კონტროლის პალატის მიერ, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის „შII“-ს (შუპპორტ ფორ იმპროვემენტ ინ გოვერნანცე ანდ მანაგემენტ) მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი თემაზე „უწყებრივი და გარე აუდიტის ფუნქციები და მათი ურთიერთქმედება“, რომლის ფარგლებში მონაწილე საქართველოს კონტროლის პალატის, სამინისტროებისა და რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულთა ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა განიხილეს საქართველოში გარე და უწყებრივ აუდიტებს შორის მჭიდრო პროფესიული ურთიერთობების შესაძლო ფორმები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია


საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 12 935.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 12 644.0 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 37 383.4 ათასი ლარით ნაკლებია. კლება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2008 წელს გათვალისწინებული იყო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დაფინანსება.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.94%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.01%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.05%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო


საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 595.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 2 561.0 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 192.3 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 90.7%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 9.2%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.1%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




### საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 915.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 5 987.3 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 548.1 ათასი ლარით.


2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება






საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 4.3%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




### საერთო სასამართლოები

საერთო სასამართლოებისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 37 433.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 36 919.9 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 2 478.8 ათასი ლარით.



საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 81.69%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 18.30%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.01%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 090.0 ათასი ლარი, ხოლო


ფაქტიურმა დაფინანსებამ 1 082.8 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 24.2 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 85.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 14.1%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2009 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- განხორციელდა ადიგენის, ასპინძის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაცია და შეიქმნა ახალციხის რაიონული სასამართლო. მის შემადგენლობაში შევიდა 3 მაგისტრატი მოსამართლე.

- ამბროლაურისა და ონის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნა ამბროლაურის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 1 მაგისტრატი მოსამართლე;

- ბათუმის საქალაქო და ქობულეთის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციის შედეგად შეიქმნა ბათუმის საქალაქო სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 1 მაგისტრატი მოსამართლე;

- ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციის შედეგად შეიქმნა ოზურგეთის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 2 მაგისტრატი მოსამართლე;

- ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციის შედეგად შეიქმნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 3 მაგისტრატი მოსამართლე;

- 2009 წლის 19 ოქტომბრიდან მოხდა გაგრის, გუდაუთის, გალის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის და სოხუმის საქალაქო და რაიონული სასამართლოების ლიკვიდაცია და შეიქმნა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოები.

- მოხდა თელავის, ახმეტისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაცია და შეიქმნა თელავის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თელავის, ახმეტისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 2 მაგისტრატი მოსამართლე;

- ლიკვიდირებულ იქნა ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა ბოლნისის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 2 მაგისტრატი მოსამართლე;

- განხორციელდა ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაცია და შეიქმნა ზესტაფონის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. მის შემადგენლობაში შედის 2 მაგისტრატი მოსამართლე;

- გრძელდება სასამართლო შენობათა რეკონსტრუქციისა და აღჭურვის პროცესი. 2009 წლის განმავლობაში დასრულდა სენაკის, ხობის, წალენჯიხისა და ხონის რაიონული სასამართლოების, ყაზბეგის, ქარელის, ჭიათურის, დმანისის, ხულოსა და ქედის მაგისტრატი სასამართლოების შენობათა რეკონსტრუქცია. სასამართლოთა გარემონტების პარალელურად მიმდინარეობდა მათი აღჭურვის პროცესიც.

- მიღებულ იქნა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლეთა შერჩევის ახალი წესის ამოქმედებას. კერძოდ, პირის მოსამართლედ გასამწესებლად აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსის გავლა, რის შემდეგაც განისაზღვრება მისი ადგილი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში. საკვალიფიკაციო სიაში იუსტიციის მსმენლის რიგითი ნომერი გათვალისწინებული იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, შემუშავებულ იქნა ძირითადი პრინციპები მოსამართლეთა უვადო დანიშვნის წესის ამოქმედებისათვის. აღნიშნული წინადადებები განხილულ და გაზიარებულ იქნა საკონსტიტუციო კომისიის მიერ, სადაც მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტზე.

- მოსამართლეთა მაღალკვალიფიციური კადრებით შევსების მიზნით 2009 წლის იანვარში, სექტემბერსა და ნოემბერში ჩატარდა მოსამართლეობის 3 საკვალიფიკაციო გამოცდა. ამასთან, ჩატარდა მოსამართლეთა შესარჩევი 3 და იუსტიციის მსმენელთა მისაღები 2 კონკურსი. აღნიშნულის შედეგად 2009 წელს თანამდებობაზე დანიშნა 18 ახალი მოსამართლე, მათ შორის - 12 სკოლადაამთავრებული პირი. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა ორი ჯგუფი 12 მსმენლის შემადგენლობით.

- 2009 წლის განმავლობაში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 70 სემინარი მოსამართლეებისათვის, იუსტიციის მსმენელებისათვის, მოსამართლის თანამშემწეებისათვის და სასამართლოს სხვა თანამშრომლებისათვის. სემინარები შეეხებოდა ადამიანის უფლებებს, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს; საქართველოს კანონს „არბიტრაჟის შესახებ“;


ადმინისტრაციულ სამართალში ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას; წამების წინააღმდეგ ბრძოლის, იძულებითი შრომისა და ადამიანით ვაჭრობის, უსაფუძვლო გამდიდრებასა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს; უცხო სახელმწიფოების სასამართლოებისათვის გასაგზავნი სასამართლო დავალებების შესრულებას; მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებასა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

- დასრულებულია „საქმისწარმოების სისტემის“ სარეგისტრაციო ნაწილის დამუშავება, მიმდინარეობს სისტემის ტესტირება შემოსული დოკუმენტიდან საქმის ფორმირებამდე და სტატისტიკური ფორმების დამუშავება.

**სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში**

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 733.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 729.9 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1 090.7 ათასი ლარით. აღნიშნული მატება ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2009 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გამოყოფილი იქნა სახსრები ანაკლია-განმუხურის განვითარებისათვის და მდინარე ენგურზე საცალფეხო ხიდის მშენებლობისათვის.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 94.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 5.1%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში

ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 604.8 ათასი ლარი, ხოლო

ფაქტიურმა დაფინანსებამ – 592.0 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 141.7 ათასი ლარით.


2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასივნებები და ფაქტიური დაფინანსება



ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 83.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 16.9%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება






სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში


ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 715.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 713.5 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 126.7 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 4.0%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



**სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში**


ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 720.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 708.7 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 35.6 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 2.2%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



### სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში


დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 569.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 569.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 65.1 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.99%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.98%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.04%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში

ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 551.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 507.0 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6.4 ათასი ლარით ნაკლებია.



ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.8%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 2.0%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 2.2%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში


ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 643.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 643.2 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 141.9 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 85.3%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 14.7%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, ღმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში

ბოლნისის, გარდაბნის, ღმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის საანგარიშო პერიოდში 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 657.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 656.2 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 122.7 ათასი ლარით.


2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება





ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 94.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 5.4%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




**სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში**

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 570.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 555.7 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 59.8 ათასი ლარით.


2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება





გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 1.4%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება




### ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 1 403.0 ათასი ლარი,


ზოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 391.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 52.3 ათასი ლარით ნაკლებია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.4%, ზოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.6%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

#### თ -ში ინტეგრაციის კოორდინაცია

- თ -საქართველოს თანამშრომლობის ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ( ) ფორმატის შესაბამისად სახელმწიფო მინისტრის აპარატმა თ -ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის ფორმატში დაიწყო საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის პროექტის შემუშავება. აპარატმა ანალიზი გაუკეთა -ის ფორმატში დოკუმენტებს. მოხდა აღნიშნული ინფორმაციის საქართველოს I -ით ნაკისრ ვალდებულებებთან და I -ის ბოლო შეფასების დოკუმენტთან შეჯერება. შეჯერებული დოკუმენტის საფუძველზე, აპარატმა თ -ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის ფორმატში შესაბამის დარგობრივ სამუშაო ჯგუფებში მუშაობის და კონსულტაციების გზით, კოორდინაცია გაუწია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან ინფორმაციის მოგროვებას, მოამზადა და გააგზავნა თ -ს შტაბ-ბინაში წლიური ეროვნული პროგრამის ( ) პროექტი და ანგარიშები საქართველოს მიერ -ის განხორციელების მდგომარეობის შესახებ (შეღწევის სესქსმენტი).

- ბრიუსელში თ -ს პოლიტიკური კომიტეტის დონეზე განხილულ იქნა -ის პროექტი. თ -ს მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით, დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი გადაეცა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში თ -ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს.

- -ს იმპლემენტაციის მიზნით მუშაობის პროცესი წარიმართა ორი მიმართულებით – რეფორმების განხორციელების მონიტორინგი და ანალოგიური გამოცდილების მიღება თ -ს წევრი იმ ქვეყნებისგან, რომლებიც ჩართული იყვნენ -ში.

- 2009 წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აწარმოებდა რეფორმების განხორციელების მონიტორინგს. ამ მიზნით, რეგულარულად იმართებოდა შესაბამისი დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შეხვედრები.

- ოქტომბერში საქართველოში ვიზიტით მყოფი თ -ს შემფასებელთა მისიის დროს გაიმართა 2009 წლის -ის განხორციელების შეფასება, ხოლო ნოემბერში, ქ. ბრიუსელში თ -საქართველოს კომისიის სხდომაზე წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასების განხილვისას აღიანისის მხრიდან აღინიშნა, რომ მიუხედავად

სირთულეებისა, საქართველომ პირველი -ს განხორციელებაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

- 2009 წლის განმავლობაში თ -ში ინტეგრაციის პროცესთან, კერძოდ, წლიურ ეროვნულ პროგრამასთან ( ) დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების მიზნით გაიმართა საქართველოს დელეგაციის შეხვედრები ხორვატიაში, ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში საგარეო საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

- 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თ -საქართველოს კომისიის ( ჩ ) დაარსების შესახებ. პრაქტიკულად კომისიის მუშაობა 2009 წლიდან დაიწყო და წლის განმავლობაში ჩ-ს ფარგლებში 30-ზე მეტი შეხვედრა გაიმართა, რომელთა უმრავლესობა თავდაცვის, დემოკრატიისა და კონფლიქტის საკითხებზე იყო ორიენტირებული.

### ევროკავშირთან ინტეგრაციის კოორდინაცია

- სახელმწიფო მინისტრის აპარატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სახელისუფლებო სხვა სტრუქტურებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული რუსეთის აგრესიისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხებში ევროკავშირის როლის გააქტიურებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

- ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაძლიერებისა და უახლოეს პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის საკითხებზე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა შეხვედრები ევროკომისიისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლეს პასუხისმგებელ პირებთან, ასევე ევროპული მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტების (თანამშრომლობის საბჭო, თანამშრომლობის კომიტეტი, თანამშრომლობის ქვეკომიტეტები) სხდომების ორგანიზებასა და მუშაობაში.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით შესაბამის უწყებებთან ერთად მომზადდა და ევროპულ მხარეს გადაეცა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ( ) შესრულების მდგომარეობის 2008 წლის და 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშები და მომზადდა 2009 წლის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების გეგმა.

- საანგარიშო პერიოდში თბილისსა და ბათუმში გაიმართა მე-4 და მე-5 საერთაშორისო კონფერენციები „საქართველოს ევროპული გზა“, სადაც განხილულ იქნა საქართველოში ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების საკითხები.

- მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ორი ახალი ქვეკომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ: I - ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, ენერჯეტიკა (შუბცომიტეტეე ონ თრანსპორტ, ნვირონმენტ, ნერგყ). II – დასაქმება და სოციალური საკითხები, ჯანდაცვა, ტრენინგები, განათლება და ახალგაზრდობა, კულტურა, საინფორმაციო საზოგადოება და აუდიოვიზიუალური პოლიტიკა, მეცნიერება და ტექნოლოგიები (შუბცომიტეტეე ონ მპლოყმენტ ანდ შოციალ ფფაირს, უბლიც ეალტჰ, თრანინგ, დუცატიონ ანდ ოუტჰ, ჩულტურე, ინფორმატიონ შოციეტყ ანდ უდიოვისუალ ოლიცყ, ანდ შციენტეე ანდ თეცჰნოლოგყ).

- საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეთანხმებაზე მოლაპარაკებების მომზადებასა და მათ წარმოებასთან დაკავშირულ საკითხებზე მუშაობს. შემუშავებულია ამ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დაწყებისათვის საჭირო სტრატეგიული დოკუმენტები პრიორიტეტულ სფეროებში, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ღონისძიებებსა და მათი განხორციელების ვადებს.

- 2009 წელს მოლაპარაკებების სამი რაუნდის შედეგად შეთანხმებულ იქნა საქართველოსა და ევროკომისიას შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის საკითხები. საქართველოს მოქალაქეებისათვის განახევრდება სავიზო მოსაკრებელი, ხოლო სტუდენტებისათვის ვიზა უფასო იქნება.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევდა ევროკავშირის ინიციატივას „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის საკითხებს. „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის თაობაზე გამართული კონსულტაციების სამი რაუნდის შედეგად შეთანხმდა ერთობლივი დეკლარაციის ტექსტი, რომელსაც 2009 წლის 30 ნოემბერს ქ. ბრიუსელში მოეწერა ხელი ევროკომისიისა და ევროკავშირის 16 წევრი სახელმწიფოს მონაწილეობით.

- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან პარტნიორობა“ ინიციატივის მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა ოთხი თემატური პლატფორმა: I - „დემოკრატია, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა“, II - „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“, III „ენერგოუსაფრთხოება“ და IV - „ხალხთა შორის კონტაქტები“. საანგარიშო პერიოდში ქ. ბრიუსელში გაიმართა ოთხივე პლატფორმის პირველი შეხვედრები.

### **ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაცია**

- ევროკომისიასთან და იუსტიციის სამინისტროსთან კონსულტაციების შედეგად, ხელი მოეწერა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის ( I) 2008 წლის სამოქმედო პროგრამის ფინანსურ შეთანხმებებს.

- ევროკომისიასთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კონსულტაციების შედეგად, ხელი მოეწერა ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ( I) 2009 წლის სამოქმედო პროგრამის ფინანსურ შეთანხმებებს.

- ხელი მოეწერა ფინანსურ შეთანხმებას პროგრამა თჰI I -ის ფარგლებში სახელმწიფო სტრუქტურების მხარდასაჭერად. აპარატი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პროექტების მომზადებაში.

- ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების ფარგლებში შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის ( ლაცკ შუა ჩ ჩ) ფინანსურ შეთანხმებას.

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე, ხელი მოეწერა 2009 წლის

ევროკავშირის რეგიონალური სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტს – „სამეწარმეო ნარჩენების გადამუშავება და გამოყენება“.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კოორდინაცია გაუწია ევროკავშირის ინფორმაციის გაცვლის პროგრამა თ I X-ის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს სახელმწიფო უწყებების მონაწილეობას.

- საქართველოს პარლამენტონ, ფინანსთა სამინისტროსა და კონტროლის პალატასთან ერთად სახელმწიფო მინისტრის აპარატი საანგარიშო პერიოდში აწარმოებდა აქტიურ კონსულტაციებს ში -ს ფარგლებში ახალი პროექტების მოსამზადებლად.


- ევროკავშირის სააგენტოებსა და ფონდებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა კონსულტაციები ევროკომისიასა და შესაბამის დარგობრივ უწყებებთან.

- 2009 წლის მაისში ქ. ბუქარესტში, შავი ზღვის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (ჩ ჩ) ფარგლებში ჩატარდა სამთავრობო კონფერენცია (მინისტერიალი) და ფორუმი ჩ ჩ პროექტების პოტენციურ მიმღებთათვის. დამატებით 2009 წლის ივლის–აგვისტოს პერიოდში ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა და 2 სემინარი თბილისსა და ბათუმში, ჩ ჩ პროექტების მომზადებისა და წარდგენის პროცედურების შესახებ.

## **ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**


ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა – 906.0 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 57.6 ათასი ლარით აღემატება.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.2%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 4.8%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში ღიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმა აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავზე სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით გააპროტესტეს რუსეთის აგრესიული ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ. (აქციები გაიმართა 24 ქვეყანაში).



- აპარატის მხარდაჭერით და საფრანგეთის დიასპორის ინიციატივით 7 დეკემბერს შეიქმნა ფრანგული გემის, „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვის საწინააღმდეგო პეტიცია.
- 9 აპრილს გერმანიაში ქ. ჰამბურგში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჰამბურგის ქართულ ორგანიზაციასთან ერთად ჩაატარა ღონისძიება „9 აპრილი. შეფასებები 20 წლის შემდეგ“.
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაასრულა მუშაობა ვებ-პორტალის (www.diaspora.gov.ge) შექმნაზე, რომელიც აამოქმედა 2009 წლის მარტიდან, ხოლო აპრილში ვებ-პორტალზე გაიხსნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა სამართლებრივი დახმარების ცენტრი, რომელიც ეხმარება უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, უკეთ გაერკვნენ თავიანთ იურიდიულ უფლებებში.
- აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საქართველოსა და ევროკავშირის შორის გამართულ შეხვედრებში, რომლებიც მიეძღვნა „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივებისა და უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ საკითხებს. მიღწეულ შეთანხმებებში დაზუსტდა მოლაპარაკებათა პირველ ეტაპზე მობილური პარტნიორობის ფორმატში მიღებული ერთობლივი დეკლარაცია.
- აპარატმა მოაწყო ჟურნალ „ფიროსმანის“ პრეზენტაცია, რომელიც თურქეთის რესპუბლიკაში გამოდის და ორენოვანია (ქართულ-თურქული). ჟურნალის რამდენიმე ნომერი აპარატის შუამდგომლობით დააფინანსა საქველმოქმედო ფონდმა „ერთგულეობამ“. აპარატის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ორი ნომერი ჟურნალის – „თანამემამულე“, რომელიც გამოდის ლონდონში და ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი ცენტრალური გამოცემაა. ასევე, აპარატის ხელშეწყობით გამოიცა გერმანულენოვანი ჟურნალის „ეინ ლიცკ ეორგიენ“ მესამე ნომერი, ხოლო აპარატის ვებ-პორტალზე შეიქმნა ელექტრონული ჟურნალი „დიასპორის მაცნე“, რომელიც აძლიერებს ქვეყნის გარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრებისა და სათვისტომოების ურთიერთკავშირს, ხელს უწყობს ემიგრაციაში მყოფთა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.
- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ახორციელებდა ქართული ენის, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე დიასპორებში შენარჩუნების მიზნით დიასპორული საკვირაო სკოლების დახმარებას. აპარატის ხელმძღვანელობით მომზადდა სპეციფიკური სახელმძღვანელოები და ლექსიკონები. აპარატის ვებ-პორტალზე განთავსდა ქართული ენის თვითმასწავლებელი პროგრამები: „დედაენა“ სპარსულენოვანი, თურქულენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ქართველებისათვის.

- უცხოეთში დაბადებული ინგლისურენოვანი ქართველი ბავშვებისათვის შეიქმნა ქართული ენის სასწავლო კურსი.

- საანგარიშო პერიოდში შეიქმნა „ლაზურ-ქართული ელექტრონული ლექსიკონი“, რომელიც ქართულ ენაზე შექმნილი პირველი ლაზური ლექსიკონია. იგი ხელს შეუწყობს ისტორიული ლაზეთის (ლაზების) კულტურულ-ენობრივ ინტეგრაციას საქართველოსთან. აგრეთვე გამოიცა წიგნი – „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“, რომლის პრეზენტაცია გაიმართა საფრანგეთის საელჩოსთან ერთად.

- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატი სისტემატურად თანამშრომლობდა სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრთან და ეხმარებოდა ამ ცენტრთან არსებულ ქართული ენის შემსწავლელ ჯგუფს.

- აპარატის ფინანსური ხელშეწყობით გამოიცა ინგილო მეცნიერის, ვასილ აბაშვილის წიგნი – „ქართული ენის ინგილოური დიალექტი“.

- დედაენის დღესთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების 12 ქართულენოვან სკოლაში ჩაატარა ლიტერატურული კონკურსი, კონკურსში გამარჯვებული ინგილო ბავშვები თბილისში მოიწვია და პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.

- აპარატის თაოსნობით, თბილისში ჩატარდა „ჰერეთის დღეები“. საინგილოს ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალურ გადაცემა „ეტალონი“, სადაც საინგილოს სამივე რაიონის ყველა ქართულენოვანი სკოლის მოსწავლე იყო წარმოდგენილი.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით საინგილოში ჩატარდა კახის რაიონის ქართულ სოფლებს შორის ფეხბურთის ჩემპიონატი. მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველებმა, ისე ადგილობრივმა აზერბაიჯანელებმა. აპარატმა საინგილოში არსებულ ქართულ გუნდებს სპორტული ფორმები და ბურთები გადასცა.

- საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საინგილოში გაიხსნება ყველა ის ეკლესია რომელსაც ჰყავს 10-20 კაცამდე მართლმადიდებელი მრევლი.

- 27 მაისს აღინიშნა „დიასპორის დღე საქართველოში“, რომელსაც დაესწრო 34 ქვეყნის ქართული დიასპორის 54 წარმომადგენელი.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის დახმარებით, უცხოეთში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, აზერბაიჯანი) მცხოვრებმა 120-მა ქართველმა ბავშვმა საზაფხულო არდადეგები გაატარა ქობულეთში.


- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დანიაში არსებული ორგანიზაციის „საქართველოს მეგობრები დანიასა და სამხრეთ შლეზვიგში“ მიერ დანია-გერმანიის ქართული დიასპორის ხელშეწყობით გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთი, ბავშვთა 28 სახლის აღსაზრდელებსა და აფხაზეთ-სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას გადაუნაწილა.

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მის მიერ ჩატარებულმა ბიზნეს-სამეცნიერო ფორუმმა, რომელიც მოეწყო 2009 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში. საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთის 14 ქვეყანაში მოღვაწე 31 ქართველმა ბიზნესმენმა და მეცნიერმა. ბიზნეს-ფორუმის მოწვევამ ხელი შეუწყო ქართულ დიასპორებში არსებული კაპიტალის საქართველოში მოზიდვასა და დაბანდებას, დიასპორის ინტელექტუალური პოტენციალის სამშობლოს კეთილდღეობისათვის მოხმარებას.

## **რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**


რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 405.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 1 404.7 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 115.5 ათასი ლარით ნაკლებია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.1%.


საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



### საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 930 091.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 866 105.6 ათასი ლარი.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სისტემისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 144 692.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 142 157.5 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 34 240.1 ათასი ლარით მეტია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 80.62%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 19.36%, ხოლო „ვალდებულების კლების“ მუხლში – 0.01%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სამინისტროებიდან და უწყებებიდან მიღებული ინფორმაციისა და საქართველოს მთავრობის მიერ დასახული სტრატეგიების საფუძველზე, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემუშავდა და საქართველოს მთავრობას წარედგინა „2010-2013 წლებისათვის მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი“. აღნიშნულ დოკუმენტში გასული წლებისგან განსხვავებით საშუალოვადიანი სახარჯო პოლიტიკის ჩარჩოებში დამატებით მოექცა რამდენიმე მხარჯავი დაწესებულება.

- შემუშავებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის წესის შესახებ“, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ჯილდოების გაცემა გახდა ცენტრალიზებული და შესაბამისად, უფრო მეტად ორგანიზებულიც, ხოლო გამცემ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 508 პიროვნებაზე, თანხამ სულ შეადგინა 379.2 ათასი ლარი.

- საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ახალი კლასიფიკაციების საფუძველზე მომზადების მიზნით, შემუშავდა ბიუჯეტის მოსამზადებელი ახალი ფორმები, რომლებიც განმარტებებთან ერთად გადაეცათ ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების შესაბამის ორგანოებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, აგრეთვე აქტიურად მიმდინარეობდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შესაბამისი ორგანოებისთვის კონსულტაციების გაწევა.

- „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, შემუშავდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნუსხა, რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დანართების მიხედვით წარუდგენენ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ მიერ გამოყენებული სახსრების ერთიანი აღრიცხვის არეალში მოქცევას. ზემოაღნიშნული ანგარიშების მომზადების მიზნით შემუშავებულ იქნა შესაბამისი დანართის ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია.

- გადამუშავებულ იქნა და მხარჯავ დაწესებულებებს დაეგზავნათ საბიუჯეტო განაცხადის ფორმები 2010-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისათვის. საბიუჯეტო პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით საბიუჯეტო განაცხადის ფორმებში გათვალისწინებულ იქნა პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შედგენისათვის საჭირო დანართები.

- საქართველოს საბიუჯეტო სისტემის რეფორმის, საბიუჯეტო კანონმდებლობის დახვეწისა და მათი ერთ დოკუმენტში თავმოყრის მიზნით 2009 წლის განმავლობაში მუშაობა მიმდინარეობდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს პროექტზე და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. კოდექსით განხორციელდა საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაერთიანება, გამარტივება და სრულყოფა, სახელმწიფო, ადგილობრივი და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ერთიან საბიუჯეტო სისტემაში მოქცევა. ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ურთიერთკავშირის გამყარების მიზნით, ახალი საბიუჯეტო კოდექსის მომზადებისას დიდი ყურადღება დაეთმო საბიუჯეტო კალენდრის დახვეწას, საკანონმდებლო დონეზე დოკუმენტსა და წლიურ ბიუჯეტს შორის კავშირის გამყარებას და ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემდგომ განვითარებას. კოდექსი აგრეთვე ითვალისწინებს საბიუჯეტო ხარჯების გამჭვირვალობის ზრდას. გარდა ამისა, კოდექსის მიხედვით წლიურ საბიუჯეტო კანონში ჩაერთვება პროგრამული (თითოეული პრიორიტეტის საშუალოვადიანი დაფინანსება, მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები) და კაპიტალური (საინვესტიციო ხასიათის

პროგრამული ბიუჯეტი) ბიუჯეტები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს თ -ის პრინციპების სრულად დანერგვას. ამასთან, გადამუშავდა გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა. ახალი გათანაბრებითი ფორმულის მიხედვით გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლები, რაც შესაბამისად გაზრდის მათ დამოუკიდებლობას.

- მომზადდა და მიღებულ იქნა „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს მოთხოვნების გათვალისწინებით.

- საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პარალელურად შემუშავდა და ინფორმაციული დანართების სახით საქართველოს პარლამენტს წარედგინა 3 საპილოტო სამინისტროს პროგრამული და 2 საპილოტო სამინისტროს კაპიტალური ბიუჯეტები;

- მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და შესაბამისი ვადების დაცვით მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“, აგრეთვე 2009 წლის სამი, ექვსი და ცხრა თვის ანგარიშები.

- 2009 წლის განმავლობაში ხელი მოეწერა 47 საგრანტო, სასესხო, თანხის გადაცემის და სხვა ხელშეკრულებებს. ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სახსრები მიმართულია ბიუჯეტის მხარდასაჭერად და სხვადასხვა ინვესტიციური პროექტების განსახორციელებლად. შეთანხმებები ძირითადად ხელმოწერილია ბრიუსელის ღონორთა კონფერენციაზე მიღებული დაპირებების ფარგლებში.

- საკონსულტაციო ფირმასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა ახალი მაკროეკონომიკური მოდელის შექმნაზე. პროექტის საწყის ფაზაში ფინანსთა სამინისტროში არსებული მოდელი კონსულტანტების მიერ შეფასდა დადებითად.

- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემუშავებული იქნა სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტისა და შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიის პროექტი, რომელიც დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში შემუშავდა კანონპროექტი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლისა და შიდა აუდიტის შესახებ“.

- მიმდინარეობდა დავების განხილვის ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემის შემუშავება, პროგრამის ტესტირება და მცირე დეფექტების აღმოფხვრა.

- შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს საბაჟო კოდექსში, მიღებული იქნა კოდექსის შესაბამისი დებულებების მარეგულირებელი ოთხი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ხოლო ცვლილებები და დამატებები შეტანილ იქნა ორმოცდაერთ კანონქვემდებარე აქტში.



- საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების და გამარტივების მიზნით 2009 წლის განმავლობაში საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ: ახლებურად დარეგულირდა შენობისა და მასზე დამაგრებული მიწის დღგ-თი დაბეგვრის საკითხი, შეიცვალა ლიზინგის რეგულირება, დაინერგა საგადასახადო შეთანხმების მექანიზმი; ქონების გადასახადისგან განთავისუფლდა იმ პირთა ქონება, რომელიც საქართველოში 2008 წლის სამხედრო აგრესიის შედეგად დარჩენილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ქონების გადასახადის მიზნებისთვის შეიცვალა დასაბეგრი ქონების განსაზღვრის პრინციპი (სავალდებულო გახდა გარკვეული პერიოდების მიხედვით შეძენილი აქტივების აფასება); შემცირდა ფიზიკური პირების მიერ საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლებას დაქვემდებარებული ოპერაციების გარკვეული საქონლის მიმართ დაწესებული ზედა ზღვრები; საბაჟო ორგანოს უფლება მიეცა შეამოწმოს საბაჟო ტვირთები ქვეყნის სივრცეში; საბაჟო პროცედურების ჩატარების შემდეგ შემოღებულ იქნა წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საბანკო გარანტიით უზრუნველყოფის ვალდებულება 50 ათასი ლარის ოდენობით; გაჩნდა წინასწარი დეკლარირების შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში პირს შესაძლებლობა ეძლევა მოახდინოს შემოსატანი საქონლის წინასწარი დეკლარირება, რაც საშუალებას აძლევს იმპორტიორს საგრძნობლად შეამციროს საქონლის წარდგენისას გასატარებელი საბაჟო პროცედურები, აღნიშნული თავის მხრივ ხელს შეუწყობს საბაჟო გამშვები პუნტებისა (საბაჟო საგუშაგოების) და გაფორმების ადგილების გამტარუნარიანობის ამაღლებას; მოხდა ჯარიმის მუხლის ამოღება, რომელიც გამოიყენებოდა დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორი) დადგომისას ამის თაობაზე საბაჟო ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეუტყობინებლობისათვის; გაუქმდა ჯარიმის მუხლი, რომელიც ადგენდა ფიქსირებულ 300 ლარიან ჯარიმას და სხვა.

- მოსაკრებლების კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით, მომზადდა მოსაკრებლების სისტემაში არსებული მდგომარეობისა და პრობლემების სრულყოფის და ძირითადი მიმართულებების შესახებ საპრეზენტაციო ვარიანტი; მიმდინარეობდა მუშაობა მოსაკრებლების ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე და მოსაკრებლების კოდექსის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადებაზე.

- ხელი მოეწერა ორმაგი დაბეგვრის შეთანხმებებს შემდეგ სახელმწიფოებთან: ქუვეითი, მალტა, სინგაპური.

- დამტკიცდა ინსტრუქცია „ელექტრონული ხაზინის სისტემის“ შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სისტემაში ჩართული მხარეების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. შემუშავდა სახაზინო სამსახურსა და მის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციებს შორის საგადამხდელო დოკუმენტების ელექტრონულად მიმოქცევის პროგრამული უზრუნველყოფა.

- განხორციელდა დეპოზიტების მართვის სისტემის განახლება - ხაზინის ერთიან ანგარიშზე დეპონირებული თანხების მართვის ეფექტურობის გაზრდის, აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფისა და გამარტივების მიზნით მხარჯავ დაწესებულებებს გაეხსნათ სადეპოზიტო კოდები.

- 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში განსახილველად შემოვიდა 910 საჩივარი, სადაო თანხით 354.4 მლნ ლარი. საბჭომ განიხილა 780 საჩივარი, სადაო თანხით 353.9 მლნ ლარი. გასაჩივრებული გადასახდელების 43% საბჭოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ იქნა გაუქმებული.

- შემუშავდა „ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების განკარგვის მანდატი“. მანდატი ასევე შეთანხმებული იქნა საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ითარგმნა და წინასწარი განხილვისათვის გაეგზავნა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებს.

- 2009 წელს სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შ-ის დანერგვისათვის მიმდინარეობდა ( შ ლშ –ის ფარგლებში) – „სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის“ ( შ ) დანერგვის სამუშაოები. კერძოდ კონსულტანტი კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა სისტემის კონცეპტუალური მოდელი და ფუნქციონალური და ტექნიკური აღწერილობა.

- აღრიცხვის რეფორმის ღონისძიებათა დღის წესრიგში სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ( შ ) 2001 წლის მეთოდოლოგიისა და საჯარო სექტორის საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების (I შ შ) დანერგვის მიზნით მომზადდა ცვლილებები და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული ინსტრუქციები „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

- დამტკიცდა „საქართველოს კომერციულ ბანკში ხაზინის სახსრების გადატანაზე გამოცხადებული კონკურსი-აუქციონის ჩატარების წესი“ და „კომერციულ ბანკში ხაზინის ფულადი რესურსების გადატანისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“. შემუშავდა კომერციული ბანკის მიერ კონკურსი-აუქციონში მონაწილეობისათვის შესავსები ფორმა. ჩატარდა პირველი კონკურსი-აუქციონი და გამარჯვებულ ბანკში ანგარიშზე გადატანილი იქნა ფულადი სახსრები. შესაბამისად, ბანკთან ყოველი თვის ბოლოს მოხდა შედარება და ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო თანხის გადმორიცხვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე. საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად სახაზინო სამსახური აწარმოებს, აგრეთვე, კომერციული ბანკის ანგარიშზე გადატანილი ფულადი რესურსის მობრუნებას ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

- შემუშავდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებს განსახილველად გაეგზავნა „ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების განკარგვის მანდატის“ პროექტი.


- დასრულდა მუშაობა ხაზინის ერთიან სავალუტო ანგარიშზე ოპერაციების განხორციელების წესსა და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც ამუშავდა სრულად.

- დასრულდა სამშენებლო სამუშაოები და ექსპლოატაციაში შევიდა ქობულეთის საგადასახადო მომსახურების ცენტრი; საბაჟო-გამშვები პუნქტი „გუგუთი“; ადლიის საკონტეინერო რენტგენო-სკანერი; საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“; ლაგოდეხის საგადასახადო მომსახურების ცენტრი; თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) დედოფლისწყაროს განყოფილება; საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო“; საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“; თბილისის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სამმართველოს „აეროპორტის“ განყოფილება; ჭიათურის საგადასახადო მომსახურების ცენტრი; სასაწყობე მეურნეობა „ბაზა 2“; სასაწყობე მეურნეობა „ბაზა 2“ - სსიპ მომსახურების სააგენტოს ავტოსადგომი. შენობების ექსპლუატაციაში შესვლასთან ერთად მიმდინარეობს მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა.

- სამუშაოები მიმდინარეობა ამბროლაურის, ხელვაჩაურის, ბოლნისის, მარნეულის, ზუგდიდის, მცხეთის, გლდანის-ნაძალადევის საგადასახადო მომსახურების ცენტრებში; გურიის საგადასახადო ინსპექციაში; რუსთავის რეგიონალურ ცენტრში არქივისა და საწყობის მოწყობის; ქუთაისის რეგიონალური ცენტრში; საბაჟო გამშვები პუნქტ „კარწახში“; თბილისის რეგიონალურ ცენტრში; საბაჟო გამშვები პუნქტ „ლაგოდეხში“; სსიპ მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში; ქ. სამტრედიის სსიპ მომსახურების სააგენტოს ობიექტზე, სასაწყობო მეურნეობაში; ფოთის რეგიონალური ცენტრში საგადასახადო ინსპექციაში.


## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 66 291.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 63 283.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე – 50 627.6 ათასი ლარით ნაკლებია.



საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 38.1%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 9.5%, ხოლო „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 52.4%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

## ეკონომიკური პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია, სტატისტიკური კვლევები

### სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- 2008 წლის III და IV კვარტლის, 2008 წლის წლიური (დაზუსტებული) და 2009 წლის I და II კვარტლის მთლიანი გამოშვების, შუალედური მოხმარების, დამატებული ღირებულების გაანგარიშება დარგების, რეგიონებისა და სექციების მიხედვით, დაუკვირვებადი ეკონომიკის დონის, ზრდის ინდექსების, შრომის მწარმოებლურობის, მთლიანი ეროვნული შემოსავლისა და სხვა მაკროეკონომიკური აგრეგატების გაანგარიშება;
- მონეტარული სისტემისა და ფინანსური ბაზრის, ფისკალური სტატისტიკის, საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა დამუშავება;
- 2008 წლის IV კვარტლისა და 2009 წლის I, II და III კვარტლების საწარმოთა სტატისტიკური და ბიზნეს რეესტრის აქტუალიზების გამოკვლევა;
- 2008 წლის IV და 2009 წლის I, II და III კვარტლების სამრეწველო, სამშენებლო სექტორებში მწარმოებელთა ფასების ინდექსის და სატვირთო გადაზიდვებზე ფასების გაანგარიშება. ამასთან, ყოველთვიურად ხდებოდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება;
- დასრულდა სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის 2008 წლის მაჩვენებლების გაანგარიშება;
- რეგისტრირებულ და გახსნილ დანაშაულებათა, ავტოსაგზაო შემთხვევების და მომხდარი ხანძრების შესახებ 2008 წლის მონაცემების მომზადება;
- ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების შესახებ სტატისტიკური ბიულეტენებისა და პუბლიკაციების მომზადება.

### მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის ფარგლებში:

- განხორციელდა საცდელი აღწერის მასალების ავტომატიზებული დამუშავებისათვის მონაცემთა კომპიუტერში შეყვანა და ბაზის გასუფთავება;
- განხორციელდა საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ სოფლების ჩამონათვალის შევსება და შედარება ეროვნულ კლასიფიკატორთან თითოეული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით;
- მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის წიგნის მეშვიდე გამოცემისათვის;

**შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:**

- შინამეურნეობების გამოკვლევის 2009 წლის სავსე სამუშაოები;
- შინამეურნეობების გამოკვლევის 2008 წლის დეკემბრის და 2009 წლის I, II და III კვარტლების მონაცემების ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლი;
- შინამეურნეობების გამოკვლევის 2008 წლის დეკემბრის და 2009 წლის I, II და III კვარტლების მონაცემთა ბაზის ფორმირება, გაწმენდა და კორექტირება;
- 2008 წლის და 2009 წლის I, II და III კვარტლების მონაცემების მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშება;
- 2008 წლის და 2009 წლის ყოველთვიური მონაცემების მიხედვით საარსებო მინიმუმის გაანგარიშება;
- მომზადდა 2009 წლის I, II და III კვარტლების მონაცემთა ბაზები;
- შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის კითხვარებისა და მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებები.
- სავსე პერსონალის ტრეინინგები;

**სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:**

- სასოფლო მეურნეობათა 2008 წლის დასკვნითი (IV კვარტლის) და 2009 წლის I, II და III კვარტლების გამოკითხვის სავსე სამუშაოები, მიღებული მასალების კომპიუტერში შეყვანა და კომპიუტერული ლოგიკური კონტროლი;
- სასოფლო მეურნეობათა 2008 წლის დასკვნითი (IV კვარტლის) და 2009 წლის საწყისი გამოკითხვის მონაცემთა ბაზის გაწმენდა, დამუშავება და ანალიზი;
- ბიულეტენის „საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში“ (2008 წლის IV კვარტლის და წლიური, აგრეთვე 2009 წლის I, II და III კვარტლების გამოშვების) ვებ-გვერდზე განთავსება;
- სავსე სამუშაოების შემდგომი კონტროლი ხელვაჩაურის, ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში;

**სატრანსპორტო სფეროს შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით:**

- ქ. ბუქარესტში გამართულ „თღ ჩ ჩ“-ს ინფრასტრუქტურის სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრაზე საქართველოს მხარის მიერ, წარდგენილ იქნა 9 პროექტი (3 – სარკინიგზო, 6 – საავტომობილო გზების);

- სამოქალაქო ავიაციის სფეროში მიმდინარეობდა საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება შემდეგ სახელმწიფოებთან: არაბთა გაერთიანებული ემირატები, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი და პოლონეთი;

- ევროპის კომისიისა და საქართველოს საავიაციო ხელისუფლებებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები „ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების პროექტის ტექსტის შეჯერების მიზნით;

- ხელი მოეწერა მრავალმხრივ შეთანხმებას „თღ ჩ ჩ“-ს დერეფანში მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარების შესახებ“ (ყირგიზეთი);

- საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა საქართველოს მთავრობასა და ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება;

- შემუშავებულ იქნა და შემდეგ საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგების შემუშავებელი კომისიის მიერ დამტკიცდა „საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ოთხ წლიანი სამოქმედო გეგმა“;

- მომზადდა ხელმოსაწერად მოლდოვასთან საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების პროექტი;

### **მშენებლობის დარგის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით:**

- მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული იქნა სხვადასხვა ნორმები და წესები, მათ შორის „სეისმომედეგი მშენებლობა“, „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ და სხვა;

- საქმისწარმოების გამარტივების მიზნით, მოხდა რეკონსტრუქციის სახეობებად დიფერენცირება, ჩამოყალიბდა ოთხი სახის რეკონსტრუქცია: შენობა-ნაგებობის, ექსტერიერის, მზიდი ელემენტების და ქსელების რეკონსტრუქცია.

### **საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი, ხარისხის ინფრასტრუქტურა:**

- მიმდინარეობდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები ამერიკული მხარის მიერ შემოთავაზებულ, ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ ახალი შეთანხმების პროექტის გაფორმებასთან დაკავშირებით;

- გრძელდებოდა ამერიკულ მხარესთან თანამშრომლობა აშშ-ს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით ( შ ) სავაჭრო რეჟიმის გაფართოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, 1 400 დასახელების პროდუქციის აშშ-ში აღნიშნული რეჟიმით დამატებით შესვლის თაობაზე;

- მიმდინარეობდა კონსულტაციები საქართველო-ევროკავშირს შორის ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ( ჩ თ ) გაფორმების თაობაზე;

- მომზადდა და ხელი მოეწერა ინვესტიციების ურთიერთწახალისების და დაცვის სფეროში შეთანხმებას საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას და საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის.

- დასრულდა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აღრიცხვის კვანძებში არსებული ელექტროენერჯის აღრიცხვის კონტროლის ავტომატიზირებული ( ) სისტემის („ალფაცენტრის“) ქვესადგურების ტერმინალების მეტროლოგიური გამოკვლევის, გამოცდების და დაკალიბრება-დამოწმების სამუშაოები (ქვესადგურები მარნეული-220, რუსთავი-220, გურჯაანი-220, ქსანი-500, გორი-220, ხაშური-220, ზესტაფონი-500, ფერო-220, ქუთაისი-220, წყალტუბო-220, ზუგდიდი-220, მენჯი-220, ბათუმი-220); სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ დამზადდა ორი ეტალონური დენის ტრანსფორმატორი;

- ელექტროტექნიკურ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ შეიტანა განაცხადი საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიაში (I ჩ-ინტერნაციონალ ლექტროტექნიკალ ჩომისსიონ) გაწევრიანების თაობაზე;

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (ჩონტრაცტ ოფ ჩო-ოპერატიონ) სსიპ „აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს“ და -ს ( უროპეან ჩო-ოპერატიონ ფორ ცკრედიტატიონ) შორის;

- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჭთ თ თ კომიტეტისათვის მომზადდა და გაიგზავნა 31 შეტყობინება საქართველოში მიღებული სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ;

- აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელდა აკრედიტებული, სხვადასხვა ტესტირების, დაკალიბრების, დამამოწმებელი ლაბორატორიების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების და სერტიფიკაციის ორგანოების 110 გეგმიური საინსპექციო კონტროლი და ერთი არაგეგმიური საინსპექციო კონტროლი

### ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამების ფარგლებში

- მონაწილეობა იქნა მიღებული შემდეგ გამოფენებში:
  - საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა – „Vაკანტიებეურს“ (ქ. უტრეხტში), „ თ “ (ქ. ჰელსინკში), „ Iთ ღ“ (ქ. მადრიდში), „ თთ ღ 2009“ (ქ. რიგაში), „I თ “ (ქ. თელ-ავივში), „Iთ ერლინ“ (ქ. ბერლინში), „ Iთთ“ (ქ. კიევში), „ – ე ონდე არის“ (ქ. პარიზში);



– „ხელოვნებისა და კულტურის“ (ქ. იერუსალიმში), ყ თ – ჭორლდ თრაველ აირ 2009 (ქ. ტოკიოში);

– ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა – „Iთ“ (ქ. მილანში);

– საერთაშორისო ტურისტული გამოფენა – „ბათუმი ექსპო 2009“ (ქ. ბათუმში);

– ტურისტული გამოფენა – რიგით მე-13 „Iთთ“ (ქ. სტამბულში);

• საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ტრენინგები ტურიზმის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას;

• გაფორმდა ხელშეკრულება კომპანია ძძ თV-სთან, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კომპანია გადაიღებს დოკუმენტურ ფილმს და ორ საიმიჯო კლიპს (საქართველოს ტურისტულ-საინვესტიციო პოტენციალისა და ქართული ღვინის პოპულარიზაციის შესახებ), რომელსაც უჩვენებს ტელეკომპანია „ისცოვერე“-სა და ესპანურენოვან ტელეარხ თV I-ის ეთერით;

• გაიმართა კახეთის ღვინის ტურის ვებ-გვერდის (www.vinethour.ge) პრეზენტაცია;

• თელავში მოეწყო ტრადიციული წესით დამზადებული წითელი და თეთრი ღვინოების კონკურსი;

• ქართული კულტურის კვირეული ჩატარდა ქ. ფლორენციაში;

• მოეწყო მედია-ტურნირი სამთო-სათხილამურო სპორტში.

### **კერძო სამეწარმეო სექტორის ხელშეწყობა, სახელმწიფო ქონების პრივატიზება**

საანგარიშო პერიოდში პრივატიზებულ იქნა 472 ობიექტი, მათ შორის აუქციონის ფორმით 360 (უძრავ-მოძრავი ქონება), ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით - 112 ობიექტი.

საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დაჩქარების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობდა საწარმოების საპრივატიზაციოდ მომზადების ღონისძიებები. 2009 წელს სულ საპრივატიზებოდ მომზადებული იქნა 220 საწარმო.

2009 წელს რთველის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ასიგნებებიდან და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 20.2 მლნ ლარი შპს „რთველი 2008“-ის და სს „აკურის“ საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად.

### **„სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში:**


2009 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 17 პროექტი, საერთო ღირებულებით 2 494.5 ათასი ლარი.

## საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 558 382.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 519 445.4 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 33.6%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 65.0%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 1.4%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული „ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

„საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის“ ღონისძიებების ფარგლებში:

- საანგარიშო პერიოდში გარდამავალ ობიექტებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულდა (90%);
- მიმდინარეობდა ასფალტბეტონის და ცემენტობეტონის ახალი საფარების მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნეგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- გრძელდებოდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები.

„საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „გზების მიმდინარე შეკეთებისა და შენახვა ზამთრის პერიოდში“ ღონისძიების ფარგლებში:

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, წყალგამტარი ნაგებობების და სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კეთილმოწყობის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-ალაიანის 27-43 კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია მეორე რიგის სამუშაოების ფარგლებში:

ორზოლიანი გზა მოდერნიზირებული იქნა ოთხ ზოლიან ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად, რის შედეგადაც გაიზარდა ავტოტრანსპორტის გამტარუნარიანობა და შემცირდა გადაადგილების დრო, აღნიშნულ მონაკვეთზე მოეწყო სატრანსპორტო კვანძები და გზაგამტარები, განათების სისტემა, აგრეთვე დასრულებული იქნა გზის კეთილმოწყობის, მეორადი გზების მიერთებების სამუშაოები.

სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მანინჯაურის მონაკვეთზე გვირაბის მშენებლობა II ეტაპის სამუშაოების ფარგლებში:

– დასრულდა სავენტილაციო, ჰიდროიზოლაციის, ბეტონის მუდმივი სამაგრი მოწყობის, გვირაბების დამაკავშირებელი შტოლნის გაყვანის, მოპირკეთების, განათების სისტემა, ხანძარსაწინააღმდეგო რეზერვუარისა და ტროტუარების მოწყობის სამუშაოები;

– დასრულდა საინჟინრო კორპუსის მშენებლობა;

– გვირაბში დამონტაჟდა და მოეწყო განათების, სადრენაჟო და დანადგარების მართვის ავტომატური სისტემა, უზრუნველყოფილია ცალხმრივი რეჟიმით მოძრაობა.

– დასრულების ფაზაშია გვირაბის პორტალებთან ფერდობების გამაგრების, სახანძრო სიგნალიზაციის და გვირაბში ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის დარჩენილი სამუშაოები.

სოფელ ნარაზენსა და სოფელ საჯიჯაოს შორის მდინარე ჭანისწყალზე, აგრეთვე სოფელ ახუთსა და სოფელ ნოღას შორის მდინარე ცივზე ხიდების მშენებლობის ფარგლებში:

- მდინარე ცივზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა დასრულდა მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს.

- მდინარე ჭანისწყალზე დასრულებულია განაპირა, შუალედური ბურჯების და ლითონის კონსტრუქციის მალის ნაშენის მშენებლობა. ხიდის მშენებლობა მთლიანად დასრულდა 2009 წლის ნოემბრის თვეში.

სენაკი–ფოთი–სარფის საავტომობილო გზის მე-100 კმ-ზე მდინარე კუბისწყალზე ახალი ხიდის მშენებლობის ფარგლებში დასრულდა მარჯვენა მიმართულებაზე ხიდის მშენებლობა, (მოძრაობა გაიხსნა 1 აგვისტოს). დასრულდა მარცხენა მიმართულებაზე არსებული ხიდის დემონტაჟი და ხიმიწვებისა და ბურჯების მოწყობის სამუშაოები.

კოდა-თეთწყაროს საავტომობილო გზის მე-9 კმ-ზე ხიდის მშენებლობის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დასრულდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და პროექტის ექსპერტიზა.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ალაიანი-იგოეთის 44-55 კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებაზე აშენდა ახალი ორზოლიანი ბეტონის საფარიანი გზა, მოეწყო სატრანსპორტო კვანძები, გზაგამტარები და განათების სისტემა, აგრეთვე გზის კეთილმოწყობის, მეორადი გზების და მიერთებების სამუშაოები, ოკამის გზაგამტარის მოდიფიკაციის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის ნატახტარი-ალაიანის 27- 43 კმ მონაკვეთზე გამყოფ ზოლზე პარაპეტების მოწყობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში დასრულდა გამყოფ ზოლში მცენარეული გრუნტის ჩაყრის და მარადმწვანე ბუჩქების დარგვის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 20-21 კმ მონაკვეთზე დასრულდა ბარიერების მოწყობის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის 55-80 კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში დასრულებულია, როგორც მარჯვენა ასევე მარცხენა მიმართულებაზე 44 კმ-ზე ცემენტობეტონის საფარიანი გზის მშენებლობა, მიმდინარეობს არსებულ გზაზე პროექტით განსაზღვრული დარჩენილი სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის 55-80 კმ მონაკვეთზე იგოეთის გზაგამტარისა და მდ. ლეხურას ხიდების მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში იგოეთის გზაგამტარის, ასევე მდინარის ლეხურას ხიდზე გაიხსნა მოძრაობა მარჯვენა მიმართულებაზე, ხოლო მარცხენა მიმართულებაზე მიმდინარეობს რკინაბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 80-95 კმ სვენეთი-რუისის (სვენეთი-მდ. ლიახვის) 80-84,75 კმ მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- დასრულდა სამობილიზაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, გზაგამტარებისა და ხიდების საძირკვლების მშენებლობა.


თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 80-95 კმ სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვზე ხიდის) 84.75-86.2 კმ მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში მიმდინარეობდა სამობილიზაციო სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 80-95 კმ სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვი-რუისი) 86,2-94,531 კმ მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში მიმდინარეობდა გვირაბის როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ მხარეს მიწის სამუშაოები, დაიწყო გვირაბის პორტალების მოსაწყობად მიწის სამუშაოები. მიმდინარეობდა ხელოვნური ნაგებობებისთვის მიწის, საფუძვლების ბეტონირების სამუშაოები.

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო


საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 71 687.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 71 259.4 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 19 718.4 ათასი ლარით აღემატება.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 73.3%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 25.4%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 1.3%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2009 წლის განმავლობაში დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

### ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა

- დახლის პრინციპით გარემონტდა სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიული სამსახურების ძველი შენობები; ტერიტორიულ სამსახურებში დამონტაჟდა ფოტოფიქსურები; დაინსტალირდა ცენტრალური და დუბლირებული სერვერული ცენტრი; საქართველოს მასშტაბით ამოქმედდა ინტეგრირებული ქსელი;
- მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის;
- მომზადდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათებისა და ბიომეტრიული პასპორტების გასაცემად;
- სამოქალაქო რეესტრის ყველა ტერიტორიულ სამსახურში ჩატარდა ატესტაცია;
- დასრულდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შედგენა ცენტრალური აპარატისათვის;

### სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობა და მისი მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

- „სააღსრულებო წარმოება შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით გამარტივდა აუქციონში მონაწილეობის შესაძლებლობა, შესაძლებელი გახდა აუქციონში მონაწილე პირთა რაოდენობის გაზრდა, გაუმჯობესდა და გამარტივდა აუქციონის ჩატარების პროცედურა; განისაზღვრა ქონების დაყადაღებისას მოვალესთან (ქონების მესაკუთრესთან) ერთად შემნახველის (მინდობილი პირის) პასუხისმგებლობა;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კვლევები სააღსრულებო სისტემის სამართლებრივ ბაზასთან დაკავშირებით ქართული სააღსრულებო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანათ;
- 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გადაწყვეტილებათა აღსრულების ფუნქციას, რომელიც ითვლებოდა სახელმწიფოს ექსკლუზიურ ფუნქციად, ნაწილობრივად ხორციელდებოდა დელეგირება

(ცალკეული კატეგორიის საქმეებზე) ლიცენზირებულ კერძო პირებზე, რის შედეგადაც გაცილებით გამარტივდა თავად აღსრულების პროცედურები, დაინერგა ჯანსაღი კონკურენცია. საზოგადოებას ეძლევა ალტერნატიული აღსრულების არჩევანის საშუალება, რაც უფრო გაზრდის და უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების ხელმისაწვდომობას.

- საანგარიშო პერიოდში გარემონტდა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიის და კახეთის სააღსრულებო ბიუროები (რეგიონალური ცენტრები). ასევე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ქვეყნის სხვადასხვა რაიონში აღმასრულებელთა სამუშაო ოთახებს (დუშეთი, წნორი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყვარელი, ქარელი, მარტვილი, ხულო, ქედა, წყალტუბო, ხონი, ტყიბული, ჩოხატაური);

- სრული დატვირთვით ამუშავდა სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა;

- მოვალეთა რეესტრის ამოქმედებასთან დაკავშირებით, მომზადდა მოვალეთა რეესტრის ელექტრონული პროგრამა;

- აღსრულების ეროვნული ბიურო და მისი 11 ტერიტორიული ბიურო ჩაერთო ერთიან სამთავრობო ქსელში;

- 2009 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცენტულმა ზრდამ 2008 წელთან შედარებით შეადგინა 9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხების პროცენტულმა ზრდამ 2008 წელთან შედარებით - 92%-ი;

### **ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა**

- საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებულ საარბიტრაჟო დავებში სახელმწიფო პოზიციების ეფექტიანი წარმოდგენის და დაცვის შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად სცნო საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი შვიდი განაცხადი, მორიგებით დასრულდა სასამართლო დავა „შიერა ილ ნტერპრისეს“-ი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ;

**საქართველოს პროკურატურის რეფორმირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად**



- ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა საქართველოში არსებული სისხლის სამართლის სტატისტიკის სისტემა, შემუშავდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები სისტემის გაუმჯობესების მიზნით. შემუშავდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტატისტიკის ზოგადი კონცეფცია, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებს;

- სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ელექტრონული წარმოების ერთიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც გაეცნო ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობას. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა დოკუმენტი, რომლითაც საბოლოოდ განისაზღვრა ძირითადი ამოცანა და განხორციელების გზები;


- საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევა 2010 წლის ოქტომბერში. ახალი საპროცესო კანონმდებლობის გათვალისწინებით მოხდა პროკურატურის სახელმძღვანელო პრინციპების განახლება და უნიფიცირება;

- პროკურორებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებსა და სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რომლებიც ეხებოდა სასამართლო უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ეთიკას, მტკიცებულებებთან მუშაობას და დიკრეციულ დევნას ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

## **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო**

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 120 192.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 118 906.5 ათასი ლარი.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 70.2%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 29.7%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.1%.



2009 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

**პატიმართა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათთვის ფსიქოლოგიური, სოციალური და ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება.**

პატიმართა/მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და რესოციალიზაციის მიზნით:

- ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ხატმწერთა ჯგუფები მსჯავრდებულების მონაწილეობით;
- რუსთავის №6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ნარკომანიტა და ალკოჰოლიზმით დაავადებულთა ფსიქო-სარეაბილიტაციო ცენტრი „ატლანტის“;
- პატიმართა/მსჯავრდებულთათვის ზუგდიდის №4 საპყრობილეში ასოციაცია „თანაზიარი“-ის მიერ, ასევე რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის და №3 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში საქველმოქმედო ორგანიზაცია „ზარები“-ს მიერ მსჯავრდებულებისათვის გახსნილი იყო კომპიუტერული კურსები.

არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მუშაობდა წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი. ასევე ცენტრი აფხაზეთი მსჯავრდებულთათვის ახორციელებდა „საპარიკმახეროს მომსახურების, ვებ-დიზაინერის, ტელე-ვიდეო მონტაჟისტის, კომპიუტერული ტექნიკური მომსახურების კურსებს.

- ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მოქმედებდა ცენტრი - „ემპათია“, რომელიც ახორციელებდა წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მქონე პირთა ფსიქო-რეაბილიტაციას და არტ-თერაპიას. დაწესებულებაში ასევე მოქმედებდა ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“ და ახორციელებდა პატიმარ ქალთა პროფესიულ გადამზადებას და პატიმართა/მსჯავრდებულთა თექის შესწავლას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და პროფესიული სწავლების ცენტრ „სპექტრთან“ ერთად გაიხსნა პროფესიული სწავლების კურსი, სადაც ამზადებენ მკერავებს და გამომჭრელ-მოდელიორებს. კურსის დამთავრების შემდეგ მსჯავრდებულები მიიღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატებს.

- №8 საპრობილეში ნარკოტიკებზე დამოკიდებულ მსჯავრდებულთათვის განხორციელდა მეთადონის პროგრამა;

- ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ბათუმის №3 საპრობილეში, რუსთვის №2 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ავჭალის №10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში აშენდა და ფუნქციონირებდა თონეები, რომლებშიც დასაქმებულები იყვნენ მსჯავრდებულები;

- ყველა დაწესებულებაში მოქმედებდა ბიბლიოთეკა, სადაც სისტემატურად ხდებოდა არსებული წიგნების ფონდის განახლება, საბიბლიოთეკო ფონდი აღწერილია ერთიან რეესტრში, ბიბლიოთეკებს ყოველკვირეულად მიეწოდებოდათ პერიოდული პრესა. ყველა დაწესებულებაში ბიბლიოთეკარის საქმიანობას ახორციელებენ მსჯავრდებულები.

**ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულების აშენება, არსებული დაწესებულებების გარემონტება.**

პატიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:

- 2009 წელს დაიწყო დაბა ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის და ქ. რუსთავი №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სარეჟიმო კორპუსის მშენებლობა. ასევე, ქ. რუსთავის №6 საერთო,

მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ქალთა დაწესებულების მთლიანი კომპლექსის მშენებლობა;

- ქ. რუსთავი №2 და №6 დაწესებულებებში განხორციელდა სამედიცინო პუნქტის ოთახების სარემონტო სამუშაოები;

- სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სასჯელაღსარულების დაწესებულებების ძველ შენობებს.

**თანამშრომელთა სოციალური პირობების ეტაპობრივი გაუმჯობესება, ცოდნისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება.**

სასჯელაღსარულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონის, ამაღლების მიზნით:

- სასჯელაღსარულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში განახლდა, დაიხვეწა და შეიქმნა შემდეგი სასწავლო პროგრამები: საბაზისო სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის ოფიცერთა შემადგენლობისათვის, მართვის სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის ხელმძღვანელი თანამშრომლებისათვის, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის სოციალური მუშაკებისათვის, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის სამდივნოსა და კადრების განყოფილების თანამშრომელთათვის; სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის თანამშრომელთათვის, სასჯელაღსარულების დეპარტამენტის ბადრაგირების სამსახურის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა, სასჯელაღსარულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა, სასჯელაღსარულების დეპარტამენტის სამედიცინო პერსონალის სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის ეკონომიკური ხაზის თანამშრომელთათვის, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის რეჟიმის თანამშრომელთათვის, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა სასჯელაღსარულების სისტემის უსაფრთხოების თანამშრომელთათვის; აგრეთვე საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დამატებითი

სასწავლო პროგრამები: ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა, ემოციური აგრესიის მართვის სასწავლო პროგრამა, კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესების სასწავლო პროგრამა, სტრესის მართვის სასწავლო პროგრამა;

- სულ 2009 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასწავლო პროგრამები გაიარა 560-მა მოსამსახურემ.

**ძლიერი და ეფექტური, ევროსტანდარტებთან მიახლოებული პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში.**

- 2009 წლის განმავლობაში გარემონტდა 15 რეგიონალური და რაიონული ბიურო და აღიჭურვა შესაბამისი საოფისე ავეჯით და ტექნიკური მოწყობილობებით.

- დაინერგა დაქტილოსკანერების მეთოდი რისი მეშვეობითაც გაუმჯობესდა კონტროლის მექანიზმი მსჯავრდებულების მიერ საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით.

- განხორციელდა სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება სხვადასხვა საბაზისო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული და თეორიული ასპექტების გაცნობით.

**მსჯავრდებულთათვის რეალური, სრულფასოვანი დახმარების გაწევა, მათი საზოგადოებაში რესოციალიზაციის ხელშეწყობა.**

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მსჯავრდებულთა სპეციალური - ჯანდაცვის, სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართვა კერძოდ: პირობითი მსჯავრდებულების დასაქმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სხვადასხვა ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზე, არასრულწლოვნების დასაქმება „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ სერვის ცენტრში, „თეგეტა მოტორსის“ სერვის ცენტრში გამოცდილმა ხელოსნებმა პირობით მსჯავრდებულებს შეასწავლეს ავტომანქანის შეკეთება, ქარხანა „ინტერპალასში“ გაეცნენ საწარმოო პროცესს, პირობით მსჯავრდებულებმა შეისწავლეს მინანქრის, თიხის მზატვრული დამუშავება, აგრეთვე პირობით მსჯავრდებულები აქტიურად ღებულობდნენ მონაწილეობას ტერიტორიების დასუფთავების პროცესში და სხვა.

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა.**

- 2009 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ მოამზადებულ იქნა სასჯელაღსრულების სისტემის 560 მოსამსახურე, არასაპატიმრო სასჯელთაღსრულებისა და პრობაციის სისტემის 238 მოსამსახურე, იურიდიული დახმარების სამსახურის 124 მოსამსახურე;

- საანგარიშო პერიოდში დაინერგა „ბოლონიის პროცესის“ პრინციპებზე აგებული სამკომპონენტოანი შეფასების სისტემა;

- გამოიცა სახელმძღვანელო „დამნაშავის რესოციალიზაცია“;

- მომზადდა სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდი;

- გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის პროექტთან თანამშრომლობის ფარგლებში ცენტრმა მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე: „პრობაციის სამსახური და პენიტენციური სისტემა: სტაბილურობა გარდამავალ პირობებში. გერმანული და ევროპული გამოცდილება“; შეიქმნა ცენტრის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ფილმი.

### **იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**

- საანგარიშო პერიოდში გარემონტდა და ფუნქციონირება დაიწყო იურიდიული დახმარების სამსახურის ორმა განახლებულმა ბიურომ: იმერეთის - ზესტაფონის და იმერეთის - ქუთაისის ბიუროებმა. ამასთან იმერეთის - ქუთაისის განახლებულ ბიუროში მოწყობილია საკონფერენციო დარბაზი, რაც საშუალებას მისცემს ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების და პრეზენტაციების ჩატარებას.

- სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ბიუროების ოფისებში.

- გაგრძელდა საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამის პილოტირება და ტექნიკური სრულყოფა, კონკურსის წესით შეირჩნენ კერძო ადვოკატები, რომლებიც მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში დარეგისტრირდნენ. ისინი კანონით დადგენილ შემთხვევებში სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებოდნენ.

### **მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა**

- 2009 წლის განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახურმა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით დახვეწა „ბიუროს უფროსების“, „საზოგადოებრივი

ადვოკატების”, „კონსულტანტებისა” და „სპეციალისტების” თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

- ახლებურად ჩამოყალიბდა სამსახურის აპარატის სტრუქტურა. შემუშავდა აპარატში დასაქმებული თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები;

- შემუშავდა საზოგადოებრივი ადვოკატების ქცევის შიდა წესების (პროფესიული სტანდარტების) პროექტი;

- სამსახურის აპარატის თანამშრომლები და ბიუროს უფროსები ევროკავშირის მხარდაჭერით გაეცნენ გუნდური მუშაობის პრინციპებს.

- გაგრძელდა „იურიდიული კლინიკების” პროექტი, რომელიც შუი-ის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში სამართლის მაგისტრატურის სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს იურიდიული დახმარების ბიუროებში. რამდენიმე წარმატებული სტაჟირი დასაქმდა იურიდიული დახმარების სამსახურში.

- მოსამსახურეებს ჩაუტარდათ ტრენინგები: საქართველოში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შეფარდების, მატერიალური სისხლის სამართლის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და ადვოკატის უნარ-ჩვევებში; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თემაზე. (იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ICD-ის მხარდაჭერით); წინასასამართლო დაცვის, წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონმდებლობისა და პრევენციის უნარ-ჩვევების თემაზე (ევროკავშირისა და ICD-ის მხარდაჭერით); არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. (იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით, ICD-ის მხარდაჭერით) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებში (იურიდიული დახმარების სამსახურისა და „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის” ორგანიზებით).

- ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 78,2% იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიონალიზმის დონეს აფასებს როგორც საშუალოზე მაღალს. გამოკითხული რესპონდენტების 87,7% პრობლემის გადაჭრისათვის დაგეგმილ გზებს აფასებს როგორც საშუალოზე მეტად ეფექტურს. გამოკითხული რესპონდენტების 74,2%-თვის იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების შედეგები საშუალოზე მეტად დამაკმაყოფილებელია.

### **საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა**

- 2009 წელს იურიდიული დახმარების ბიუროების აქტივობები 4 ძირითადი მიზნობრივ ჯგუფზე ორიენტირებით განხორციელდა. ეს ჯგუფებია: არასრულწლოვნები

(უფროსკლასელი მოსწავლეები, პრობაციონერები), პედაგოგები, დევნილები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები. ამ ტიპის ღონისძიებები იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ოფისმა განახორციელა. 70-ზე მეტი შეხვედრა ჩატარდა დედაქალაქისა და რეგიონების სხვადასხვა სკოლაში. 40-ზე მეტი გასვლითი კონსულტაცია განხორციელდა დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, მათ შორის ახლადწარმოქმნილ ობიექტებზე;

- პრობაციის სააგენტოსთან და ადგილობრივ გამგეობებთან თანამშრომლობით ჩატარდა შეხვედრები პრობაციონერებთან;

- სამთავრობო აქციის „ანგარიში ხალხს“ ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა თბილისის, რუსთავის, თელავის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ახალქალაქის მაცხოვრებლებს ადგილზე გაუწიეს კონსულტაციები;

- დიპლომატებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის მოეწყო გაცნობითი ვიზიტები იურიდიული დახმარების ბიუროებში;

- განხორციელდა მედია პროექტები შემდეგ რეგიონულ მედია საშუალებებთან თანამშრომლობით: „გურჯაანის ტელევიზია“, ზესტაფონის ტელეკომპანია „არგო“, ფოთის ტელეკომპანია „მე-9 ტალღა“, ბოლნისის „მე-12 არხი“, ტელე-რადიოკომპანია „თრიალეთი“;


- იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდზე რეგულარულად თავსდება სიახლეები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე ამოქმედდა ონლაინ-კონსულტაციის სერვისი. გასულ წელს სამსახურის ვებგვერდს 6 ათასზე მეტი უნიკალური ვიზიტორი სტუმრობდა.

## **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასივნებებმა შეადგინა 66 414.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 66 104.7 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 8 927.2 ათასი ლარით აღემატება.




2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.4%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 2.5%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.1%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2009 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- სამინისტრო მიმართავდა აქტიურ დიპლომატიურ ძალისხმევას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცების მიზნით. მიმდინარეობდა მუდმივი კონსულტაციები პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპასთან, მათი დიპლომატიური რესურსის გამოყენების მიზნით, რათა მათ მესამე სამყაროს ქვეყნებთან გაეწიათ ლობირება ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების საკითხისთვის. ასევე, კონსულტაციები გაიმართა აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან არაღიარების საკითხებზე და დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ზემოაღნიშნულ რიგ ქვეყნებთან. სამინისტროს აქტიური მუშაობის ძალისხმევით, რუსეთის უზარმაზარი დიპლომატიური და ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, ოკუპირებული ტერიტორიები „აღიარა“ მხოლოდ ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორცაა ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ და ორგანიზაციამ – ჰამასი;

- მუდმივ რეჟიმში ხდებოდა რეაგირება რუსი სამხედროების და მარიონეტული რეჟიმების მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე განხორციელებულ სხვადასხვა პროვოკაციებზე;

- საანგარიშო პერიოდში საქართველო გახდა ეუთო-ს უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმის თავმჯდომარე ქვეყანა. თავმჯდომარის რანგში საქართველომ ჩაატარა 8 სხდომა, მათ შორის 17 ივნისს საქართველოს მოწვევით გაიმართა ეუთო-ს მუდმივი საბჭოსა და უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმის გაერთიანებული სხდომა, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებებსა და ევროკავშირის სამონიტორინგო მისიის საქმიანობას მიეძღვნა;

- გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებების მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 რაუნდები, რომლებზეც განიხილებოდა ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, აგრეთვე დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხები. აღნიშნული რაუნდების ეფექტურად წარმართვის მიზნით ქართული მხარის მიერ ჩატარდა მრავალმხრივი კონსულტაციები, ასევე სამინისტროს და შესაბამისი ქვედანაყოფების ხელმძღვანელობის გასვლითი ვიზიტები. ჟენევის მოლაპარაკებებზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩატარდა ინციდენტების პრევენციის მექანიზმის (I ლ) რამოდენიმე შეხვედრა;

- ევროკავშირის მონიტორინგის მისიას საქართველოში გაუგრძელდა მანდატი ერთი წლის ვადით 2010 წლის 1 ოქტომბრამდე;

- შედგა არაერთი მნიშვნელოვანი შესვენება ევროპის საბჭოს ფარგლებში. მათ შორის, სტრასბურგში გაიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესია. საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული სესიის მომზადების პროცესში, რომელზეც გაიმართა დებატები და მიიღებულ იქნა რეზოლუცია 1683: „ომი საქართველოსა და რუსეთს შორის: ერთი წლის შემდეგ“, აგრეთვე გაიმართა დებატები ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და მიღებულ იქნა რეზოლუცია 1687: “არსებით საფუძველზე რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილების გადასინჯვა”;

- შედგა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის შემსწავლელი ევროპის საბჭოს შემფასებელი მისიის ვიზიტი, ხოლო გაეროს ოპერატიული აპლიკაციების პროგრამის „შოთ“ ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა სამხედრო აგრესიის შედეგად დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შეფასება;

- აქტიური დიპლომატიური მუშაობის შედეგად, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია 63/307 “დესოლუტიონ ონ შტატუს ოფ I ს ანდ ლეფუგეეს ფრომ ბკჰაზია, შ. სსეტია”, რომელშიც ხაზგასმულია იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთარ სახლებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების უფლება;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ხელს უწყობდა ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, მრავალმხრივ ეკონომიკურ პროექტებში საქართველოს მონაწილეებას, ინვესტიციების მოზიდვას, საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირებას და პარტნიორ ქვეყნებთან ლიბერალური და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების ჩამოყალიბებას.

- საანგარიშო პერიოდში ესტონეთთან და ჩეხეთთან მიღწეულ იქნა შეთანხმებები ინვესტიციების დაცვისა და ურთიერთწახალისების შესახებ;

- წლის განმავლობაში საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის გაიმართა ორმხრივი ეკონომიკური კომისიების 5 სხდომა და 25-მდე ერთობლივი ბიზნეს-ფორუმი და საქმიანი წრეების შეხვედრა, იორდანის კაშიმიტურ სამეფოში -11 ქვეყნის ლიდერების სამიტზე. სამიტის ფარგლებში ხელი მოეწერა -11-ს წევრ ქვეყნებს შორის ჩარჩო შეთანხმებას ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურული თანამშრომლობის შესახებ;

- 2009 წლის განმავლობაში საგარეო უწყება აქტიურად იყო ჩართული ალტერნატიული ენერჯო პროექტების („ნაბუკო“, „თეთრი ნაკადი“, „ევროაზიური ნავთობ-სატრანსპორტო დერეფანი“) რეალიზაციის მიზნით გამართულ უმაღლესი დონის ენერჯეტიკულ ღონისძიებებში: ქ. ბუდაპეშტი - „ნაბუკოს სამიტი“, ქ. სოფია-ბუნებრივი

აირი ევროპისათვის: „უსაფრთხოება და თანამშრომლობა“, ქ. პრალა-სამხრეთ დერეფნის სამიტი”. ქ. ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში გაიმართა ენერგეტიკული უსაფრთხოების პლატფორმის შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა: ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით შესაბამისი მექანიზმების შემუშავება; ენერგოსიმძლავრეების დაკავშირება, ენერგეტიკის სფეროში რეგულატორული და საკანონმდებლო გარემოს ჰარმონიზაცია;

- ქ. პრალის სამიტზე, განხორციელდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ინაუგურაცია. აღმოსავლეთ პარტნიორობის შეხვედრაზე დამტკიცდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში ჩამოყალიბებული ოთხი თემატური პლატფორმის ძირითადი მიზნების ამსახველი დოკუმენტები და 2009-2011 წლების სამოქმედო პროგრამები;

- ბრიუსელში მოხდა გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების პარაფირება;

- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ევროპულ მხარესთან სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ ( I ს);

- მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე;

- საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში: ამოქმედდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგის ფორმატი;

- შემოდებულ იქნა ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის საქართველოს შეხვედრების ფორმატი;

- განხორციელდა მინისტრების დონეზე ევროკავშირის „ტროიკა“-ს ვიზიტი საქართველოში;

- შჩ ელჩების ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს აღნიშნულ კომიტეტში შემავალი ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის წარმომადგენელი ეწვია;

- ბრიუსელში ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას „პარტნიორობა მობილურობისათვის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ამ ინიციატივაში ჩართული ევროკავშირის 16 წევრ ქვეყანას შორის შეთანხმებულ პროექტებს;

- ევროკომისიამ წარმოადგინა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან, ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო მანდატის პროექტი. საქართველოს შემთხვევაში ევროკომისიის

მანდატის პროექტი მოიცავს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნასაც, რაც ქართული მხარის მიღწევას წარმოადგენს;

- წლის მეორე ნახევარში, ევროკომისიამ, ძირითადად დადებითად შეაფასა ქართული მხარის თანამშრომლობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ( ჩ თ ) შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ძირითადი რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით;

- ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ჩატარდა კონსულტაციების 9 რაუნდი, მათ შორის 3 მინისტრიალი თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. შეხვედრებზე განხილული იყო საქართველოში მიმდინარე რეფორმები და წლიური ეროვნული პროგრამის იმპლემენტაციის დინამიკა. აგრეთვე, ქართულმა მხარემ სამივე შეხვედრაზე გააკეთა განცხადებები ევროპის უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევების თაობაზე;

- 2009 წლის ოქტომბერში, საქართველოში განხორციელდა ნატოს შემფასებელთა მისიის ვიზიტი, რომლის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების პროგრესი. შემფასებელთა მიერ გაკეთებულ დასკვნაში დადებითად არის შეფასებული ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები. ანგარიშში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია;

- მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან, თ -ში გაწევრიანების კონკრეტული მექანიზმების განსაზღვრის მიზნით და გამომდინარე აქედან შენარჩუნებულ იქნა თ -სთან ინტეგრაციის დინამიკა. ნატოს აპრილის სამიტმა და დეკემბრის მინისტრიალმა დაადასტურა ბუქარესტის ვალდებულებები საქართველოსთან მიმართებაში;

- წლის განმავლობაში 20-მდე ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა სხვადასხვა ქვეყნებთან, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ურთიერთობების გაღრმავების მიზნით. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია აშშ-სთან 2009 წლის იანვარში ხელმოწერილი სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია. ქარტიით გათვალისწინებულ სფეროებში თანამშრომლობის შემდგომი გააქტიურების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი;

- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები „ევროპის გაერთიანებასა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების მიღების მიზნით, რის შედეგადაც გაიმართა მოლაპარაკებათა 3 რაუნდი;

- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ნორვეგიის სამეფოსთან და მოლდოვას რესპუბლიკასთან უკანონოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შეთანხმების შესახებ, შედეგად


ქ. თბილისში გამართულ იქნა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი, რომლის დროსაც ორივე მხარის მიერ შეჯერებულ იქნა შეთანხმების ტექსტი;

- 2009 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო ინდოეთის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა სუამში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში;

### საქართველოს თავდაცვის სამინისტრო


საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 869 286.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 869 015.7 ათასი ლარი, რაც 2008 წელს შესაბამის მაჩვენებელზე 678 167.4 ათასი ლარით ნაკლებია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 83.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 16.6%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2009 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

**პერსონალის სოციალური პირობების გაუმჯობესება**

- თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალისა და შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები გაუმჯობესდა 2008 წელთან შედარებით;
- თანამედროვე ტექნიკით დაკომპლექტებულმა სამხედრო ჰოსპიტალმა მომსახურება გაუწია სამხედრო მოსამსახურეებს, რეკრუტებს და ასევე 2008 წლის აგვისტოში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებს;
- მოსამსახურეთა სოციალური პირობების ამაღლების მიზნით რიგ სამხედრო მოსამსახურეებს, თავიანთი სპეციფიკისა და შეიარაღებული ძალებისათვის მეტად საჭირო სპეციალობების მიხედვით დაუწესდათ სპეციალური დანამატები;
- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცრებისა და რუსული სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა;
- საყაზარმე პირობების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობდა ყაზარმების რემონტი და მათი ახალი საყაზარმე, საოფისე და სასადილო ინვენტარით დაკომპლექტება;

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა რუსული სამხედრო აგრესიის წინაღმდეგ ბრძოლაში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა დასაქმების პროცესი. ისინი შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამსახურებში ვაკანტურ თანამდებობებზე დაინიშნენ;

- კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში შეიქმნა ინფექციური დაავადებების კვლევის სამედიცინო ლაბორატორია, რომელშიც შემოწმებას გაივლიან ის ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, როგორც სამშვიდობო მისიებში გამგზავრებამდე, ასევე სამშობლოში დაბრუნების შემდგომ;

### თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია

- თავდაცვის მართვის ეფექტურობის ამაღლებისა და არსებული რესურსების რაციონალურად განაწილების მიზნით თავდაცვის სამინისტროში დაინერგა დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა ( შ). აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მართვის სისტემის სტრუქტურული ოპტიმიზაცია, აღნიშნულ საკითხებზე შესაბამის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ და ამ სისტემის ფარგლებში პირველად შემუშავდა ნაწილობრივ პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც დადებითად იქნა შეფასებული უცხოელი ექსპერტების მიერ

- 2009 წლის დასაწყისიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობდა პერსონალის მართვის თანამედროვე, თ -სთან თავსებადი სისტემის დანერგვა, რომელიც ხორციელდება ჰოლანდიურ კომპანია VI -სთან მჭიდრო თანამშრომლობით;

- დანერგილია პერსონალის თანამედროვე მართვის სისტემის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი. შემუშავდა თითოეული სტრუქტურული ერთეულის ორგანიზაციული აღწერა და თითოეული სამოქალაქო თანამდებობის კომპეტენციებზე დაფუძნებული სამუშაოს აღწერა. ჩატარდა არსებული პერსონალის კომპეტენციების ანალიზი (სპეციფიკური ტესტების გამოყენებით), განხორციელდა პერსონალის სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასება. ასევე განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის თითოეული თანამშრომლის პროფესიული განვითარების მიმართულებების იდენტიფიკაცია, რომლის საფუძველზეც იგეგმება ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავება;

- ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, სასწავლო ცენტრ კრწანისის ბაზაზე დაიწყო ხუთ წლიანი პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სიმულაციური საშუალებებით აღჭურვა.

- თ -საქართველოს კომისიის ფარგლებში წარმატებით მიმდინარეობდა სამოქალაქო პერსონალის პროფესიული განვითარების პროექტი. პროექტის ფარგლებში



ჩატარდა სხვადასხვა სემინარები, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი ქვეყნების და თ -ს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სწავლებებში;

- შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა მართვის სისტემის ოპტიმიზაციისა და წოდებრივი პრინციპით ანაზღაურების სისტემაზე გადასვლის ხედვა“, „შეიარაღებული ძალების ძირითადი სამხედრო თანამდებობების სამომავლო საშტატო/წოდებრივი სტრუქტურა“; „საქართველოს შეიარაღებული ძალების შერჩევის საბჭოს დებულება“, „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა შეფასების კონცეფცია“; „სამოქალაქო პერსონალის მართვის კონცეფცია“ და თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები. მიმდინარეობდა შეიარაღებული ძალების სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობათა ( შ ) სისტემის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გვარეობების ნუსხისა და ძირითად სპეციალობათა სისტემის, საქართველოს შეიარაღებული ძალების სერჟანტთა პროფესიული განვითარების კონცეფციის პროექტის, საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა პროფესიული განვითარების კონცეფციის და საქართველოს შეიარაღებული ძალების შერჩევის საბჭოს ინსტრუქციების შემუშავება.

- თ -ს სტანდარტიზაციის სისტემის ფუნქციონალურ სტრუქტურასა და ოფიციალურ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების თავისებურებების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სტანდარტიზაციის კონცეფცია;

- განისაზღვრა მონაცემთა მართვის ავტომატიზირებულ სისტემაში ( შ ) პერსონალის ერთიანი მონაცემთა ბაზის დამატებითი მოთხოვნები და განხორციელდა საორგანიზაციო საშტატო ერთეულების შესახებ ინფორმაციის შეყვანა;

- განხორციელდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა „ ოცუმენტუმ“-ის და მართვის ერთიანი ავტომატიზირებული სისტემის შ ადამიანური რესურსების მოდულის ტესტურ რეჟიმში გაშვება;

- მართვის ერთიანი ავტომატიზირებულ სისტემაში შ და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა „ ოცუმენტუმ“-ში სამუშაოდ მომზადდა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები;

- შეიქმნა ციფრული რუკები, ასევე სპეციალური გეოლოგიური ანგარიშები;
- ტელევიზიის, ბეჭდვითი მედიისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით მიმდინარეობდა თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისათვის გაცნობა. მიმდინარე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების კუთხით პერმანენტულად ხდებოდა თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდის განახლება. მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის მიზნით გამოიცა ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური საინფორმაციო დაიჯესტები. ასევე ყოველთვიური ინგლისურენოვანი ჟურნალი „ ევენცე თოდაყ“, ყოველკვარტალური ჟურნალი „ვემსახურები საქართველოს“ და ყოველთვიური ჟურნალი „სამხედრო“.

## პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

- 2009 წლის განმავლობაში დაიგეგმა და ჩატარდა მრავალეროვნული სამხედრო სწავლებები „ჩოქერატივე ონგოწ/ჩოქერატივე ანცერ 2009“. აღნიშნული სწავლება განხორციელდა პარტნიორობა მშვიდობისათვის ( ) პროგრამის ფარგლებში და მასში თ -ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების 900-მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა;

- საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის ეროვნულ მოსამზადებელ ცენტრში, მომზადება გაიარა Iშ მისიაში გასაგზავნმა ბატალიონმა;

- Iშ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 2009 წლის ზაფხული-შემოდგომის პერიოდში მომზადდა ქართული ასეული და ნოემბრის თვეში გაიგზავნა ავღანეთში (ქაბული) ფრანგული კონტიგენტის შემადგენლობაში;

- მომზადება გაიარეს ავღანეთის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიით შ თ -ის პროგრამაში მონაწილე III ბრ. 31-ე ბატალიონის კ/გაბმულობის სპეციალისტებმა;

- განხორციელდა სახმელეთო ჯარების I, II, III, IV ქვეითი ბრიგადების ჯავშანსატანკო ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო ჯგუფების ეტაპობრივი მომზადება. 2009 წლის განმავლობაში ჩატარდა მომზადების სამი ეტაპი;

- ორფოლოს პოლიგონზე ჩატარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების საველე-ტაქტიკური სწავლება „ფარი 2009“. სწავლების მიზანი იყო ტაქტიკური ჯგუფის მოქმედების ხარისხის ამაღლება;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო „საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის მაღალკვალიფიციური ოფიცრების მომზადების მრავალწლიანი პროგრამის“ განხორციელება;

- დასრულდა უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსი. სამხედრო მომსახურებმა გაიარეს საგანგებო მომზადების კურსი. კურსანტებმა კვალიფიკაცია აიმაღლეს არტილერიის, კავშირგაბმულობის, ლოგისტიკის, საინჟინრო და ჯავშანსატანკო სპეციალობებში. მსმენელებმა ოცეულის მეთაურის დონეზე შეისწავლეს ქვედანაყოფის მართვის პროცედურები, საინჟინრო დაზვერვა, განაღმვითი ოპერაციები და ლოგისტიკური დაგეგმვა;

- თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში დასრულდა საჯარისო დაზვერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსი;

- მაღალკვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებულ სამეთაურო-საშტაბო კოლექტში შემუშავდა სასწავლო პროგრამები, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო ბაზის განვითარებას;

- საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ინსტრუქტორებმა გაიარეს კომპლექსური სამთო მომზადების კურსის ეტაპები. აღნიშნული კურსი სამწლიანია და მოიცავს როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის სამთო მომზადებას. სამწლიანი კურსის

გავლის შემდეგ ქართველი ინსტრუქტორები უკვე თავად შეძლებენ, როგორც ქართველი, ასევე პარტნიორი ქვეყნების სამთო ინსტრუქტორთა მომზადებას;

- ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ რეკრუტებმა გაიარეს საწყისი და ძირითადი საბრძოლო მომზადების ( ჩთ) კურსი;
- სახმელეთო ჯარების ცალკეულ კავშირგაბმულობის ბატალიონში შეიქმნა და ინსტრუქტორებით დაკომპლექტდა ღლიშ-ის რადიოსადგურების შესწავლის ცენტრი;
- სახმელეთო ჯარების ცალკეული კავშირგაბმულობის ბატალიონში მომზადდა შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის უმცროსი (რადისტების) სპეციალისტები;
- თავდაცვის სამინისტროში დაინერგა სასწავლო კურსებზე წარსაგზავნ კანდიდატთა შერჩევის მექანიზმები. შემუშავდა პროფესიული განვითარების სახელმძღვანელოს პროექტი. პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ნატო-სთან თავსებადი შერჩევის საბჭო;
- ჩატარდა საფრენოსნო ტაქტიკური სწავლება „ქარავანი 2009“;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარეს ჩთ -09 და პროგრამით დაგეგმილი ოფიცრის საერთაშორისო ანტიტერორისტული ტაქტიკის და საერთაშორისო სპეციალური დანიშნულების კურსები;
- ჩატარდა შტაბის ოფიცერთა და ბატალიონის მეთაურთა გადასამზადებელი, კაპიტნის საკარიერო და ერთიანი ენობრივი მომზადების კურსები.

### **შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება.**

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარების და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები;
- კოპიტნარის სამხედრო აეროდრომზე, დასრულდა ასაფრენი ბილიკის აღდგენითი სამუშაოები;
- მუხროვანის, ვაზიანის, საარტილერიო, სენაკისა და გორის სამხედრო ბაზებს ჩაუტარდათ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ხოლო ქ. ხონში მიმდინარეობს ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა;
- 2009 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მასალებით, შეიარაღებითა და ტექნიკით დაკომპლექტება და მოდერნიზაცია;
- განხორციელდა გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობების უტილიზაცია. ეტაპობრივად ხორციელდებოდა საქართველოს სამხედრო ბაზების რადიაციულად დაბინძურებული ტერიტორიის გაუვნებელყოფა, ქვედანაყოფებსა და საცავებში არსებული მავნე ქიმიური ნივთიერებების ნეიტრალიზაცია;
- შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების ამაღლების მიზნით თავდაცვის სამინისტროში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები – ეროვნული

გვარდიის სარდლობა გარდაიქმნა დეპარტამენტად, ჩატარდა შესაბამისი სამტაბო-სამეთაურო სწავლებები და ოფიცერთა შეკრებები;

- რეზერვისტთა საბრძოლო მომზადების პროგრამების და გეგმების მომზადება ორიენტირებულია ეროვნული გვარდიის ოპერატიულ დანიშნულებაზე და სამომავლო შესაძლო საბრძოლო ამოცანებზე. ეროვნული გვარდიის საერთო ხედვიდან გამომდინარე შემუშავდა რეზერვის ახალი სიტემა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბში შეიქმნა 4-8 რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტი;

- განვითარდა სატელიტური კავშირების გამოყენების შესაძლებლობები შეიარაღებულ ძალებში;

- შეიარაღებულ ძალებში დაინერგა და ვითარდება ვიდეო კონფერენციის სისტემა;

- მიმდინარეობდა მუშაობა თავდაცვის სამინისტროს ერთიანი კორპორატიული კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების (ჩიშ) ქსელის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით აგების მიზნით;

### **ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია**

- თ -სა და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გააქტიურებასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობდა უცხოელი ექსპერტებისა და სტუმრების ვიზიტები. თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული იქნა სხვადასხვა სახის ღონისძიებები და კონფერენციები საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით;

- 2009 წელს თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ იქნა კონფერენციები, სადაც განხილული იქნა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს განვითარების პრიორიტეტები და სამხედრო სტრატეგია. 2009 წლის 19 მაისის კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, უცხოელი და ქართველი ექსპერტები, სამხედრო ატაშეები, თ -ს საერთაშორისო სამსახურისა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები;

- ჩატარდა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივი სწავლება „იმედიანტე ლესპონსე - 2009“ და „I I თ ლ შ შ -09“ II ფაზა;

- ჩატარდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში თ -ს სტანდარტებთან თავსებადი სამხედრო განათლებისა და წრთვნების დოქტრინების პრეზენტაციები;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის სადამკვირებლო მისიას შორის გაფორმდა ლოკუმენტი ინფორმაციის გაცვლის დროებითი ღონისძიებების შესახებ;

- მიმდინარეობდა თ -სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამით (I ) გათვალისწინებულ ღონისძიებებში ქართველი წარმომადგენლების მონაწილეობა;

- განხორციელდა თ -ს ექსპერტთა ვიზიტი საქართველოში სამხედრო განათლების სფეროში გამოცდილების გაზიარებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით;

- ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების კუთხით აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების შეხვედრები თ -ს წევრ და პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის სამხედრო პირებთან, სადაც განხილული იქნა ორმხრივი თანამშრომლობის დაწყების, შეიარაღებული ძალების განვითარებისა და საქართველოს თ -ში ინტეგრაციის პერპექტივები და სხვა საკითხები;

- ეუთოს მისიამ საქართველოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჩუქების სახით გადმოსცა ნაღბების გასაუვნებელყოფი მინიქარხანა. რომელიც დამონტაჟებულია თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფში;

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაბომბილი და დანაღბული ტერიტორიების ფეთქებადსაშიში საბრძოლო მასალებისა და ნარჩენებისაგან გასუფთავების კუთხით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოწვევითა და კოორდინაციით განაღმვითი სამუშაოები ხორციელდებოდა ორგანიზაცია „ნორვეგიელ ხალხთა დახმარება“ და ამერიკულ-ბრიტანულ ორგანიზაცია „ჰალო ტრასტთან“ ერთად, აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა 2008 წლის სექტემბრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული „ჰუმანიტარული განაღმვითი საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმების ფარგლებში;


- თ -ში ინტეგრაციის მხარდაჭერისა და მოსახლეობის თ -ს შესახებ სათანადოდ ინფორმირებულობის მიზნით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: სოციალური გამოკვლევები თ -ს შესახებ, კონკურსი „ალიანტი“ 2009, დაიწყო ფუნქციონირება სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ“ ბათუმის ცენტრმა. ასევე განხორციელდა სხვადასხვა სახის შეხვედრები და სემინარები, მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტები;

- ავღანეთში მიმდინარე თ -ს ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად მომზადდა და გაიგზავნა სახმელეთო ჯარების შემადგენლობის მსუბუქი ქვეითი ბატალიონი და სამშვიდობო ასეული.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 573 828.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 573 373.2 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 165 891.6 ათასი ლარით ნაკლებია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 78.74%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 21.25%, ხოლო „ვალდებულების კლების მუხლში“ – 0.01%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



2009 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

**საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა;**

- აღრიცხა 518 397 სამართალდარღვევის ფაქტი, გაცემულია პასუხი სხვადასხვა სამსახურებიდან შემოსულ შეკითხვაზე 68 471 პირთან დაკავშირებით, დარეგისტრირდა სისხლის სამართლის დანაშაულის 35 343 ფაქტი და დანაშაულის გახსნის 17 659 შემთხვევა. ოპერატიულ – საცნობარო კარტოთეკაში შემოწმებულ იქნა მოთხოვნა 24 619 პირზე, აღრიცხულია საზღვარზე გამოვლენილ სამართალდარღვევათა 4 939 შემთხვევა;

- კარტოთეკაში მოთავსდა 16 018-მდე ბარათი. ძებნაზე შემოწმდა 4 400 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. შსს სამსახურებრივ რესურსებზე წვდომის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ერთჯერადი პაროლის გენერაციის მოწყობილობები გაცემულია 3 500 უფლებამოსილ თანამშრომელზე;

- განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის და საბანკო დაწესებულებების, სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების სტრუქტურული ქვედანაყოფების ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ – საშტატო სტატუსის მქონე იარაღის და საბრძოლო მასალის შენახვის და აღრიცხვის პირობების შემოწმება;

- 2009 წელს გამოიცა ილუსტრირებული, ყოველკვარტალური ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ჟურნალი „საარქივო მოამბე“. ამასთან, ჟურნალის ერთი ნომერი ითარგმნა აფხაზურ ენაზე;

- 2009 წელს შსს საარქივო სამმართველოს ორგანიზებით ქ. ზუგდიდში ჩატარდა აქცია სახელწოდებით „კედლის გარეშე“. ღონისძიებაში გამოყენებულ იქნა სპეციალიზირებული ბანერები, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები. საარქივო ფონდების სისტემატიზირების, საგნობრივ – თემატური ნიშნით გადაჯგუფებისა და ელექტრონიზაციისათვის განხორციელდა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის სრულყოფის სამუშაოები;

- წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად იკლო ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დანაშაულებმა და გაუხსნლენა საქმეებმა. გასულ წლებთან შედარებით, ამაღლდა გამოძიების ოპერატიულობა და გაუმჯობესდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება.

### **სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა;**

- ხორციელდებოდა სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), კონტრაბანდული საქონლის, მ.შ. ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა

- საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციამ მონაწილეობა მიიღო XVII საერთაშორისო სასაზღვრო კონფერენციაში (შიოფოკის კონფერენცია), სადაც წარმოდგენილი იყო მოხსენება სასაზღვრო უწყებებს შორის ნარკოტიკების უკანონო გადატანის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის საკითხზე.

- დასრულდა სასაზღვრო სექტორი ირგანჩაის მშენებლობა მიმდინარეობს სასაზღვრო სექტორების ვალესა და სადახლოს მშენებლობა, დამთავრდა №18 სამმართველოს (ჯავა-ონის) ადმინისტრაციული შენობის და ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

- გაფორმდა ხელშეკრულება დროებითი სასაზღვრო პოსტებისათვის 60 საცხოვრებელი კონტეინერის მოწოდებაზე თაობაზე;

- მიმდინარეობდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის და ულტრაბალლოვანი კომუნიკაციების ეტაპობრივი დანერგვა;

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის შიდა სატელეფონო კავშირები გადაყვანილ იქნა შინაგან საქმეთ სამინისტროს ავტომატური სატელეფონო სადგურის მომსახურებაზე;

- მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებებით სასაზღვრო სექტორების უზრუნველყოფისათვის შეძენილია 6 კვადროციკლი;

- სანაპირო დაცვის განვითარების მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა სანაპირო დაცვის დეპარტამენტისათვის წყალქვეშა სენსორების და წყლის ზედაპირის მონიტორინგის სისტემების დანერგვაზე;

**პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სამინისტროს თანამშრომელთა გადამზადების კურსების პროგრამების შედგენა.**

- ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საფინანსო დანაყოფების ხელმძღვანელთა და ამავე ქვედანაყოფებში სახელმწიფო შესყიდვებზე უფლებამოსილ მომსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;



- შსს აკადემიამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლასა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან თანამშრომლების გადამზადებაზე;

- ფსიქოლოგთა ჯგუფის მიერ დამუშავდა სალექციო მასალა და ჩატარდა ტრენინგი თემაზე „არასრულწლოვანი და პოლიცია“; შემუშავდა და დაიხვეწა გარემოს დაცვის ინსპექციის თემატური გეგმები და სასწავლო მასალა;

- 2009 წელს გაფორმდა ერთობლივი დეკლარაცია საქართველოს შსს აკადემიისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ჯორჯიის შტატის უსაფრთხოების სასწავლო ცენტრთან შედგევ საკითხებზე: შსს აკადემიაში მომზადებისა და სწავლების მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად ორმხრივად შეთანხმებული პროგრამების განხორციელება, თანამშრომელთა სასწავლო და გაცვლითი პროგრამების განხორციელება საერთაშორისო დონორების მონაწილეობით, მხარეთაშორის თანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვა და ინფორმაციის გაზიარება თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიის და ტექნიკის შესახებ, ურთიერთთანამშრომლობა პოლიციის მომზადების და განვითარების სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

### **ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა**

- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, მნიშვნელოვანი ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვა, ფულადი სახსრებისა და მოძრავი ტვირთების დაცვა - გაცილება.

### **მოსამსახურეთა სოციალური დაცვა**

- საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მოსამსახურეთა სამედიცინო დაზღვევა;

- სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ექიმებთან მიღება გაიარა 58 529 პაციენტი;


სახელმწიფო მატერიალური რეზერვის მარაგის შენახვა და მომსახურება, ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა;

- 2009 წელს მოხდა ჯავშანმოსხნილი მატერიალური ფასეულობების აუქციონის წესით რეალიზაცია და რეალიზაციიდან შემოსული 48.6 ათასი ლარი მიმართული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში;
- პერიოდულად წლის განმავლობაში ტარდებოდა საპასუხისმგებლო შენახვაზე მიბარებული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

### საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური


საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 6 500 ათასი ლარი, 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 757.3 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 4.9%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 519 852.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 489 782.3 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 42 702.2 ათასი ლარით აღემატება.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 94.3%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 5.69%, ხოლო „ვალდებულების კლების“ მუხლში – 0.01%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით 2009 წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ლონისძიებები:

**განათლების სისტემაში ინსტიტუციური მშენებლობის დასრულება, განათლების მართვის სისტემის სრულყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება**

- საქართველოს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ბაზის ფორმირების ღონისძიების ფარგლებში სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2009 წელს შეიქმნა სკოლების რეესტრი, რომელშიც დეტალურადაა ასახული საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა. საჯარო სკოლების აღნიშნული მონაცემთა ბაზა აიტვირთა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე;

- სსიპ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საცავები აღიჭურვა სტელაჟებით, რითაც შესაძლებელი გახდა საბიბლიოთეკო ფონდებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ არქივის სრულყოფილად დაცვა;

- „იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია” პროგრამის ფარგლებში გამაგრდა/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 17 საჯარო სკოლას; დასრულდა 1 საჯარო სკოლის მშენებლობა; მომზადდა 8 ასაშენებელი სკოლის მუშა პროექტი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 საგანმანათლებლო რესურსცენტრს; 2009–2010 სასწავლო წლის პირველკლასელებს დაურიგდათ საქართველოს პრეზიდენტის საჩუქარი – სასკოლო ჩანთები და სახელმძღვანელოები; საჯარო სკოლებში განაწილდა 67,500 ცალი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინდივიდუალური სასკოლო მერხი და სკამი; მოგვარდა რიგი სკოლების გათბობის სისტემები; დაიწყო მუშაობა თანამედროვე სკოლის სტანდარტებსა და სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმაზე;

- საჯარო სკოლების მართვის გაძლიერების პროგრამის (დეცენტრალიზაცია) ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ყველა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის წარმომადგენლისათვის, ასევე წინასწარი გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა სკოლის დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოებისათვის ყველაზე მეტად აქტუალური საკითხები და პრობლემები და მომზადდა ორი გზამკვლევი-სახელმძღვანელოს პროექტი – სკოლების დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოებისათვის;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა არასრულწლოვანი პატიმრებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა; შემუშავდა სასკოლო მზაობის კვლევის ჩასატარებლად საჭირო კვლევის ინსტრუმენტები და უმაღლესი, ზოგადი და პროფესიული განათლების დაფინანსების კვლევის ჩარჩო;

- 2009 წელს დადგინდა ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის გამარტივებული, გამჭირვალე და მოქნილი პროცედურა; სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის შეიქმნა ცენტრის ელექტრონული პორტალი. სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ სტუდენტთა მობილობის მონიტორინგისას შემოწმდა 3 800-ზე მეტი მობილობის მსურველი სტუდენტის პირადი საქმე და სხვა მონაცემი;

- სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის აქტივაციის შედეგად 2009-2010 სასწავლო წლისათვის ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული 23.2 ათასზე მეტი სტუდენტის მონაცემი ინტეგრირებულ იქნა სტუდენტების რეესტრში. ამასთან, განხორციელდა 8.5 ათასზე მეტი სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო

გრანტის მონაცემთა ავტომატური ინტეგრაცია გრანტების მოდულში, რითაც არსებითად გამოირიცხა შეცდომების ალბათობა;

- შეიმუშავდა პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის პროგრამული უზრუნველყოფა და რეესტრში დარეგისტრირდა 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 5 300-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი;

- ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხოურ ენებში, მათემატიკაში, ლიტერატურაში, ისტორიაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. მინისტრის ბრძანებებით დამტკიცდა აბიტურიენტთა აბსოლუტური რანჟირებისა და კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტებმა მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და სახელმწიფო სასწავლო გრანტი;

- 2009 წელს პირველად ჩატარდა საერთო სამაგისტრო გამოცდა, რომელიც შედგებოდა ოთხი ნაწილისგან: ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა, წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა. გამოცემულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები, რომლითაც განისაზღვრა 2009 წლის მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტი. მოცემული ბრძანებებით მაგისტრანტობის კანდიდატებმა მოიპოვეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ სპეციალობის გამოცდაში/გამოცდებში გასვლის უფლება და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტულ სპეციალობაზე ჩარიცხვის შემდგომ სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი;

- საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა;

ზარისხიანი განათლების მიღების თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფა; ჩართვა ერთიან ევროპულ და ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში; ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

- 2009 წლიდან გაიზარდა სკოლების ვაუჩერული დაფინანსება და შეიცვალა ვაუჩერული დაფინანსების წესი. ქალაქისა და სოფლის სკოლებში დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზე. ქალაქში ვაუჩერის ოდენობა სკოლაში პირველ 400 მოსწავლეზე განისაზღვრა 415 ლარით, 400 მოსწავლის შემდეგ კი - 380 ლარით, სოფლის სკოლებში პირველ 200 მოსწავლეზე ვაუჩერის ოდენობა განისაზღვრა 545 ლარით, 200 მოსწავლის შემდეგ კი - 505 ლარით. მთიან რეგიონებში ვაუჩერის ოდენობა შეადგენს 635 ლარს. ქალაქის, სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების კერძო სკოლებისთვის კი ვაუჩერის მოცულობა შესაბამისად შეადგენს 345, 475 და 565 ლარს;

- ვაუჩერის გაზრდიდან გამომდინარე ეტაპობრივად გაიზარდა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. 2009 წლის 1 იანვრიდან საბაზო ხელფასი გაიზარდა 25 ლარით და შეადგინა 220 ლარი, ხოლო ხელფასზე სადამრიგებლო დანამატმა შეადგინა 27,06 ლარი, ხოლო 2009 წლის 1 სექტემბრიდან საბაზო ხელფასი გაიზარდა ასევე 25 ლარით და შეადგინა 245 ლარი, ამასთან ხელფასზე სადამრიგებლო დანამატი გაიზარდა და შეადგინა 62,5 ლარი;

- საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლებს, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადაეცათ სადაზღვევო ვაუჩერი. დამზღვევთა მიერ ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით სადაზღვევო ორგანიზაციისათვის გადასახდელი ყოველ თვიური სადაზღვევო შესატანი (პრემია) 2009-2010 წლებისათვის განისაზღვრა 15 ლარით. ჯანმრთელობის დაზღვევა მიიღო 82 900-ზე მეტმა ბენეფიციარმა;

- მოხდა ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწა. თითოეული საბუნებისმეტყველო საგანი სავალდებულო სახით ისწავლება 4 წლის განმავლობაში; ტრიმესტრული სწავლების ნაცვლად საბუნებისმეტყველო საგნები მთელი წლის განმავლობაში ისწავლება; აგრეთვე, შევიდა ცვლილებები მეორე უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით. საბაზო და საშუალო საფეხურებზე ჯამურად მოიმატა საათების რაოდენობამ თითოეულ საგანში და კვირაში სავალდებულო 5,3 საათის ნაცვლად გახდა 9 საათი. არაქართულენოვანი სკოლებისა თუ სექტორებისთვის მეოთხე ენობრივი საგანი, ანუ მეორე უცხო ენა გახდა არასავალდებულო (ფაკულტატური). ეროვნული სასწავლო გეგმა კიდევ უფრო მორგებული გახდა მოსწავლისა და მასწავლებლის საჭიროებებზე. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა დაიწყო მუშაობა ახალი სტანდარტების შექმნაზე შემდეგ საგნებსა და კლასებში: ბიოლოგია – არჩევითი კურსი (მე-12); ფიზიკა – მე- 11

კლასის და არჩევითი კურსი (მე-12); ქიმია – მე-11 კლასი, მე-12 კლასი და არჩევითი კურსი (მე-12), შეიქმნა სტანდარტების შემუშავებისათვის საგნობრივი კომისიები;

- შემუშავდა სახელმძღვანელოების შეფასების ახალი კრიტერიუმები. მასწავლებელთათვის სახელმძღვანელოების შერჩევის გამარტივების მიზნით ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდა სახელმძღვანელოს ნიმუში, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის წიგნი. ასევე შეიქმნა სახელმძღვანელოების ელექტრონული კატალოგი, რომელიც იძლევა ინფორმაციას, თუ რომელ საგანში რომელი ავტორის/ავტორების სახელმძღვანელოა გრიფირებული. კატალოგი საქართველოს ყველა სკოლას დაურიგდა. გაიზარდა გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების გამოყენების ვადა 3-დან 5 წლამდე, რაც ხარჯების შემცირების ხელშეწყობაა იმ ოჯახებისთვის, სადაც 2 ან მეტი ბავშვია;

- ჩატარდა ეროვნული შეფასება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რაშიც მონაწილეობა მიიღო 230 სკოლის 6.0 ათასზე მეტმა მოსწავლემ. შეფასების შედეგები ცნობილი გახდება 2010 წლის ივნისში, რაც საფუძვლად დაედება შემდგომი ნაბიჯების გადადგმას, მათ შორის, საგნობრივი სტანდარტის დახვეწას;

- ეთნიკური უმცირესობების ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობის გაზრდისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის კიდევ უფრო ხელშეწყობის მიზნით რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა სხვადასხვა საგნების 13 სახელმძღვანელო; პირველად ეროვნული სასწავლო გეგმა გამოიცა რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და დარიგდა არაქართულენოვან სკოლებში;

- 2008-2009 სასწავლო წლიდან 39 საჯარო სკოლაში დაიწყო „სახელობო განათლების ინტეგრირება ზოგად განათლებასთან“ პროექტის პილოტირება. სწავლება მიდმინარეობდა 18 სპეციალობაზე, შემდეგ სფეროებში: ხალხური რეწვა, სოფლის მეურნეობა, ავტოსაქმე, კომპიუტერული პროგრამები, საამკინძაო საქმე და სხვა;

- შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიანი სქემა, რომელშიც გაერთიანდა მასწავლებლის სტანდარტის მომზადების და დახვეწის, მასწავლებელთა ერთიან მონაცემთა ბაზებში რეგისტრაციის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის შემოწმების აკრედიტაციის საშუალებებისა და მასწავლებლებისათვის აკრედიტებული სატრენინგო პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები. შემუშავებულ იქნა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც საჯარო სკოლის ყველა საფეხურისა და ყველა საგნის მასწავლებლის



სტანდარტისა და მასწავლებლის ზოგადი პროფესიული სტანდარტისგან შედგება და განხილულ იქნა 1 300-ზე მეტ მასწავლებელთან;

- 2009 წელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში საქართველოს 12 ათას მასწავლებელზე მეტმა მიიღო მონაწილეობა; პირველად ჩატარდა პროგრამული აკრედიტაცია, შემოწმდა თითოეული პროგრამის ხარისხი და მიზნობრიობა. აკრედიტაციის საფუძველს წარმოადგენდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. აკრედიტაცია 26 ორგანიზაციის 172-მა პროგრამამ გაიარა;

- მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, მომზადდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტები;

- შემუშავებული იქნა მასწავლებელთა რეგისტრაციის მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში დარეგისტრირებულია 78 ათასამდე მასწავლებელი. ინტერნეტის გამოყენებით, ყველა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს, საჯარო სკოლასა და თითოეულ დარეგისტრირებულ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, სისტემაში ორგანიზებულად შეიტანოს, მოიძიოს და განაახლოს მონაცემები. პარალელურად, შემუშავდა მასწავლებელთა ვაკანსიების რეგისტრაციის ვებ-გვერდი, რომელმაც საჯარო გახადა სკოლებში არსებული ვაკანსიები. ვებ-გვერდზე 2009 წელს 825-ზე მეტი ვაკანსია გამოქვეყნდა;

- შეირჩა 50-მდე კვალიფიციური ქართული ენის პედაგოგი, რომელთაც დაენიშნათ 1 000 ლარის ოდენობის ანაზღაურება და გაიგზავნენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული იმ რეგიონებში, სადაც ყველაზე მძიმედ დგას ქართული ენის სწავლების პრობლემა. ამის გარდა, მათ მოვალეობაში შედიოდა „ქართული ენის კლუბების“ მოწყობა, ადგილობრივი კადრებისა და თემის წარმომადგენლების ტრენინგები. 2009 წელს პროგრამის სამიზნე აუდიტორიამ 5 ათასამდე მოსწავლე და 400-მდე მასწავლებელი შეადგინა, ასევე „ასწავლე საქართველოსთვის“ პროექტის ფარგლებში მაღალმთიანი რეგიონების სკოლებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას კადრების დეფიციტი, მივლინებული იყვნენ ორსაფეხურიანი კონკურსის შედეგად შერჩეული და გადამზადებული პროფესიონალი კადრები;

- ხორციელდებოდა მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებშიც, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ, გაიარონ სკოლაში ადაპტაციის პერიოდი და გამოცდილი პედაგოგების

(მენტორების) დახმარებით, მოსწავლეებთან ინტენსიური კონტაქტის შედეგად, გამოიშუშაონ მასწავლებლობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;

- განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების და გრანტების მინიჭების პროგრამის ფარგლებში 2009 წელს ჩატარდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ორი ტური მათემატიკაში, ინფორმატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართული ენა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისთვის, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში. გამოვლენილი იქნენ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებულები და საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრების კანდიდატები. ერთჯერადი ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები. სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლებით. ასევე, პროგრამის ფარგლებში პრეზიდენტის სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, ცხრათვის განმავლობაში გამოეყო საქართველოს 15 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 1 900-ზე მეტ სტუდენტს;

- ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში 2009 წელს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ სამეტაპიანი შერჩევის პროცედურის შედეგად შეირჩა 50 უფროსკლასელი მოსწავლე, რომლებიც გაიგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში აკადემიური სასწავლო წლის გასატარებლად;

- საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის 1000-მდე მოსწავლემ გაიარა სამკვირიანი ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა. საზაფხულო სკოლებისთვის გადამზადდა ინგლისური ენის 18 მასწავლებელი. ადგილობრივი საზაფხულო სკოლებიდან შერჩეული 54 მოსწავლე გაიგზავნა გერთიანებულ სამეფოში ინგლისური ენის საზაფხულო კურსების გასავლელად;

- ქართული ენის პროგრამის ფარგლებში არაქართულენოვანი სკოლისა და სექტორის 6 000-ზე მეტ მე-3 კლასელს დაურიგდა ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო. აზერბაიჯანული, სომხური და რუსულენოვანი სკოლების ყველა მე-9 კლასელს დაურიგდა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები თავიანთ მშობლიურ ენებზე. აღიჭურვა და მომზადდა ქართული ენის სკოლამდელი განათლების 6 ცენტრი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში; აღიჭურვა და გაიხსნა ორი ახალი ენის სახლი დმანისსა და ბოლნისში; სწავლის საფასური

დაუფინანსდა და სტიპენდიები დაენიშნა საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ ოსი ეროვნების 4 სტუდენტს და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულ 8 სტუდენტს;

- მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტილინგვური განათლების სამუშაო ჯგუფი, რომელთაც მოწვეული ექსპერტების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი. შერჩეულ 40 სკოლაში მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი და დაიწყო მულტილინგვური სწავლების განხორციელება. ჩატარდა მულტილინგვური განათლების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მდე მონაწილემ;

- ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შეფასდა 70-მდე ბავშვი, 110-მდე ბავშვისათვის შედგა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და კონსულტაცია მიიღო 50-მდე მშობელმა; თბილისის 10 საპილოტე სკოლამ, რომელშიც ინერგება ინკლუზიური სწავლება, მიიღო ფინანსური დახმარება სხვადასხვა ტიპის საჭიროებებისათვის;

- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2009 წლის განმავლობაში 150-მდე სხვადასხვა ხანგრძლივობის პროგრამებზე სწავლობდა 15 000-მდე სტუდენტი. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა სახელობო განათლების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და განხორციელდა უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის გარემოს მოსაწყობი 14 პროფესიული სწავლების ცენტრის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

- სახელმწიფო სასწავლო გრანტის ფარგლებში 2009-2010 სასწავლო წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 600-ზე მეტი სტუდენტი; უცხო ქვეყნისა და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტთა ხელშეწყობა და სტუდენტთა მობილობის ფარგლებში საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება 2009 წელს მიენიჭა 300-ზე მეტ სტუდენტს; დაფინანსდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული 50-ზე მეტი უცხო ქვეყნის მოქალაქე და 80-მდე სტუდენტი (საქართველოს მოქალაქე), რომელთა ოჯახები დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს. 2008-2009 სასწავლო წლის სწავლის საფასური დაუფინანსდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ, ასევე ამ

თავდასხმის შედეგად დაზარალებულ, აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატში, უმაღლეს პროფესიულ და დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარი), ასევე მაგისტრატურისა და დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ 490-ზე მეტ სტუდენტს, ხოლო 2009-2010 სასწავლო წლის სწავლის საფასური დაუფინანსდა 160-ზე მეტ სტუდენტს. საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლება მიენიჭა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ 43 საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური დაუფინანსდა „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლის შემდგომი განათლების“ ქვეპროგრამაში ჩართულ 91 სტუდენტს;

- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში მომზადდა ორენოვანი (ქართული და ინგლისური) რეკომენდაციები, ანგარიშები და საინფორმაციო ბუკლეტები, ჩატარდა სემინარები, ვორქშოუები, სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, ტრენინგები და სამეთვალყურეო საბჭოს 3 შეხვედრა, მომზადდა სამინისტროს ვებგვერდის ორენოვანი ბმული პროექტის მიზნებზე და შედეგებზე. 2009 წლის ნოემბერში ევროკომისიის ინიციატივით ჩატარდა პროექტის მონიტორინგი და მომზადდა ანგარიში.

**შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება; სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; მეცნიერების განვითარება**

- პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში დასრულდა 2008 წელს საქართველოს საჯარო სკოლებისათვის განაწილებული ტექნიკის (450 ცალი პროექტორი, 500 ცალი პორტატული კომპიუტერი) დარიგება. ამასთანავე, პორტატული კომპიუტერებით სრულად აღიჭურვა საქართველოს 72 საგანმანათლებლო რესურსცენტრი;

- „ერთიანი სამთავრობო ქსელის“ პროექტის ფარგლებში, შპს „მაგთიკომსა“ და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ინტერნეტით უზრუნველყოფას.

- „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში ერთიან საგანმანათლებლო ქსელში გაერთიანდა 446 საჯარო სკოლა და ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრი. ყოველ მათგანს აქვს წვდომა ინტერნეტთან; პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში დამტკიცებული კრიტერიუმის შესაბამისად, გამოვლინდა 3.0 ათასზე მეტი

ბენეფიციარი, რომელთაც საჩუქრად ცერ ე აცჰინეს 525 ტიპის პორტატული კომპიუტერები გადაეცათ.

- დასრულდა მოლაპარაკებები კომპანიასთან „იკროსოფტ“ სასკოლო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და გაფორმდა ხელშეკრულება „იკროსოფტ“-ის ოქროს პარტნიორთან – „ელტა მესტემს“. რომლის თანახმადაც საქართველოს საჯარო სკოლებში დარიგებულ ყველა კომპიუტერზე მოხდება „იკროსოფტ“-ის ლიცენზირებული ოპერაციული სისტემის დაინსტალირება;

- პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო სემინარი პროფესიული განათლების კერძო პროვაიდერებისათვის (34 მონაწილე). ასევე, სხვადასხვა რეგიონსა და თბილისში არსებული 38 პროფესიული სწავლების ცენტრის 70-მდე წარმომადგენლისათვის ჩატარდა ტრენინგი პროფესიული სწავლების ცენტრების მმართველობითი ორგანოებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის, პროგრამების მართვისა და სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის საკითხებში. სახელობო არჩევითი პროგრამები ხორციელდებოდა 61 საჯარო სკოლაში; სახელობო განათლების ლიცენზია მიიღო დამატებით ორმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (გორის უნივერსიტეტი, ბათუმის საზღვაო აკადემია); მომზადდა 24 პროფესიული სტანდარტის პროექტი; არაფორმალური განათლების აღიარების წესის/ატესტაციის პილოტირებისთვის მომზადდა ტესტები ექვს სხვადასხვა პროფესიაში;

- საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამებისა და გრანტების ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებულ 103 სამეცნიერო ჯგუფს და მათ საბაზო ინსტიტუციებს საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის საშუალება მიეცათ; სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის კონკურსში გაიმარჯვა 7 პროექტმა, რის შედეგადაც სამეცნიერო დაწესებულებების ექსპერიმენტული პარკი რამდენიმე ძვირადღირებული თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარით შეივსო;

- „პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის“ და „ახალგაზრდა მეცნიერთათვის უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტები“ პროექტების ფარგლებში გრანტი მოიპოვა 32-მა ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელთა კვლევითი საქმიანობაც ერთი წლის მანძილზე ფინანსურად იყო მხარდაჭერილი. სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება დაუფინანსდა 3 ახალგაზრდა მეცნიერს, მათ მიეცათ წამყვან საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან სამეცნიერო თანამშრომლობის აწყოებისა და განვითარების საშუალება. „მიზნობრივი კვლევისა და განვითარების პროგრამის“

ფარგლებში ჩატარდა მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსი და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ცენტრთან (შთჩ ) ერთობლივად გამოვლინდა გამარჯვებული პროექტები. სამოგზაურო გრანტების კონკურსის შედეგად 58 მეცნიერს მიეცა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის საშუალება. 11-მა სამეცნიერო ჯგუფმა აწარმოა კვლევა საერთაშორისო კოლაბორაციის ფარგლებში. აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდთან (ჩდ ) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდთან (სსგფ) ერთად ჩატარდა ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო კონკურსი, რომელმაც გამოავლინა 6 გამარჯვებული პროექტი;

- კონკურსით გამოვლენილმა 13 წარმატებულმა მეცნიერმა მთელი წლის განმავლობაში საქართველოს 9 რეგიონში მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარა სამეცნიერო-პოპულარული ლექციები სკოლის მოსწავლეებისათვის, აღნიშნული ლექციები 7 სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში მოისმინა 10.0 ათასამდე მოსწავლემ;

- სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ფარგლებში ფინანსდებოდა 2007 და 2008 წლის კონკურსში გამარჯვებული 86 სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტი, ხოლო 2009 წლის კონკურსში განაცხადი შეიტანა 260-ზე მეტმა კანდიდატმა. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების ფარგლებში კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 104-მა მეცნიერმა. გამარჯვებული 66 მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაემგზავრა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე კვლევითი მოხსენებით წარსდგა. ხოლო საკონფერენციო გრანტების კონკურსის ფარგლებში 2009 წელს მონაწილეობა მიიღო 29 პროექტმა, რომელთა შორის გამოვლინდა 3 გამარჯვებული.

- გრანტები ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალისათვის 2009 წლის კონკურსში მონაწილეობა მიიღო 8 პროექტმა, მათგან დაფინანსდა ერთი გამარჯვებული სამეცნიერო ჟურნალი; გრანტები ქართული ელექტრონული ლექსიკონების შესაქმნელად ფარგლებში 2009 წელს კონკურსში 34 პროექტი მონაწილეობდა, მათგან დაფინანსდა მიიღო კონკურსში გამარჯვებულმა ერთმა პროექტმა - „ქართული ენის ორთოგრაფიულმა ლექსიკონი“.

- პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის 2009 წელს კონკურსში მონაწილეობას იღებდა 64 სამეცნიერო პროექტი.


- შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია მეცნიერთათვის (მეცნიერებათა დოქტორები ან/და მათთან გათანაბრებული პირები) 2009 წელს სტიპენდიას იღებდა 2008 წლის კონკურსში გამარჯვებული 10 მეცნიერი. 2009 წელს კონკურსში განაცხადი გააკეთა 52 კონკურსანტმა. ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა

მეცნიერთათვის (მაგისტრანტები და დოქტორანტები) 2009 წელს სტიპენდიას იღებდა 2008 წლის კონკურსში გამარჯვებული 15 ახალგაზრდა მეცნიერი. 2009 წელს კონკურსში დარეგისტრირდა 45 განაცხადი.

### საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო


საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 97 873.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 97 005.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14 583.3 ათასი ლარით მეტია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 91.5%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 7.4%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 1.0%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.1%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2009 წლისათვის განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ლონისძიებები:

**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია, სისტემატიზაცია, დოკუმენტირება და პოპულარიზაცია**

- შესრულდა არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის საძიებო-კვლევითი სამუშაოები, რაც კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის მომზადებისა და შემდგომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების წინაპირობაა;
- გარემონტდა XIII საუკუნის წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესიის გალავანი, რომელიც დააზიანა მდინარე აჭისწყალმა (ოზურგეთის რაიონი);
- უფლისციხის კომპლექსის ინფრასტრუქტურის განვითარების და რეაბილიტაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში დასრულდა საპროექტო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მომზადდა: კომპლექსის გენერალური გეგმა, საპროექტო ობიექტების, კეთილმოწყობის ელემენტებისა და მარშრუტების ჩვენებით; ტრადიციული რეწვის დახლების, საინფორმაციო დაფის, მოსასვენებელი კუთხის, საპიკნიკე ადგილებისათვის მაგიდების და სკამების გეგმები და ნახაზები; ლითონის მოაჯირისა და „მცირე კლდეკარის“ კიბე-ბაქანთა ნახაზები; შესრულდა კომპლექსის ტერიტორიაზე კაფისა და აქტიური დასვენების ზონის



კეთილმოწყობის პროექტები, ასევე შესრულდა მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტიც;

- თბილისის დედაციხის, ნარიყალას, შაჰტახტის კვლევითი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკის ფარგლებში შესრულდა ძეგლის არქიტექტურული ანაზომი, ტოპოგადაღება, დაიწერა სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (რეკომენდაციებით);

- განხორციელდა ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ნეკრესის უძველესი ნაქალაქარის ტურისტულ მარშრუტში ჩართვის მიზნით მომზადდა ნეკრესის უძველესი ნაქალაქარის ზონირების პროექტი;

- მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება გრემის სამონასტრო კომპლექსის (XVI ს.) რეაბილიტაციის სამუშაოები;

- რეკონსტრუქცია ჩატარდა დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობას, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კარიბჭესა და ნაგებობას;

- მიმდინარეობდა ქ. ქუთაისის ბაგრატის ტაძრის საძირკვლის და კორპუსის კონსტრუქციული გამაგრება და გელათის აკადემიის რეაბილიტაცია;

- დასაბეჭდად მომზადდა გამოცემა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე, რომელიც რეგიონების მიხედვით წარმოაჩენს ქვეყნის მემკვიდრეობის ნიმუშებს. აღნიშნული გამოცემისთვის პარალელურად შესრულდა ძეგლების მხატვრული ფოტოგადაღება. აგრეთვე, დასაბეჭდად მომზადდა გამოცემა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის შესახებ და კრებული „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 2008“; გამოიცა გზამკვლევი ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შესახებ;

- მომზადდა საინფორმაციო ხასიათის (საილუსტრაციო ფოტომასალითა და ქართულ-ინგლისური ანოტაციებით) ბანერები, რომლებიც განთავსდა დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, მუზეუმის შენობის წინ და სამთავროს ველის კომპლექსის ტერიტორიაზე;

- ევროპელი და კავკასიელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, „მუზეუმის როლი საზოგადოების განვითარებაში“;

- ჩატარდა ტრენინგები ქ. სიღნაღში და ქ. ზუგდიდში ადგილობრივი მუზეუმების თანამშრომლებისთვის; ქ. თბილისში – მუზეუმების მენეჯმენტის და სხვადასხვა სამუზეუმო საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა მსოფლიოში ერთ-ერთი აღიარებული ექსპერტი სამუზეუმო საქმიანობაში; ევროპელი და სამხრეთ კავკასიელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით „საგანმანათლებლო პროგრამები და კულტურული აქციები მუზეუმებში“;

- მომზადდა ქ. ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაციისა და ახალი ნაგებობის მუშა პროექტი;
- მომზადდა მოწამეთას კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტი
- ჩატარდა ზემო ნიქოზში, ღვთაების მონასტრის ეპისკოპოსის სასახლის ინტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის ჩრდილოეთი კედლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქვითკირის ნაშთსა და ინტერიერში წმ. იოსებ ალავერდელის სამარხზე მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები;
- ჩაუტარდა რეაბილიტაცია სვანეთში დაბა მესტიაში მდებარე კოშკებს. აგრეთვე მომზადდა ისტორიულ ნაგებობათა რეაბილიტაციისთვის აუცილებელი საპროექტო დოკუმენტაცია ზემო სვანეთში;
- გამაგრებითი (სარეაბილიტაციო) სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ კორცხელში ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიასთან დამეწყვილი მონაკვეთის საყრდენ კედელს;
- არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, სამთავროს ველზე, აგრეთვე უჯარმაში, მანავში, ბებრისციხეში, ღალიას სამონასტრო კომპლექსში და გელათში.

### **საზღვარგარეთ საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ხელშეწყობა**

- სამინისტრო მონაწილეობდა ევროსაბჭოს რეგიონალურ პროგრამაში „კიევის ინიციატივა“, რომელიც ხორციელდება საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და მოლდოვაში. პროგრამა ითვალისწინებდა 4 პროექტს: კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია – ისტორიული ქალაქების რეაბილიტაცია, ღვინის მარშრუტი, ალექსანდრე დიუმას მარშრუტი და კინო გზაჯვარედინზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შედგა შეხვედრები თურქეთში, რუმინეთში, საფრანგეთსა და სლოვენიაში (2009 წლის მინისტრიალის ფარგლებში)

- ქ. ერევანში, ჩატარებული ქართული კულტურის დღეების ფარგლებში გაიმართა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის წარმოდგენები და თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი;

- საქართველოს საელჩოს და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზატორებით ჰოლანდიაში, ქ. ამსტერდამში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „ ორნ ინ ეორგია“. აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 25 მხატვარმა. გამოფენასთან დაკავშირებით გამოიცა წარმოდგენილი ნამუშევრების ამსახველი კატალოგი;

- ქ. პარიზში, გაიმართა ქართველი ხელოვანის ელისო ბოლქვაძის კონცერტი თბილისის და პარიზის სიმფონიური ორკესტრების თანამონაწილეობით;

- ქ. სტოკჰოლმში მხატვარ ეთერ ჭკადუას შემოქმედების გამოფენის მოსაწყობად მომზადდა ნამუშევრების ამსახველი კატალოგი;

- ქ. ბერლინში დაგეგმილი XX საუკუნის ქართული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების გამოფენისთვის განხორციელდა ხელოვნების ნიმუშების მოძიება და ფოტოფიქსაცია;

- ქ. სტრასბურგში ევროპის საბჭოში საქართველოს გაწვევრიანების 10 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, ჩატარდა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის კონცერტი;

- საქართველოს ეროვნული კინო-ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით კანის 62-ე კინოფესტივალზე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარმომადგენლებმა. აგრეთვე, დაფინანსდა 2008 წლის აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ქართული ფილმის „ომი და ქორწილი“ გადაღება;

- ქ. პარიზში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ლიანა ისაკაძისა და ეროვნულ მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით;

- განხორციელდა ქართული მინანქრის ხელოვნების ასოციაციის წევრების მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა მინანქრის ბიენალეში „21 საუკუნის მინანქრის ხელახალი დაბადება“;

- 2009 წელს გამართულ 53-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაზე – ვენეციის ბიენალე, საქართველომ მეორედ მიიღო მონაწილეობა. საქართველოს სახელით ვენეციის ბიენალეზე წარსდგა კოკა რამიშვილი ნამუშევრით „ხატვის გაკვეთილი“, ვატო წერეთელი - „აღწერა – თბილისი“, ლევან კოლუაშვილი – „ქალი საქართველოდან“. ქართული პავილიონი გაიხსნა ნიკა მაჩაიძის მუსიკალური გაფორმებით;

- სამინისტროს და კორპორაცია „მაგნუმ ფოტოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს შესახებ წიგნზე, მოძრავ გამოფენაზე, ონლაინ და მულტი-მედია პრეზენტაციებზე და ალბომზე, რომელთა გავრცელებაც შემდგომში იგეგმება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით;

- ქეთევან ჭავჭავანიძის მინანქრის გამოფენა სახელწოდებით „ტიხრული მინანქარი ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ ჩატარდა ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინის საგამოფენო ფოიეში;

- ფლორენციაში ჩატარებულ „კულტურათაშორისო დიალოგი ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ“ საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს წარმომადგენელმა თემით „კავკასია-საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე“;

- გერმანიაში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები ანსამბლი რუსთავის, სამხატვრო აკადემიის ორკესტრის, ეროვნული მუსიკალური ცენტრის და სხვათა მონაწილეობით;

- ქართული გამომცემლობების ევროპულ ბაზარზე დამკვიდრებისა და ქართული წიგნის პოპულარიზაციის მიზნით საქართველო წარსდგა საკუთარი პავილიონით ფრანკფურტში საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე;

- სამინისტრომ მხარი დაუჭირა გარიყულაში თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის ნოვას ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომელთაც წარმოაჩინეს თანამედროვე ხელოვნება;

- დაფინანსდა პოლონეთში ქართველი მხატვრების გამოფენა სახელწოდებით „ტრანსკავკასია 2009“;

- საქართველოს სტუმრობდა ბრიტანულ-ესპანური კომპანია „თჰე უზზ უსინესს“ გადამღები ჯგუფი, რომლებიც იღებენ ფილმს საქართველოზე. ჟურნალისტები ეწვივნენ სხვადასხვა რეგიონებს (კახეთი, ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი);

- სამინისტროს ოფიციალურმა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პარიზში იუნესკოს 34-ე კონფერენციაში;

- დაფინანსდა პირატული პროდუქციის საწინააღმდეგო ვიდეო რგოლების გადაღება, რაც ხელს უწყობს ქართული ლიცენზირებული პროდუქციის გავრცელებას და პოპულარიზაციას;

**სპორტულ სახეობათა განვითარება, ბავშვთა სპორტისა და სპორტის პოპულარიზაცია**

- „სპორტულ სახეობათა განვითარების“ პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება ძიუდოში, ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში, ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, საერთაშორისო ტურნირები და სხვა. სულ აღნიშნული პროგრამიდან დაფინანსებულ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებულ იქნა 10 ოქროს, 15 ვერცხლის და 19 ბრინჯაოს მედალი;

- „ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელდა საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდებისათვის სათანადო საწვრთნელი პირობების შექმნა და ნაკრები გუნდების კანდიდატთა მომზადება, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, პირველობებში და საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად;

- „საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების წევრთა, პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამით განხორციელდა ქვეყნის წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა სტიპენდიების დაფინანსება. სულ ასეთი სტიპენდია მიიღო 211 სპორტსმენმა და 79 მწვრთნელმა. ხოლო პროგრამის „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიები“ ფარგლებში დაფინანსდა 32 ხელოვანი სპორტსმენის სტიპენდია, თითოეული 1000 ლარის ოდენობით;

- „ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა ეროვნული ნაკრები გუნდები, მწვრთნელები და ტექნიკური პერსონალი, აგრეთვე, ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური თამაშები;

- „რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ეროვნული ნაკრები გუნდები მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის მიზნით უზრუნველყოფილნი იყვნენ მაღალკვალიფიციური მწვრთნელებით და ტექნიკური პერსონალით. განხორციელდა ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების და გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობების დაფინანსება. უმაღლესი ლიგის ყველა გუნდმა მიიღო საბაზო დაფინანსება და პრემია, აგრეთვე დაფინანსდა საქართველოს ნაკრები გუნდების შეკრება;

- ევროპის ჩემპიონატის დივიზიონში გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრები გუნდის წევრებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები;

**ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, არაფორმალური განათლება და საერთაშორისო თანამშრომლობა**

- საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამა – „პატრიოტი“-ს ფარგლებში საქართველოს ხუთ რაიონში, ვარციხის, სქურის, ყვავილნარის, შაორის და საგარეჯოს ტერიტორიაზე, გარემონტდა და განახლდა საცხოვრებელი კოტეჯები, სამზარეულოები, საშხაპეები, ღია სცენები და სხვა ნაგებობები. მომზადდა პატრიოტთა გადანაწილების გრაფიკი რეგიონების, რაიონების და ბანაკების მიხედვით. გარდა ამისა, ხორციელდებოდა საომარი მოქმედებების დროს გადამწვარი განმუხურის ბანაკის აღდგენითი სამუშაოები.

### **სახელოვნებო და სასპორტო განათლების სისტემის რეფორმა**

- სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ განხორციელდა უმაღლესი აკადემიური, პროფესიული და საშუალო პროფესიული საშუალო საგანმანათლებლო პროგრამები, ჩატარდა მასტერკლასები და კონცერტები, მათ შორის, სტუდენტთა გასვლითი კონცერტი ევროპულ სკოლაში და საერთაშორისო კონკურსების მონაწილეთა შესარჩევი ტურები;

- სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა ირანული კულტურის კვირეულის ფარგლებში მხატვრული ფილმების ჩვენება-განხილვა, მასტერკლასები, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სახელოვნებო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა და თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება;

- სსიპ – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ სსიპ – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან ერთად ხორციელდებოდა სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა, ჩატარდა პედაგოგთა ტრენინგები და მასტერკლასები, გაიმართა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი კონცერტები;

- სსიპ – თბილისის სამხატვრო სასწავლებლის მიერ ჩატარდა სასკოლო თემატური გამოფენები, პედაგოგთა ტრენინგები, კონკურსის შედეგად შერჩეული იქნა ნამუშევრები პოლონეთში ბავშთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;

### **ხელოვნების განვითარება**

ხელოვნების განვითარების მიზნით თეატრებში, მუზეუმებსა და კულტურის ცენტრებში განხორციელდა სპექტაკლების, გამოფენებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება-მხარდაჭერა. კერძოდ:

- სსიპ – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა 120 სპექტაკლი, მათ შორის 5 პრემიერა;
- სსიპ – თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში გაიმართა 162 სპექტაკლი, მათ შორის 8 პრემიერა, აგრეთვე 51 სხვადასხვა ტიპის საღამო, კონცერტი, მიღება და შეხვედრა;
- სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა 174 სპექტაკლი, მათ შორის, 10 პრემიერა. 26 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე თეატრმა უმასპინძლა თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს;
- სსიპ – თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალურ საბავშვო თეატრში გაიმართა 335 სპექტაკლი. მათ შორის 14 საქველმოქმედო, 18 გასვლითი და შედგა 7 პრემიერა;
- სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრში გაიმართა 83 სპექტაკლი, შედგა 1 პრემიერა;
- სსიპ ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელობის სახელმწიფო ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასმა საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში, სტამბულში, შვეიცარიაში, მადრიდსა და ჰონგ კონგში გამართა 39 კონცერტი, ხოლო 9 კონცერტი გაიმართა საქართველოში;
- სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავი“ ჩაატარა 16 კონცერტი;
- სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლმა „ერისიონი“ გამართა 20 კონცერტი;
- სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მიმდინარეობდა ფოლკლორული ექსპედიციების მასალების ტექნიკური გასუფთავება, 2004-2008 წ.წ. მოძიებული და გადაღებული ფოტო, აუდიო, ვიდეო მასალის კლასიფიკაცია-აღწერა; 2005-2006 წწ საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ლაურეატთა რეპერტუარის გამოცემის პროექტი. ჩატარდა 30 შემოქმედებითი საღამო და სხვა ღონისძიება;
- სსიპ საქართველოს ეროვნულმა მუსიკალური ცენტრმა გამართა 31 კონცერტი და 1 საქველმოქმედო საღამო;
- სსიპ ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა გამართა სულ 15 კონცერტი, ჩაატარა ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“;

- სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდმა გამართა 12 კონცერტი (გორი, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), მათ შორის თბილისის სამხატვრო აკადემიის კამერულ ორკესტრთან ერთად;
- სსიპ მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ გაიმართა 80 წარმოდგენა, მათ შორის 41 დილის წარმოდგენა მოზარდებისათვის, 7 პრემიერა;
- სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოიცა ო. იოსელიანის წიგნი, მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროექტები მოზარდებისა და სტუდენტებისთვის, ცენტრი ახალი პროდუქციით წარსდგა ევროპულ კინობაზრობაზე ბერლინში, გერმანიაში საერთაშორისო ფესტივალზე „ბერლინალე“ და ბელგრადში წარმატებით იქნა ნაჩვენები გ. ოვაშვილის ახალი მხატვრული ფილმი „გაღმა ნაპირი“, გრძელდება მუშაობა ქართული კინოს მონაცემთა ბაზის სრულყოფაზე, შეიქმნა ქართული სასცენარო ვებ-პორტალი;
- სსიპ თბილისის ალ. გრიბოედოვის სახ. რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრმა გამართა 137 სპექტაკლი, შედგა 4 პრემიერა;
- სსიპ მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრმა გამართა 99 სპექტაკლი, შედგა 7 პრემიერა;
- სსიპ გ. მიქელაძის სახ. თოჯინების სახელმწიფო თეატრმა გამართა 187 სპექტაკლი, შედგა 3 პრემიერა;
- სსიპ ახალციხის თოჯინების თეატრმა გამართა 72 სპექტაკლი, მათ შორის 14 საქველმოქმედო, შედგა 6 პრემიერა;
- სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გამართა 71 სპექტაკლი, მათ შორის 4 პრემიერა;
- სსიპ თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ გაიმართა 35 სპექტაკლი, მათ შორის 7 გასვლითი, შედგა 4 პრემიერა;
- სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმმა გამართა 13 სხვადასხვა ტიპის ღონისძიება;
- სსიპ – დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოს ებრაელთა ისტორიის, ეთნოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის, ქართულ-ებრაული ისტორიული ურთიერთობების საკითხებზე;
- მიმდინარეობდა სსიპ – თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრის შენობის კაპიტალური რეკონსტრუქცია-რემონტი;



- ხელოვნების სფეროში გამოცემათა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაარსდა „ლიტერატურული გაზეთი“ და გამოიცა მისი 17 ნომერი, გამოიცა ი. გრიშაშვილის წიგნი „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (1928 წლის გამოცემის ასლი), ხელი შეეწყო შემდეგ გამოცემებს: თ. გეწადის „ანჩისხატი“, მ. მალაზონიას „კლასიკური ლიტერატურის ალბომი“, კ.თოლორდავას „საუბრები ჯაზზე“, გ.გომართელის ლექსებისა და ჩანახატების კრებული;

- ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამის ფარგლებში გაიმართა გურამ საღარაძის საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრში, მოეწყო პაბლო პიკასოს ნამუშევრების გამოფენები საქართველოს ქალაქებში და სხვა;

- ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამის ფარგლებში გაიმართა ბიძინა კვერნაძის საიუბილეო საღამო ოპერისა და ბალეტის თეატრში, ჩატარდა ახალგაზრდა პიანისტთა IV საერთაშორისო კონკურსი, მოეწყო სამხატვრო აკადემიის კამერული ორკესტრის გასტროლები საქართველოს რეგიონებში. გაიმართა თანამედროვე მუსიკის საერთაშორისო მუსიკის ფესტივალი „თანამედროვე მუსიკის საღამოები“; კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, ჩასაბერ საკრავთა საერთაშორისო ფესტივალი, საახალწლო ფესტივალი;

- საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში ქ. თბილისში, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში მოეწყო თანამედროვე ბრიტანული კინოს ჩვენება, გაიმართა ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფილმების ჩვენება, მოეწყო აზერბაიჯანის კულტურის დღეები საქართველოში;

- ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი „ხალხური პოეზიის საღამო“, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ხალხური პოეზიის, უცნობი და ნაკლებად ცნობილი ნიმუშების ფართო საზოგადოებისათვის წარდგენას; „ქართული ფოლკლორის გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედებითი საღამოების“ ფარგლებში განხორციელდა საზოგადოებისათვის მათი შემოქმედების გაცნობა და პოპულარიზაცია, ქართული ფოლკლორის გამოჩენილ მოღვაწეთა წახალისება და დაფასება. „ექსპედიციები და მასტერკლასები სახვითი და გამოყენებითი დარგის მიმართულებით“ ფარგლებში მინდინარეობდა ექსპედიციები და მასტერკლასები გამოყენებით ხელოვნებაში დარგის პოპულარიზაციის მიზნით (ზემო და ქვემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში, თბილისში). „მასტერკლასები ქორეოგრაფიაში“ ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები ქორეოგრაფიის ისტორიასა და ცეკვის დადგმის ხელოვნებაში, ცეკვის კუთხური თავისებურებების წარმოსაჩენად და ქართული ცეკვის სიწმინდის დასაცავად. ასევე, აღნიშნული მიზნად ისახავდა რეგიონებში მოღვაწე ბავშვთა და მოზარდთა თვითმოქმედი

ანსამბლების ქორეოგრაფთა პროფესიული დონის ამაღლებას. „ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდიის ჩაწერები“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფოლკლორული ნიმუშების ჩაწერები ზემო სვანეთში, აჭარასა და გურიაში. „რჩეული ხალხური მელექსეების ხმოვანი ჩანაწერების კომპაქტდისკის გამოცემა“ ფარგლებში მოხდა არქივებში, ტელესტუდიებსა და კერძო კოლექციებში დაცული გასული საუკუნის გამორჩეული მელექსეების ხმოვანი ჩანაწერების თავმოყრა და საზოგადოებისათვის გაცნობა; გამოიცა „ავთანდილ თათარაძის მიერ შეკრებილი ქართული ცეკვის ნახაზებისა და ანოტაციების კრებული“ ქორეოგრაფების, ქორეოლოგების, მოცეკვავეებისა და ამ სპეციალობის სტუდენტებისათვის სასწავლო-სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობაში გამოყენების; გამოიცა სანოტო კრებული და კომპაქტური ალბომი „ოსური ხალხური სიმღერები“ – მივიწყებული ოსური ხალხური სიმღერების სანოტო მასალებისა და ჩანაწერების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მკვლევარებისა და ფოლკლორული ანსამბლებისათვის მათ რეპერტუარში დასამკვიდრებლად; განხორციელდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აუდიო-ვიდეო არქივის სისტემატიზაცია და შეიქმნა მონაცემთა ბაზა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საველე ექსპედიციების საფუძველზე მოძიებული საარქივო-საექსპედიციო მასალის მაგნიტური ფირებიდან ციფრულ მატარებელზე უცვლელად გადაწერის მიზნით.

- სამინისტროს მხარდაჭერით დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში ჩატარდა ტრადიციული დღესასწაული „ფიროსმანობა“, რომლებშიც მონაწილეობდნენ ანსამბლი „ჩვენებურები“ და ჯგუფი „ზუმბა“

- განხორციელდა პროექტი „ქართული ეროვნული ჩოხის გადასარჩენად“, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ეროვნული სამოსის აუთენტურობის დაცვას, ტრადიციული ეროვნული ჩოხის პოპულარიზაციას და მისი წარმოებისათვის დაინტერესებული ახალგაზრდების დასაქმებას, დარგის აღდგენასა და განვითარებას; „ხალხური რეწვის და ფოლკლორის ფესტივალი არტ-გენი 2009“, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის რეგიონებში არსებული ფოლკლორისა და ხალხური რეწვის გაცნობას ფართო საზოგადოებისთვის; საქართველოს რეგიონებში ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, მრავალხმიანი ქართული სიმღერისა და გალობის აღდგენა-დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას მხარდასაჭერად განხორციელდა პროექტი „ქართული მუსიკის პოპულარიზაცია“; ჩატარდა „ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ბიძინი-2009“

- მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში გაიმართა შეხვედრები აზერბაიჯანულ ინტელიგენციასთან, აზერბაიჯანის 1990 წლის ტრაგედიასთან და ნოვრუზბაირამთან დაკავშირებით; აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრთან გაიმართა ხოჯალოს ტრაგედიასთან დაკავშირებით ფილმის პრეზენტაცია, პოეზიის, ლიტერატურის საღამოები, საზეიმო კონცერტები, შედგა

მარნეულის რაიონის სკოლების მოსწავლეთა ექსკურსიები, ჰ. ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა, ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურის საღამო, უ. ბუნიაძესადეს წიგნის „სიცოცხლის გზა“ პრეზენტაცია და სხვა.


- ხელი შეეწყო საქართველოში გაზეთების „ერასტანი“ და „გურჯისტანი“ გამოცემას.
- ქვეყნის მასშტაბით 59 ბიბლიოთეკას დაურიგდა 1 000 ლარის ღირებულების ვაუჩერი, რითაც საშუალება მიეცათ ბიბლიოთეკებს განეახლებინათ თავიანთი წიგნის ფონდები, ქართული გამომცემლობების პროდუქციით;
- მომზადდა და გაიმართა შოთა ნიშნიანიძის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ფილმის ჩვენება, მოეწყო თბილისის წიგნის XI საერთაშორისო ფესტივალი, დამზადდა რუსთაველისა და ეროვნული პრემიების მედლები და დიპლომები; მოეწყო 2008 წლის აგვისტოში დაღუპულ ჯარისკაცთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია და დაღუპული ჯარისკაცის მ. დვალიშვილის ლექსების კრებულის პრეზენტაცია; ხელი შეეწყო გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს; მოეწყო „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციის თანამშრომლებთან, ავტორებთან და მკითხველებთან შეხვედრა; ხელი შეეწყო მთარგმნელობით და საგამომცემლო საკითხებზე ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით შეხვედრებისა და კონფერენციის გამართვას თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.
- გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი 2008 წლის აგვისტოში რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ მეომართა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს მოწყობის თაობაზე (გამარჯვებული პროექტის ავტორია ვ. ხმალაძე); მოეწყო ფოტოგამოფენა „პარალელური ბიოგრაფიები“ (თბილისი, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი); ორჯერ გამოცხადდა კონკურსი „მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 1937 წელს რეპრესირებულ, უსაფლაო, ცნობილ მწერალთა და ხელოვანთა სიმბოლური საფლავის მემორიალის ესკიზურ პროექტზე“, განხორციელდა ნიურბერგის უნივერსიტეტის პროგრამა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის „თანამედროვე ხელოვნება და მენეჯმენტის აქტუალური მხარეები, ორიენტაცია თეორიასა და პრაქტიკაში“. განხორციელდა რეგიონალური მოძრავი საგამოფენო პროექტები „საქართველო კიდევ ერთხელ“ და „ვერ შევცვლი ჩემი ქვეყნის გულისცემას“.

## საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 69 185.6

ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 66 697.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1.6 ათასი ლარით.


2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



**შენიშვნა:** 2008 წლის მონაცემებში ამოღებულია 2008 წელს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებული ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებზე და მათ საბანკო მომსახურებაზე მიმართული სახსრები.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 72.3%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 27.3%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.4%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2009 წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ლონისძიებები:

### პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის

- პროგრამა „ჩემი სახლის“ ფარგლებში აიგო ქ. გაგრის სამგანზომილებიანი მოდელი; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, გეოსაინფორმაციო ( Iშ) სისტემაში მომზადდა ქ. ცხინვალის კარტოგრაფიული საფუძველი და მიმდინარეობდა ქ. ცხინვალის სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება; პარალელურ რეჟიმში მოწესრიგდა ქ. ბიჭვინთის, დაბა ლიძავის, ლესელიძისა და განთიადის სამისამართო მეურნეობები; შეიქმნა ქ. სოხუმის გეოსაინფორმაციო სისტემა;

- ვებ-გვერდზე განთავსდა ქ. გაგრის გეოსაინფორმაციო სისტემის საფუძველი სამისამართო ბაზით და ქსელური სერვისისთვის სამუშაო ინტერფეისის ფუნქციებით; დეტალურად შემოწმდა სოხუმის, გაგრის და ცხინვალის რაიონების ქონებრივი დეკლარაციები, რის შედეგადაც მოხდა აღნიშნული რაიონების ერთიანი მონაცემთა ბაზის განახლება;

- საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლი“-ს სამუშაო ჯგუფს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონების დასახლებული პუნქტების უახლესი კოსმოსური ორთო-ფოტოები; შერჩეულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის არქივში დაცული გასული საუკუნის 80-იანი წლების გაგრის რაიონის აეროფოტოსურათები, რომელთა შესაბამისი დამუშავების შედეგად მიღებულ იქნა მაქსიმალურად სრული ინფორმაცია დეკლარანტის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების შესახებ;

- მიმდინარეობდა ქ. გუდაუთის გეოსაინფორმაციო სისტემის აგება; მომზადდა ინფორმაცია ვებ-გვერდისთვის სათაურით „აფხაზეთი – ისტორიული მიმოხილვა“.

### დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

- დევნილთა კომპაქტური ჩასახლების 145 ობიექტზე განხორციელდა სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: შემინვა – 1 ობიექტზე; სახურავის შეკეთება – 77 ობიექტზე; წყლის ტუმბოს დამონტაჟება – 2 ობიექტზე; ელექტრო კაბელის აღდგენა – 2 ობიექტზე; ელექტრო ენერგიით მომარაგება – 16 ობიექტზე; ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება – 8 ობიექტზე; წყალკანალიზაციის სისტემის მოწესრიგება – 39 ობიექტზე;
- მოძიებულ იქნა კარკასული ტიპის შენობები, რომლებშიც ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნის შემდეგ განთავსდნენ უსახლკარო დევნილები;
- შემუშავდა და საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. საქართველოს მასშტაბით დასრულდა 500-მდე კომპაქტური განსახლების ობიექტის საკუთრებაში გადაცემის პროცესი მათში ფაქტიურად მცხოვრებ დევნილებზე.
- რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული 700 ოჯახი, რომელთაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებზე, უზრუნველყოფილი იქნა საკომპენსაციო თანხებით, თითოეული 10 000 აშშ დოლარის ოდენობით.
- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქ. გორში აშენდა და შესაბამისი საოჯახო ინვენტარით აღიჭურვა 300 საცხოვრებელი სახლი.

### მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

- დასრულდა, სამინისტროსა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს ერთობლივი პროექტი „რეინტეგრაციის მდგრადი მექანიზმების შესაქმნელად საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე

„მიგრაცია და საქართველო – ადამიანური განზომილება და პოლიტიკის მიმართულებები“. კონფერენციის მსვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელები, სტუმრები ევროპის კავშირის წევრი ქვეყნებიდან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

- მიმდინარეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტი „საქართველოში დაბრუნებათა მხარდაჭერა ოპერაციულ დონეზე“, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო კონსულტანტების მიერ იურიდიული კონსულტაცია გაეწია 50-მდე სამშობლოში დაბრუნებულ პირს;

- მიგრაციულ საკითხებზე გაიმართა 12 სემინარი და ტრენინგი. აგრეთვე, შრომითი მიგრაციის არსებული სისტემების და მარეგულირებელ აქტების მიმოხილვის მიზნით გაიმართა სემინარი თემაზე „შრომითი მიგრაცია“;

- შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, და სხვა) ევროკავშირის ქვეყნებში, მიგრაციის მართვის მექანიზმების გაცნობის მიზნით, შედგა სასწავლო ვიზიტები;

- სამინისტრო მონაწილეობას იღებდა რეადმისიის ერთიანი ჩარჩო ხელშეკრულების შემუშავებაში და ევროპის ქვეყნებთან გამარტივებული რეჟიმის შემოღების მიზნით მიმდინარე შეთანხმებებში;

- სამინისტრო საქართველოს მხრიდან აქტიურად მონაწილეობდა პრალის მინისტერიალზე ხელმოწერილი დეკლარაციის (პარტნიორობა მიგრაციის განვითარებისთვის) შემუშავებაში, რომელიც ითვალისწინებს ევროპის კავშირის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას არალეგალური მიგრაციის პრევენციისა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობის საკითხებში;

- საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის მობილური პარტნიორობის ფარგლებში სამინისტრო თანამშრომლობდა გერმანიის მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალურ ბიუროსთან. რომლის საფუძველზეც ევროკავშირს გადაეგზავნა საპროექტო წინადადება საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნებულთა რეინტეგრაციაზე;


- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (I ) შორის გაფორმდა შეთანხმება „დასაქმებაზე კონსულტაციისა და მიმართვის სფეროში“ თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე, რომელიც საშუალებას აძლევს სამინისტროს დასაქმებაზე კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრების მეშვეობით მაქსიმალურად დაეხმაროს როგორც იძულებით გადაადგილებულ, ასევე საქართველოში დაბრუნებულ პირებს;

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება მიგრანტთა საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრების (რესურს ცენტრების) სამინისტროსთვის გადმოცემის შესახებ, რაზეც გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი;
- ეკომიგრანტთა განსახლების მიზნით მიმდინარეობდა აუცილებელი საცხოვრებელი ფართობების მოძიება და შექმნა. სულ ეკომიგრანტთათვის შექმნილ იქნა 127 საცხოვრებელი სახლი.

### საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 539 855.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 503 345.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 143 633.2 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




**შენიშვნა:** 2008 წლის მონაცემებში ჩართულია 2008 წელს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებზე და მათ საბანკო მომსახურებაზე მიმართული სახსრები, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ პროგრამაზე „ბავშვზე ზრუნვა“ მიმართული სახსრები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ



შეადგინა 98.42%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 1.57%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.01%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების მიხედვით 2009 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის პროგრამები/ლონისძიებები:

**სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის (მათ შორის დევნილების) სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა**

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა 914.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის 127 150-ზე მეტი და ურგენტული მკურნალობის 41 000-ზე მეტი შემთხვევა, გეგმიური ჰოსპიტალური მკურნალობის 49 260-მდე შემთხვევა, მშობიარობის 12 760-მდე შემთხვევა, მათ შორის 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული მშობიარობის 200 ლარიანი ვაუჩერით 5 500-მდე მშობიარობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა;
- ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დაფინანსდა 124.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი;
- გრძელდებოდა საქართველოს მასშტაბით სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლების უფასო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

## სოციალურად საშიში დაავადებების მართვა

- ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 105 570-მდე ამბულატორიული შემთხვევა, სტაციონარული დახმარების 7 480-მდე შემთხვევა და სტაციონარული მომსახურების 20 250-ზე მეტი საწოლ/დღე;

- ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რეფერენს-კონტროლის 10 390-მდე, თ-სოციალური მეურვეობის 17 400-ზე მეტი, სუპერვიზიის 200-ზე მეტი, ასევე, 63 720-მდე ამბულატორიული, 140-ზე მეტი ქირურგიულ-სტაციონარული მომსახურების შემთხვევა და დაფინანსდა თერაპიული სტაციონარის – 102 980-ზე მეტი საწოლ-დღე.

- აივ-ინფექციის/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 37 900-მდე მიმართვა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში, მათ შორის: კონსულტაციებისა და კვლევების 34 600-მდე შემთხვევა, შიდსის ამბულატორიული მომსახურების – 2 900-ზე მეტი, ხოლო შიდსის სტაციონარის – 400-მდე შემთხვევა.

- ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სულ 6 260-ზე მეტი შემთხვევა. მათ შორის ხშირი ნოზოლოგიებია სხვადასხვა ინფექცია, სეფსისი, 3 წლამდე ასაკის ბავშვებში პარაზიტოლოგია, კრიტიკული ინფექცია და სხვა.

- აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში (გლობალ ფონდი) პროექტების ფარგლებში:

- ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების ცენტრებში ჩატარდა 1 000-მდე აივ/ტესტირება, მათ შორის გამოვლინდა 8 აივ/ინფიცირებული;

- ჩატარდა ექიმის/ფსიქოლოგის/იურისტის კონსულტაციები სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის; ასევე ჩატარდა ტრენინგები აივ/შიდსთან დაკავშირებულ პროგრამაში ჩართული სოციალური მუშაკებისათვის;

- საქართველოში არსებული გამოცდილებისა და საკანონმდებლო ბაზის, აგრეთვე მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის გაიდლაინი; აივ/შიდსის გავრცელების პრევენციის მიზნით ჩანაცვლებით პროგრამაში ჩართულ პაციენტებს ჩაუტარდათ მედიკამენტოზური მკურნალობა, ფსიქოღიაგნოსტიკური კვლევები, ჯგუფური და ინდივიდუალური ფსიქოთერაპია, კონსულტაციები სოციალურ საკითხებზე;

- საქართველოს ბავშვთა ფედერაციის და მისი კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდებში აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადადები დაავადებების პრევენციის მიზნით 106 სკოლაში 6 300-ზე მეტ მოსწავლეს ჩაუტარდა საინფორმაციო-

საგანმანათლებლო შეხვედრები; ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები რისკ-ჯგუფებში;

- მომზადდა/გადამზადდა ტუბერკულოზის კონტროლში ჩართული სამედიცინო პერსონალი; განხორციელდა ტუბერკულოზის 33 ლაბორატორიის ხარისხის კონტროლი; მკურნალობაში ჩართულ იქნა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული 600-მდე პაციენტი; ტუბერკულოზზე სკრინინგული გამოკვლევა ჩატარდა ნარკოტიკების ინექციურ 2 450-მდე მომხმარებელს; 2 290-მდე ტუბდაავადებული გამოკვლეულ იქნა აივ/შიდსზე;

- საქართველოში არსებული 31 ლაბორატორია აღიჭურვა და მომარაგდა სამედიცინო მასალებით. 48 სამედიცინო დაწესებულება (მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები) უზრუნველყოფილ იქნა მალარიის საწინააღმდეგო მედიკამენტებით.

- ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტის ფარგლებში შესყიდულ იქნა 5 000 ღოზა გრიპის ვაქცინა, რომელიც განაწილდა რისკის პირველი ჯგუფის სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალზე; ჩატარდა პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის ტრენინგი უწყვეტი ზედამხედველობის პროცედურების შესახებ; გრიპის ახალი ტიპის პანდემიისათვის მზადყოფნის მიზნით შეძენილი იქნა ხელოვნური სუნთქვის აპარატები და პირადი უსაფრთხოების ნივთები.

## **ღელათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა**

- ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურების 44 250-მდე შემთხვევა, გადაუღებელი მომსახურების 6 600-ზე მეტი შემთხვევა, მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვების მომსახურების 4 270-ზე მეტი, ახალშობილთა სკრინინგის 62 670-ზე მეტი, ნეონეტოლოგიის – 5 590-ზე მეტი შემთხვევა და სხვა.

- ბავშვთა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ქვეკომპონენტით დაფინანსდა 2 000-ზე მეტი შემთხვევა, მათ შორის 170 ოპერაცია, 5 ნეიროქირურგიული ოპერაცია, 200-ზე მეტი კომპიუტერული კვლევა, 10-მდე სხივური თერაპია, 220-მდე ქიმიოთერაპია, 1 400-ზე მეტი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა.

- სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ექიმთა ვიზიტების 203 150-მდე შემთხვევა. ტესტირებული კვლევის – 250-ზე მეტი, მაღალი რისკის ორსულთა და მელოგინეთა მკურნალობის 2 670-მდე შემთხვევა.

**მიზნობრივი ჯგუფების სპეციფიკური სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კომპონენტების მიხედვით დაახლოებით 20 000-მდე ბენეფიციარის (ღიაბეტით დაავადებულთა, ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა, ონკონკურაბელურ პაციენტთა, ორგანოგადანერგილთა, უმაქრო ღიაბეტით დაავადებულთა, ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით, მუკოვისციდლოზით დაავადებულთა) მედიკამენტებით და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა.

### **სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით**

- პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კონტრაქტით აყვანილია 1 505 ექიმი და 1 629 ექთანი.
  - ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად კომპონენტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირდა ექიმებთან და ექთნებთან ვიზიტის 148 000-მდე შემთხვევა;
  - ღიაბეტთან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 1 000-ზე მეტ პაციენტს;
  - ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ექიმის და ექთნის 7 290 ვიზიტი; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 150-მდე პაციენტის პალიატიური მზრუნველობა;
  - სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 58 350-ზე მეტი ვიზიტი ექიმთან (ყველა ასაკობრივ ჯგუფში) და 6 160-მდე აკრა; ჩატარდა ექიმის 530-მდე კონსულტაცია და 830-მდე ლაბორატორიული კვლევა.

### **მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა**

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 1 245 700-მდე გამოძახება. ჰოსპიტალიზაცია ჩაუტარდა 141 260-მდე პაციენტს.
- რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დამატებითი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების და მედიკამენტოზური დახმარების 66 800-ზე მეტი შემთხვევა, რეფერალური ბრიგადების მიერ ადგილზე კონსულტაციისა

და გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირების 8 760-ზე მეტი შემთხვევა, უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და საქართველოს ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების 27 შემთხვევა, უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების 45 შემთხვევა.

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების მართვა

- დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა: ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში დეტოქსიკაციის 115-მდე, პროფესიულ დაავადებათა პრევენციის კომპონენტის ფარგლებში ოსტეოპოროზის კვლევის 340-მდე და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების 5 700-მდე შემთხვევა, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტის ფარგლებში თანდაყოლილი პათოლოგიის სკრინინგის 1 650-მდე და თანდაყოლილი პათოლოგიის ინვაზიური კვლევის 80-მდე შემთხვევა, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის 17 130-მდე შემთხვევა. ასევე, დაფიქსირდა იმუნოზაციის 432 620-მდე, ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის 1 150-მდე შემთხვევა.

- ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის ეპიდემიოლოგიური კვლევების ხელშეწყობისა და ეპიდაფეთქებების ლაბორატორიული დადასტურების ღონისძიების ფარგლებში ქ. თბილისში ჩატარდა ლაბორატორიული გამოკვლევები მენინგოკოკურ ინფექციაზე, წითელასა და წითურაზე. გარდა ამისა, ჩატარდა სხვადასხვა სახის გამოკვლევები ჯილეხის ჩხირზე, ნაწლავურ ინფექციებზე, თმ -ზე, და ჩ კეპატიტზე, აივ/შიდსის ვირუსის ანტიხეულების არსებობაზე.

## მაღალტექნოლოგიური და სხვა ჰოსპიტალური მომსახურების მიწოდება მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის

- ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 252 400-მდე შემთხვევა, მათ შორის: ჰემოდიალიზის სეანსის – 107 200-მდე და პერიტონეალური დიალიზის – 145 200-მდე შემთხვევა. გარდა ამისა, დაფიქსირდა სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფის – 160-ზე მეტი და თირკმლის ტრანსპლანტაციის – 9 შემთხვევა.

- ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სულ დაფიქსირდა 17 740-მდე შემთხვევა. მათ შორის შემთხვევათა რაოდენობის დიდი ნაწილი მოდიოდა დიაგნოსტიკურ კვლევაზე – 10 740-ზე მეტი. გარდა ამისა, დაფიქსირდა კომპიუტერული დიაგნოსტიკის – 500-ზე მეტი, ქიმიოთერაპიის – 1 590-მდე, სხივური თერაპიის – 370, ნეირონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის – 50-მდე, პალიატიური მზრუნველობის – 2 000-ზე მეტი, ხოლო ონკოჰემატოლოგიის – 1 500-ზე მეტი შემთხვევა.

- მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 16 150-მდე შემთხვევა, მათ შორის კრიტიკული მდგომარეობის – 4 660-მდე შემთხვევა.

- გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია 1 300-ზე მეტი შემთხვევა. მათ შორის: თანდაყოლილი და შეძენილი მანკების დროს ოპერაციული მკურნალობის – 750 და ანგიოპლასტიკის – 570-ზე მეტი შემთხვევა.

- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 1 000-ზე მეტი შემთხვევა;

- ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 9 320-მდე შემთხვევა.

- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 23 340-მდე შემთხვევა.

### **მოსახლეობის სიღარიბის დონის შემცირება**

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაცემულ იქნა საოჯახო დახმარებები და საარსებო შემწევობები. საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შეადგინა 22 700 –მდე პირი; საარსებო შემწევობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შეადგინა 153 000-ზე მეტი ოჯახი. ამასთან, გაიზარდა საარსებო შემწევობის ოდენობა ოჯახის მეორე და ყოველ მომდევნო წევრზე 12 ლარიდან 24 ლარამდე; საარსებო შემწევობის მიმღებ ე.წ. ახალ დევნილთა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მოიცვა 3 ათასზე მეტი ოჯახი.

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სოციალური ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით, სახელმწიფო კომპენსაციებითა და სახელმწიფო

აკადემიური სტიპენდიებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 863.0 ათასზე მეტი პირი. ამასთან, 2009 წლის განმავლობაში ორჯერ, 1 იანვრიდან და 1 ნოემბრიდან 5-5 ლარით გაიზარდა საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის ოდენობა (652.8 ათასზე მეტი ბენეფიციარი) და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დანიშნული სახელმწიფო პენსია (29.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი) და შესაბამისად, 1 იანვრიდან განისაზღვრა 75 ლარით და 1 ნოემბრიდან – 80 ლარით. აგრეთვე, 2009 წლის 1 ნოემბრიდან 5 ლარით გაიზარდა ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძველზე დანიშნული პენსია (110.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი) და შეადგინა 70 ლარი. 2009 წელს სულ სახელმწიფო პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დასაფინანსებლად გადარიცხულია 866.1 მლნ ლარი.

- სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის განხორციელდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. აღნიშნულ პირთა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 83 250-მდე პირი და სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულია 21 974.1 ათასი ლარი.

- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაეწია 3 180-მდე პირს.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 265-მდე წყვილი ყავარჯენი, 732-ზე მეტი სავარძელ-ეტლი, 725-მდე სტანდარტული ხელჯოხი, 250-ზე მეტი წყვილი ხელჯოხ-ყავარჯენი, 40 ცალი უსინათლოთა ხელჯოხი. 1 320-მდე სმენის აპარატი და სხვა.

- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ფარგლებში ლტოლვილთა და დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შემწეობებით უზრუნველყოფილ იქნა 217 277-მდე ბენეფიციარი. ამ მიზნით სულ საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 64 920.6 ათასი ლარი.


### **ბავშვთა კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა**

- პროგრამის „ბავშვზე ზრუნვა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეინტეგრაციის (ბავშვის ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების გამო) შემწეობა გაიცა 630-მდე ბავშვზე. ასევე, „ჩვენი სახლი“-სა და „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამების ფარგლებში მომსახურება გაეწია 1 350-მდე ბენეფიციარს; განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამით მომსახურება გაეწია 14 670-ზე მეტ ბენეფიციარს, ხოლო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კატეგორიის

### საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო


საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 59 298.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 53 132.2 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 67 597.3 ათასი ლარით ნაკლებია. აღნიშნული სხვაობა ძირითადად გამოწვეულია 2008 წელს ენერგოუსაფრთხოებისათვის მატერიალური მარაგების შექმნაზე, აგრეთვე რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფაზე მიმართული სახსრებით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 14.83%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 2.16%, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 83.00%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.01%.





საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები:

- „ბუნებრივი გაზის სექტორში სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების“ ფარგლებში მაგისტრალური გაზსადენის ასპინძა-ახალციხის 300 მმ დიამეტრის 25 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობისათვის, საქართველოს მთავრობის განკარგულების „სამხრეთ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ასპინძა-ახალციხის 30 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებულ დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად, გაფორმდა სასახსო ხელშეკრულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ გამოეყო სესხი, რის შედეგადაც განხორციელდა სამხრეთ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის ასპინძა, ახალციხის 30 - კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამ რეგიონის გაზმომარაგება და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

- შესწავლილი იქნა მდ. მტკვარის ზედა წელის (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) ჰიდროპოტენციალი და მომზადდა ზემო მტკვარის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. სამუშაოები შესრულდა „ორი იდროპოწერ ნჯინერინგ“-ის მიერ. აგრეთვე, შესწავლილი იქნა მდ. რიონის ზედა

წელის (რაჭის რეგიონი) ჰიდროპოტენციალი და მომზადდა ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. სამუშაოები შესრულდა “ კონ ოირ“-ის მიერ, რის შედეგადაც განხორციელდა მდ. მტკვრის ზედა წელის (სამცხე ჯავახეთის რეგიონი) და მდ. რიონის ზედა წელის (რაჭის რეგიონი) ჰიდროპოტენციალის შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს ინვესტორთა მოზიდვასა და დაინტერესებას ამ რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალით.

- განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქ. გორში აშენებული 300 საცხოვრებელი სახლის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის (გარე ელექტრომომარაგება და გამრიცხველიანობა) საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

- ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებების თანახმად ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, ანაზღაურებული იქნა ახალგორის, გორისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის (აბონენტების) მიერ 2009 წლის დეკემბრამდე მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება;

- ყაზბეგის და დუშეთის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიების ფარგლებში მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად თითოეულ აბონენტს თვეში აუნაზღაურდა არაუმეტეს 700 კუბ. მეტრი მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება;

- ჰიდრორესურსების შესწავლის, საპროექტო და ექსპერტიზის ღონისძიებების ფარგლებში, ექსპერტიზა ჩატარდა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმიზაგან“ მოწოდებული -100 მარკის მაზუთის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენის მიზნით.


- ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის ღონისძიებათა ფარგლებში, გრძელდება ხუდონჰესის მშენებლობის განხორციელებადობის შესწავლა - ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, გარემოს და სოციალური პირობების ზემოქმედების შეფასება.

- საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის (500 კვ) გარემოზე ზემოქმედების შესწავლისათვის გამოყოფილი საინვესტიციო გრანტის ფარგლებში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია ლაცკ & Vეტცკ-ს შორის გაფორმებული იქნა საკონსულტაციო ხელშეკრულება.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო


საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 86 257.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 75 160.0 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 4 289.4 ათასი ლარით აღემატება.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 84.0%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 4.2%, ხოლო „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 11.8%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

### სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება

#### პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“

- პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა: ღმანისი-განთიადის სარწყავ სისტემაზე, იაკუბლოსა და პანტიანის წყალსაცავებზე, სათავე ნაგებობებზე და არხებზე, იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალურ არხზე, კაზრეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობაზე და მაგისტრალურ არხზე, დამთავრების სტადიაშია ზედა არხის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია მარნეულის მუნიციპალიტეტში ხრამ-არხის სარწყავ სისტემაზე. გაიწმინდა დანალექისაგან მაგისტრალური არხი, მოეწყო წყალგამშვები კვანძები. მდინარე ხრამზე მდებარე ძირითად სათავე ნაგებობაზე განხორციელდა გამორეცხილი ფლუტბეტის მონოლითური ბეტონით აღდგენის, ამწე-მექანიზმების შენობის გარემონტების, სათავე ნაგებობის ჰიდრომექანიკური მოწყობილობის მოწესრიგების სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა არხიდან ფილტრაციული დანაკარგები. მდინარე ხრამზე მდებარე სათავე ნაგებობის აღდგენამ უზრუნველყო ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობა. სისტემის მოწესრიგების შედეგად ფაქტიურად სარწყავი ფართობი, გაიზარდა რამოდენიმე ათასი ჰექტარით.

- მდინარე ალგეთზე, ქალაქ მარნეულში მდებარე დამატებითი კვების სათავე ნაგებობაზე განხორციელდა მდინარის მარცხენა ნაპირის გამაგრება და წყალმიმღების ბეტონის კონსტრუქციის მოწყობის ბეტონით მოპირკეთების სამუშაოები.

- კასპის მუნიციპალიტეტში დასრულდა სიონის არხის რეკონსტრუქცია, კერძოდ, წყლის მექანიკური აწევით სარწყავი ფართობების ნაწილის თვითღინებით მორწყვაზე გადაყვანის სამუშაოები. მდინარე თეძამზე მდებარე სათავე ნაგებობაზე განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, გაიწმინდა და სამი კილომეტრით დაგრძელდა მაგისტრალური არხი, დამეწყვილ ფერდობზე ჩაეწყო ფოლადის მილები, არხზე მოეწყო მილხიდები და წყალგამშვები ნაგებობები და სხვა. ჩატარებული სამუშაოების და ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ფაქტიურად სარწყავი ფართობის, საორიენტაციოდ 500 ჰექტრით გაზრდა, ხოლო წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდა 1000 ჰექტარზე მეტ ფართობზე. წყალმა ჩააღწია სოფლების დოესის და ხოვლეს ფართობებამდე.

- სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ბაღდათის მუნიციპალიტეტში, დიმიროკითის სათავე ნაგებობაზე და მაგისტრალური არხზე. რის შედეგად მორწყება 3500-ზე მეტი წყალმოსარგებლის 1200 ჰექტარი ფართობი და საშუალება მიეცემა მაგისტრალურ არხზე მოწყობილ ჰიდროელექტროსადგურს დაიწყოს ფუნქციონირება.

- გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიქოზთან დასრულდა ტირიფონი-სალთვისის სარწყავი სისტემის ალტერნატიული სათავე ნაგებობის მშენებლობა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაუმჯობესდება ძლევიჯვარისა და დიდი რუს სარწყავი სისტემების წყალუზრუნველყოფა, სარწყავი წყალი ჩააღწევს სოფლების, სასირეთის და რუისის ფართობებამდე, აგრეთვე შესაძლებელი გახდება წყლის ჩაყვანა სოფლებამდე ქვემო ხვითი, ყელქცეული და ძლევიჯვარი.

**პროგრამა: „სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“**

- პროგრამით გათვალისწინებული სასხრები მოხმარდა საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად ლიკვიდირებული სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის ბაზაზე დაფუძნებული სამელიორაციო მომსახურების სახელმწიფო შპს-ების ფუნქციონირების ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან სესხი გაიცა შპს „ალაზანი-მ“-ზე, შპს „მტკვარი-მ“-ზე, შპს „სიონი-მ“-ზე და შპს „კოლხეთი-მ“-ზე.

**პროგრამა: „მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით (ამონიუმის გვარჯილა) უზრუნველყოფის ღონისძიებები“**

• მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახებისათვის მინერალური სასუქის შესყიდვის მიზნით შესყიდულია 47.1 ათას ტონამდე ამონიუმის გვარჯილა. გატარებული ღონისძიებები უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლის ღონისძიებების ხარისხიანად ჩატარებას, რის შედეგად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა.

**პროგრამა: „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“**

პროგრამის ფარგლებში სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო:

• ქ. ბერლინში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო გამოფენაში, „მწვანე კვირეული“, სადაც მონაწილეობას იღებდა აგრო-სამრეწველო სექტორის 12 წარმომადგენელი და გამოტანილი იყო სხვადასხვა პროდუქტი (ღვინო, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, დაფნა, ჩაი, მწვანილი, ბრენდი „სარაჯიშვილი“ და სხვა). დამთვალიერებლები დაინტერესდნენ ქართული საკონსერვო პროდუქტებითა და ჩაის ნაწარმით, მოწონება ხვდა წილად შპს „ტიბაანელის“ წითელ ღვინოს.

• ქ. დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო სპეციალიზირებულ გამოფენაში „პროვინ – 2009“, მონაწილეობა მიიღეს ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა. გამოფენაზე წარმოდგენილმა ქართულმა ღვინომ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ქართული კომპანიების წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება დაემყარებინათ კონტაქტები ცნობილ იმპორტიორებთან.

• ქ. ტოკიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენაში „X ყ 2009“, მონაწილეობდა აგრო-სამრეწველო სექტორის 7 წარმომადგენელი, გამოტანილი იყო სხვადასხვა დასახელების პროდუქცია (ღვინო, შუშხუნა ღვინო, ბრენდი, თაფლი, თხილი). განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია თაფლმა და ღვინომ, კერძოდ: 33-მა კომპანიამ გამოთქვა სურვილი ქართულ კომპანიებთან თანამშრომლობაზე.

• ქ. ლონდონში „ლონდონის საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენაში“ ( I თ ლ თ I ჯ I & შ I ლ თ შ I ლ ), რომელიც წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენაა, წარდგენილი იქნა სულ 20.0 ათასი დასახელების ღვინო. მათ შორის, საქართველოდან გამოფენაში მონაწილეობას იღებდა ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი 11 კომპანია („თბილღვინო“, „ ჭ შ - ს ი “, „ბაგრატინო 1882“, „ვანმენი“, „კახური“, „შატო მუხრანი“, „ოროველა“, „თელიანი ველი“, „თელავის ღვინის მარანი“, „სარაჯიშვილი“, „ქინძმარაულის მარანი“). გამოფენაში

მონაწილეობით ქართულ მეღვინეებს და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ კომპანიებს საშუალება მიეცათ გამოენახათ ახალი ბიზნესპარტნიორები და შესაბამისად, აეთვისებინათ გასაღების ახალი ბაზრები.

- ქ. ვარშავაში საკვები პროდუქტებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „იფე პოლონეთი 2009“ (I ოქტომბერი 2009). საქართველოდან ზემოაღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კომპანიები: „თბილისის მარანი“, „გორკონი“, „ბორჯომი“. წარმოდგენილი პროდუქციით დაინტერესდნენ უცხოური კომპანიები, აგრეთვე დიდი ინტერესი იქნა გამოჩენილი ქართულ ხილსა და ბოსტნეულზე.

- ქ. რიგაში საკვები პროდუქტებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „რიგა ფუდი 2009“ (დI ოქტომბერი 2009) – მონაწილეობა მიიღეს ქართული ღვინის კომპანიებმა: „ბაგრატიონი 1882“, „ოკამი“, „შატო მუხრანი“ და ასევე თხილის, თაფლის და ჩაის დარგის წარმომადგენლებმა. ლატვიელმა მომხმარებლებმა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა დიდი დაინტერესება გამოხატეს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მიმართ.

- ქ. ფრანკფურტში გაიმართა სურსათის ინგრედიენტების საერთაშორისო გამოფენაში „ I ღ I თმ ღ 2009“ – მონაწილეობა მიიღო ხუთმა ქართულმა კომპანიამ: „ეორგიან უტს“, „ეკოპექსი“, „ტყიბულის ჩაი“, „ლაურუს“ და „ჰერბია“. უცხოური კომპანიების მიერ განსაკუთრებული ინტერესი იქნა გამოხატული ქართული თხილისა და ღვინის მიმართ. რაც შეეხება ქართული მწვანე ღვინის ექსპორტს, უმეტესწილად მოთხოვნა იყო მისი გამშრალი სახით მიწოდებაზე. ქართული ჩაის მიმართ დაინტერესება გამოხატა რამდენიმე კომპანიამ.

- ქ. კიოლნში გაიმართა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა „ 2009“, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ საქართველოს აგროსამრეწველო სექტორის შემდეგი წარმომადგენლები: „ბაგრატიონი 1882“, „სარაჯიშვილი“ „ტიბანელი“, „ლეულაძეების ღვინის კომპანია“, „ელკანა“, „ძველი ქართული ტრადიციები“, „ქინძმარაული“, „თელიანი ველი“, „საქართველოს ჩაის ასოციაცია“. ქართულმა ღვინის კომპანიებმა, გამოფენის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღეს ღვინის დეგუსტაციაში. შედეგად, „თელიანი ველის“ საფერავმა და „ბაგრატიონის“ ცქრიალა ღვინომ მიიღეს ბრინჯაოს მედლები.

**პროგრამა: „რუსეთის აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სათესლე მასალით უზრუნველყოფის ღონისძიებები**

- რუსეთის აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სათესლე მასალით უზრუნველყოფის მიზნით სათესლე მასალა დაურიგდა 5 052 ოჯახს.

## მეგენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა

**პროგრამა: „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“**

- თურქეთში ღვინის საერთაშორისო გამოფენა-დეგუსტაციის მოწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 14-მა ღვინის კომპანიამ, მათ შორის სამმა კომპანიამ დალო ხელშეკრულება თურქულ სადისტრიბუციო კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობაზე.

- ქ. ლონდონში, ქ. ზაგრებში და ქ. თბილისში საკონფერენციო დარბაზის მომზადების, საერთაშორისო ღვინის კონგრესის და საერთაშორისო კონკურს-დეგუსტაციის მოწყობის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული პროდუქციის რეალიზაციისათვის, უცხოური ბაზრების შესწავლას და მარკეტინგული კვლევის ჩატარებას, რაც წინაპირობაა საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინოების კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებისათვის.

**პროგრამა: „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“**

- პროგრამით გათვალისწინებული თანხები სესხის სახით გაიცა შპს „გუგულზე“ და შპს „რუჯზე“. პროგრამა ითვალისწინებს უკანასკნელ წლებში ღვინის რეალიზაციის შემცირებით გამოწვეული დიდი ოდენობით დაგროვილი ღვინომასალების ნაწილის შექმნასა და მათ გამოხდას საბრუნდე სპირტებად. პროგრამის განხორციელებით გაიზარდა ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიების ფინანსური პოტენციალი და საწარმოო სიმძლავრეები, შეიქმნა მოსახლეობისაგან მაქსიმალური ოდენობით ყურძნის მიღების და პროდუქციის კვლავწარმოების წინაპირობა. განხორციელდა შემდგომი დავარგებისათვის ნაკლებპერსპექტიული ღვინომასალების გადახარისხება, რაც ხელს შეუწყობს ღვინოპროდუქციის ხარისხისა და მათი საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას.

**პროგრამა: „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“**

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა მოსახლეობის მიერ ყურძნის გადამამუშავებელ კომპანიებზე ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურებას. სულ გაცემულ იქნა 5 474.8 ათასი ლარის ვაუჩერი, ფიზიკურ პირებზე ფაქტიურად გაცემულია 12 107 ვაუჩერი, მათ შორის: რქაწითელზე – 2 512 ვაუჩერი, საფერავზე – 8 090, ხოლო ალექსანდროული-მეჯურეთული ჯიშის ყურძენზე – 1 505 ვაუჩერი. აღნიშნული ღონისძიებით ხელი შეეწყო ყურძნის რეალიზაციას.



### **პროგრამა: „ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებები“**

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა ჰიბრიდული ჯიშის ნარგაობების შემცირებას 93.7 ჰექტარზე, რის შედეგადაც შეიქმნა გამოთავისუფლებულ ფართობებზე ვაზის ნარგაობის განახლების, ჯიშობრივი გადახალისების და ფართობების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობა.

### **სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფა**

#### **პროგრამა: „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“**

- პროგრამის ფარგლებში აღებულ იქნა სურსათის და სასმელი წყლის 2 499 ნიმუში, ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით 548 ნიმუში არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს, რაზედაც გამოტანილი იქნა დადგენილება სურსათის ადამიანთა საკვებად (სასმელად) გამოყენებისათვის უვარგისობისა და ბაზარზე განთავსების აკრძალვის შესახებ, მათ შორის, ეროვნული სამსახურის მიერ 101 ნიმუშზე საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური;

#### **პროგრამა: „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებები გასულ წელს შეძენილი ვაქცინების მარაგის ხარჯზე :

- თურქულის საწინააღმდეგოდ – 332 038 სული მსხვილფეხა და 43 798 სული წვრილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია.
- ჯილეხის საწინააღმდეგოდ – 69 649 სული მსხვილფეხა, 3 103 სული წვრილფეხა პირუტყვის და აგრეთვე 42 სული კენტჩლიქიანი ცხოველის დაცვითი აცრა.
- ცოფის საწინააღმდეგოდ - სულ 110 614 სასოფლო სამეურნეო და შინაური ცხოველის ვაქცინაცია.

#### **პროგრამა: „მცენარეთა დაცვა“.**

- პროგრამის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში განხორციელდა ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში ამერიკული თეთრი პეპელას ორივე თაობის წინააღმდეგ უნივერსალური შემასხურებელი აგრეგატით

„ტიფა-100“-ით ჩატარებულია ღონისძიებები 18 165 ჰექტარზე, უახლესი ტექნოლოგიის „ცხელი ნისლის“ გამოყენებით და „სკაუტის“ ტიპის აგრეგატებით აეროზოლური „ცივი“ შესხურებით დამუშავებულია სულ – 17 211 ჰექტარი, „სოლო“ ზურგსაკიდი ძრავიანი აპარატებით – 954.4 ჰექტარი.

- აღმოსავლეთ საქართველოში და ქვემო ქართლში კალიების წინააღმდეგ „ტიფა 100“-ით და „სკაუტი“-ით დამუშავდა 5 209 ჰექტარი. ავიაციის გამოყენებით დედოფლისწყაროს, ახმეტისა და სიღნაღის რაიონებში – 6 618 ჰექტარი.


- ჩატარებულია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელის მონიტორინგი და ამ ქიმიკატების ხარისხის ლაბორატორიული კვლევები. აღებულია პესტიციდების – 192 ნიმუში და აგროქიმიკატების – 131 ნიმუში.

### საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

#### რესურსების სამინისტრო


საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 38 033.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 36 255.8 ათასი ლარი, რაც 2008 წელს შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 7 245.8 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 68.12%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 31.83%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.05%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

**„გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა“**

- პროგრამა „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებების“ ფარგლებში გაცემულ იქნა გარემოზე ზემოქმედების 103 ნებართვა.
- პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარების“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დაიბეჭდა თუშეთის, ვაშლოვანის, ლაგოდეხის, ქობულეთის, კოლხეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების, მტირალას და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების ტურისტული რუკების ქართულ-ინგლისური ვერსიები, სულ 32 000 ცალი.

- დაიბეჭდა 16 000 ცალი თუშეთის, ლაგოდეხის, კინტრიშის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის, ქობულეთის და კოლხეთის დაცული ტერიტორიების ღია ბარათები.

- საერთაშორისო ტურისტული გამოფენისათვის საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ შეიქმნა პავილიონის ტერიტორიის საგამოფენო ფართის (30მ<sup>2</sup>) დიზაინი და დამზადდა დეკორაციები აღნიშნულ ცენტრში სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის გამოყოფილ ფართზე განსათავსებლად.

- დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისათვის შესყიდულ იქნა 28 500 ერთეული ღია ბარათი.

- საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ მომზადდა სარეკლამო რგოლები.

- დაიბეჭდა და გავრცელდა დაცული ტერიტორიების საფოსტო ბარათები ;

- საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია განთავსდა სარეკლამო ბანერებზე ქ. თბილისში და ქ. საგარეჯოში, აგრეთვე ინტერნეტ-გვერდზე და საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსის ვებ-გვერდზე.

- დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო: ქ. ბათუმში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ ატუმი ხპო 2009 ” და მე-11 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში ქ. თბილისში.

• პროგრამა „მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ნაპირსამაგრი სამუშაოები ძირითადად სრულდებოდა შემდეგ ობიექტზე:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარჩელში - მდ. ჯუმაზე მიმდინარეობდა ქვანაყარი ბერძის მშენებლობა; აბაშის მუნიციპალიტეტი, ქ. აბაშაში - მდ. რიონზე მიმდინარეობდა მიწის დამბის მოწყობა; ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, დ. შორაპანში - მდ. ყვირილაზე მიმდინარეობდა საყრდენი კედლის მშენებლობა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, დ. ჩოხატაურში - მდ. სუფსაზე მიმდინარეობდა ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა და სოფ. ხიდისთავში - მდ. გუბაზოულზე არსებული კედლის გამაგრება; ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარხანში - მდ. აბასთუმნის წყალზე ეწყობოდა ქვანაყარი ბერძა; გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაკლში - მდ. მტკვარზე მიმდინარეობდა ქვანაყარი ბერძის მოწყობა; სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. მენჯში - მდ. ცივზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ.

ჟვარში - განხორციელდა ღვარცოფული ხევის გაწმენდა; ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცოფურში - მდ. ხოფურზე აიგო 20 მ. ნაპირსამაგრი ბეტონის კედელი; ქ. ამბროლაურში - მდ. კრიხულაზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხოლო მდ. რიონზე განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოების მოსამზადებელი ღონისძიებები; ქ. ონში - მდ. რიონზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები; ქ. ქუთაისში - მდ. რიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ერისიმედში, - მდ. ბელქანჩაიზე მიმდინარეობდა მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები; ჩონატაურის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩონატაურში - მდ. სუფსაზე სამშენებლო მშენებლობა;

- ქ. ხაშურში - მდ. სურამულაზე ქიპერიძეების უბანში დასრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები; მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაზერში - უშბის ხევზე დასრულდა მშენებლობა ნაპირსამაგრი ბეტონის კედლის. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ქ. საგარეჯოში - წიფლის ხევზე დასრულდა ბეტონის ნაპირდამცავი კედლის მოწყობა; აბაშის მუნიციპალიტეტი, კეთილარის თემში, - მდ. რიონზე დასრულდა დატბორვის საწინააღმდეგო დამბის მშენებლობა; ქ. ქუთაისში, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე - მდ. რიონზე ეწყობოდა ქვანაყარი ბერძა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარჩელში - მდ. ჯუმზე, ქვანაყარი ბერძით მოეწყო ნაპირგასწვრივი ნაგებობა;

- ქ. წალენჯიხში - მდ. ჭანისწყალზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები; ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, დაბა შოროპანი - უშბის ხევზე დასრულდა ნაპირსამაგრი ბეტონის კედლის მშენებლობა; გარდაბნის რაიონში სოფ. ალთაკლაში მდ. მტკვარზე - დასრულდა ეროზიისა და დატბორვის საწინააღმდეგო ნაგებობის მშენებლობა; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყანდაურაში დასრულდა სკოლის ტერიტორიის დამცავი გაბიონის ნაგებობის მშენებლობა; ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაღლოჯიანში - მდ. შოროხევზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტი - მდ. ჩაქვისწყალზე, ხალას სკოლასთან მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

• „საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და დროებით უსაფრთხო განთავსების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შვიდი პუნქტიდან შეგროვებული იქნა 63 ტონა ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდები, რომლებიც შეიფუთა და განთავსდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ბადიაურში სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ საწყობში.

- ორი პუნქტიდან გატანილი იქნა 380 ტონა პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტი და განთავსდა იაღლუჯის შხამქიმკატების სამარხის ტერიტორიაზე ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ სამარხში.

- პესტიციდებისგან და პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტისგან დასუფთავებულ ობიექტებზე ჩატარდა სადეზაქტივაციო სამუშაოები.

• „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში რეინჯერებისათვის შექმნილ იქნა 15 მეხანძრის ფორმა.

- „მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში 2009 წლის განმავლობაში გადაირიცხა განაღდებული 115 397 შეშის ვაუჩერით ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი – 1 514.3 ათასი ლარი (გამოყოფილი იყო 529.6 ათასი მ<sup>3</sup> სათბობი შეშა).

- „საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული სამუშაოების“ პროგრამის ფარგლებში:

- საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ციფრული განახლებული ტოპოგრაფიული რუკების შესაქმნელად ხელშეკრულება გაფორმდა თურქული ფირმა „I თ შ ჩ თ ღ“-თან ციფრული არქივირებული და ახალი მონო და სტერეო კოსმოსური სურათების მოწოდების თაობაზე. აღნიშნული ფირმის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად მოწოდებულია 233.4 კმ<sup>2</sup> ფართზე არქივირებული ციფრული მონო სურათები და ციფრული ახალი მონო და კოსმოსური სურათები 100 კმ<sup>2</sup>-ზე, ასევე ახალი სტერეო სურათები 119 კმ<sup>2</sup>-ზე;

- საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის 670.0 კვ.კმ. ფართზე პირველად შეიქმნა 1:10 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკები ჭ შ-84/ თ -ის მსოფლიო კოორდინატთა სისტემაში, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიისთვის და საზღვარზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. აუცილებელია, აგრეთვე თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო პოლიციისთვის.

### „ეფექტიანი რესურსთსარგებლობით უზრუნველყოფა“

პროგრამის „სატყეო ღონისძიებების“ ფარგლებში:

- ქვეპროგრამა „მოსახლეობის სათბობი შეშით დაკმაყოფილების მიზნით სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფა“ – ჩატარებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულებები 520 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე მერქნის ტყეკაფების გამოსაყოფად, მათ შორის რეგიონების მიხედვით: გურია – 15.0 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, იმერეთი – 50.0 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, კახეთი – 85.2 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, მცხეთა-მთიანეთი – 85.0 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 42.0 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, სამეგრელო ზემო სვანეთი – 60.0 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, სამცხე-ჯავახეთი – 70.0 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, შიდა ქართლი – 50.0 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე, ქვემო ქართლი – 62.8 ათასი მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე;

- საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, გაფორმდა ექვსი ხელშეკრულება, სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში არსებულ გრძელვადიანი ტყითსარგებლობის პერსპექტიულ სალიცენზიო 9 ობიექტზე (ახმეტა, თელავი, თიანეთი, ადიგენი, საჩხერე, ხაშური, ქარელი, გორი, დუშეთი) 20 625 ჰა ფართობზე ტყის

ფონდის საერთო შესწავლისა და მასზედ საექსპლუატაციო მერქნული რესურსის დადგენის მიზნით;

- სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ტყით სარგებლობის მიზნით აუქციონზე გასატანად, შერჩეულ იქნა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოში შემავალი მესტიისა და ხაიშის სატყეო უბნები. გაფორმდა ოთხი ხელშეკრულება 30 118 ჰა ფართობზე ტყის ფონდის საერთო შესწავლისა და მასზე საექსპლუატაციო მერქნული რესურსის დადგენის მიზნით;

- 2008-2009 წლებში გამოყოფილი ტყეკაფების ნაშთიდან მოსახლეობაზე, საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და საპატრიარქოზე გაცემულ იქნა დაახლოებით 651.0 ათასი მ<sup>3</sup> შეშა;


- საექსპლუატაციო ტყის ფონდის დადგენის სამუშაოები განხორციელდა სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის 50 743 ჰა ფართობზე. დაზუსტებული ტყითსარგებლობის სალიცენზიო ობიექტები გაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონზე გასატანად;

- განხორციელდა წაბლნარი კორომების გაჯანსაღება, ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაუმჯობესდა ტყეების სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა.

### **საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური**


საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 44 692.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 44 666.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 3 061.1 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 86.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 13.3%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



### საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი


საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 2 144.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 938.5 ათასი ლარი, რაც 2008 წელს შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 49.6 ათასი ლარით.





საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.5%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.5%.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველისა და მისი აპარატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი, ძლიერი და ეფექტური წარმომადგენლობების ჩამოყალიბება საქართველოს რეგიონებში

- ომბუდსმენის ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რაც ითვალისწინებს სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაზრდასა და მის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ზედამხედველობის უფრო ეფექტურად განხორციელებას.

- სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფების მიერ 2009 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის შემოწმების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში განხორციელდა 405 ვიზიტი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით აპარატის თანამშრომლებმა განხორციელეს 300 ვიზიტი. სამხედრო ნაწილებში ჰაუპტგასტების მონიტორინგის მიზნით თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ქვედანაყოფებში განხორციელდა 9 ვიზიტი. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრმა მონიტორინგის მიზნით განხორციელა 18 ვიზიტი მზრუნველობამოკლებულ და უნარშეზღუდულ ბავშვთა ინსტიტუტებში.

- განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული 3 865 განცხადება.

- გავრცელებულ იქნა 201 პრესრელიზი, გამართა 42 პრეკონფერენცია და ბრიფინგი.
- საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსების 10 წლის აღსანიშნავად, 2009 წლის თებერვალში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „გამოხატვის თავისუფლება“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 12 ქვეყნის ომბუდსმენებმა და მათმა წარმომადგენლებმა. კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში მომუშავე ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენებები საქართველოში ადამიანის უფლებათა და

თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2008 წლის მეორე ნახევარში და 2009 პირველ ნახევარში.

### **მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით**

- ქ. თელავსა და ქ. მარნეულში გაიხსნა სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების რეგიონული ცენტრები.


- სახალხო დამცველის ქუთაისისა და ბათუმის სამოქალაქო განათლების ცენტრების ორგანიზებით ჩატარდა დებატების/დისკუსიების ციკლი კონკურსის საფუძველზე შერჩეული სტუდენტებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის შესახებ მათი ცოდნის გაზრდას.

- გაიმართა სახალხო დამცველის შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან, სადაც განხილულ იქნა სახალხო დამცველის პრიორიტეტები, შესაბამის რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, არსებული პრობლემები და ადგილობრივ საზოგადოებასა და სახალხო დამცველის ოფისს შორის თანამშრომლობის საკითხები. ტოლერანტობის ცენტრის კოორდინაციით მომზადდა და გამოიცა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ბიულეტენის ორი ნომერი.

- საქართველოს ოთხ ქალაქში - ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და ახალქალაქში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებრივი მდგომარეობა და მათი სოციალური ინტეგრაცია საზოგადოებაში“. შეხვედრაზე განხილულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა რეგიონებში, მათ წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები, ადგილობრივი პროგრამები და ღონისძიებები, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, გაიმართა წლის შემაჯამებელი კონფერენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე.

### **სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი**


სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა – 26 500.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 26 499.6 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1 597.2 ათასი ლარით.



სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 73.8%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 26.0%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 0.2%.

### სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 824.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 914.2 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 142.2 ათასი ლარით მეტია.




სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 3.2%.

### სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია


სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 10 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 9 999.7 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8 993.8 ათასი ლარით ნაკლებია.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 88.2%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 11.8%.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება



### საქართველოს საპატრიარქო

საქართველოს საპატრიარქოსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 25 660.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 25 659.9 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 16 142.8 ათასი ლარით.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 54.5%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 45.5%.

**სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო**

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასივნებებმა შეადგინა 4 347.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 4 345.2 ათასი ლარი, რაც 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს 234.3 ათასი ლარით აღემატება.

2008-2009 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასივნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის ეროვნული ბიუროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 88.3%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 11.7%.

## თავი VII

### უცხოეთიდან მიღებული გრანტები, კრედიტები (ვალდებულებების ზრდა) და ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე

2009 წლის განმავლობაში უცხოეთიდან მიღებულმა გრანტებმა, კრედიტებმა და ნებაყოფლობითმა ტრანსფერებმა (მათ შორის, ბიუჯეტის მხარდამჭერმა) შეადგინა 1 183.0 მლნ ლარი. აღნიშნული სახსრებიდან ხარჯებზე მიბმული კრედიტების, გრანტების და ნებაყოფლობითი ტრანსფერების ფარგლებში ჩამორიცხულმა სახსრებმა შეადგინა 581.8 მლნ ლარი.

გადასახდელების ნაწილში ხარჯზე მიბმული გრანტების, კრედიტებისა და ნებაყოფლობითი ტრანსფერების საკასო შესრულებამ შეადგინა 569.8 მლნ ლარი. (ათვისებულ იქნა 2008 წელს საინვესტიციო პროექტების ფარგლებში აუთვისებელი სახსრების ნაწილი). ამასთან, 2009 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობისათვის და ამ პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 209.7 მლნ ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 189.2 მლნ ლარი.

### გრანტები



2009 წლის განმავლობაში გრანტების სახით მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 387.7 მლნ ლარი. მათ შორის:

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები 141.9 მლნ ლარი.

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის მხარდაჭერის” პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი პირველი საგრანტო ტრანშები 5 მლნ ევროს ოდენობით, რამაც კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 11.2 მლნ ლარი;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის “დეწილთა სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა, 2008 წელი II ნაწილი” ფარგლებში გამოყოფილი პირველი და მეორე საგრანტო ტრანშები შესაბამისად 12.1 მლნ ევროს და 27.0 მლნ ევროს ოდენობით, რამაც ჯამში კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 93.7 მლნ ლარი.;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მაკროფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი პირველი საგრანტო ტრანში – 15.3 მლნ ევროს ოდენობით, რამაც კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 37.0 მლნ ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ხარჯებზე მიბმული გრანტები – 245.7 მლნ ლარი;

- მსოფლიო ბანკის გრანტები – 6.9 მლნ ლარი;
- გლობალური ფონდის გრანტები – 19.0 მლნ ლარი;
- აშშ-ს გრანტები (ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმება) – 179.3 მლნ ლარი;
- გერმანიის გრანტები – 19.8 მლნ ლარი;
- სხვა გრანტები ( შ ლშ ( I,შI ), , ლ ,შჰქIთბ ლ ) – 10.4 მლნ ლარი;
- ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხული მიზნობრივი გრანტები – 10.3 მლნ ლარი;

**ვალდებულებების ზრდა – ბიუჯეტის მხარდამჭერი და საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები**

2009 წლის განმავლობაში საგარეო წყაროებიდან კრედიტის სახით მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 786.9 მლნ ლარი. მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხების სახით მიღებულია 452.5 მლნ ლარი, რომელიც დონორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტის “განვითარების პოლიტიკის პირველი ღონისძიების” ( -I)-ის ფარგლებში – 149.1 მლნ ლარი;
- აზიის განვითარების ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტის “ზრდის აღდგენის მხარდამჭერი პროგრამის” ფარგლებში – 133.0 მლნ ლარი;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის „შტანდ- ყ რრანგემენტ“ (შ ) პროგრამის ბიუჯეტის მხარდამჭერი ფინანსური რესურსის ფარგლებში – 170.4 მლნ ლარი.

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა სახელმწიფოების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები – 334.4 მლნ ლარი.

დონორების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსოფლიო ბანკი – 207.8 მლნ ლარი;
- აზიის განვითარების ბანკი – 44.5 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი – 7.0 მლნ ლარი;
- ღ – 5.5 მლნ ლარი;
- საფრანგეთი – 10.5 მლნ ლარი;
- კუვეითი – 11.7 მლნ ლარი;
- გერმანია – 47.4 მლნ ლარი;

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში 2009 წლის თებერვალში ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხა 10.6 მლნ ლარი, ეს თანხა წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ბ) და გ) ნაწილებით განსაზღვრული ღონისძიებების

დასაფინანსებლად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2008 წლის განმავლობაში საკრედიტო ხელშეკრულების ეფექტურობამდე გაწეული ხარჯების რეტროაქტიულ დაფინანსებას.

### ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე

2009 წლის განმავლობაში უცხოეთიდან მიღებულია ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე 8.4 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- 1.7 მლნ ლარი (1 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი). აღნიშნული თანხა მიღებულია თრცო-ს, შჩ ცო-ს და ფინანსთა სამინისტროს შორის 2007 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების ფარგლებში. ეს თანხა უნდა მოხმარდეს მილსადენის გაყვანის დროს დაზიანებული გზების რეაბილიტაციას. პროექტის განმახორციელებელი და თანხის განმკარგავია საგზაო დეპარტამენტი. სულ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მილსადენის კომპანიებისაგან 10 მლნ აშშ დოლარის მიღება. 2009 წელს ჩამორიცხული 1 მლნ აშშ დოლარი ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო ტრანშია.
- 6.7 მლნ ლარი (4 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი) “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა” და საქართველოს მთავრობას შორის საქართველოსათვის საგრანტო პროგრამის შექმნის შესახებ” (40 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საგრანტო პროგრამა) 2006 წლის 26 ივლისს ხელმოწერილი “ჩასწორებული და განახლებული ხელშეკრულების” ფარგლებში ჩარიცხული მეოთხე დამატებითი გრანტი.

2009 წლის განმავლობაში ინვესტიციური პროექტების განსახორციელებლად მიღებული საკრედიტო და საგრანტო რესურსითა და პროექტების ანგარიშებზე ამ პერიოდისათვის რიცხული ნაშთებით, პროექტების განმახორციელებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესრულდა შემდეგი სამუშაოები სფეროების მიხედვით:

## ჯანდაცვის სექტორი

საანგარიშო პერიოდში „ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი“-ს ფარგლებში განხორციელდა ჯანდაცვის სისტემის, ჰოსპიტალებისა და პირველადი ჯანდაცვის 70 მენეჯერის გადამზადება.

20 კლინიკისათვის დამტკიცდა 10 ახალი სამედიცინო სახელმძღვანელო.

საერთაშორისო კონსულტანტის მიერ მოწოდებულია ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელიც განხილული იქნა და დადებითად შეფასდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ.

მთავრობის განკარგულებით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2009 წლიდან ამოქმედდა „ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად“. გადაწყდა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფლის ექიმებთან და ექთნებთან გაფორმდა კონტრაქტები ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ. შესაბამისად, 2009 წლიდან გადასამზადებელ კონტინგენტს სოფლად წარმოადგენენ ის ექთნები და ექიმები რომელთაც ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ გაუფორმა კონტრაქტები, ხოლო რაიონულ ცენტრებში – წინა წელს კონკურსის წესით შერჩეული სამედიცინო პერსონალი.

საანგარიშო პერიოდში „ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი“-ს ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების II და III რაუნდები. 2009 წლიდან აღნიშნულმა რაუნდმა მოიცვა კახეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, რაჭის და აჭარის რეგიონებში მომუშავე სოფლის ექიმების და იმ ექთნების ტრენინგი, რომელთაც ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ გაუფორმა კონტრაქტები. ორი ტრენინგი ჩატარდა თბილისში, ორი – ბათუმში. გამოძღვლენენ გამარჯვებულები. ტრენინგების ამ რაუნდმა მოიცვა 653-მდე ექიმი და ექთანი.

„ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი“-ს ფარგლებში დაიწყო საოჯახო მედიცინაში გადამზადების ახალი ექვსთვიანი მეორე რაუნდი, რომელიც სამედიცინო პერსონალის 120 გუნდს (240 ექიმსა და ექთანს) მოიცავს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული სტრუქტურების გაძლიერებისა და ლაბორატორიული ქსელის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტის გუნდისა და აშშ-ს მთავრობის პროექტის ფარგლებში მომუშავე ორგანიზაცია „ თლ“-ს ძალისხმევით მოხდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრისათვის რეგიონებში აუცილებელი ფართისა და სათავსოთა ფუნქციური განაწილების განსაზღვრა, რომელიც საფუძვლად დაედება შესაბამის სარეაბილიტაციო/სამშენებლო არქიტექტურულ პროექტს. პროექტი 5 ობიექტზე (ახალციხე, ზუგდიდი, ფოთი, ამბროლაური, ოზურგეთი) განახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს, ხოლო 1 ობიექტზე (ქუთაისი) - სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მშენებლობისას, შეთანხმებისამებრ, პროექტი იხელმძღვანელებს „ თლ“-ს მიერ შემუშავებული სტანდარტული არქიტექტურული პროექტით. პროექტის ძირითადი მონახაზი 2009 წლის აპრილის თვეში მომზადდა და შეთანხმდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ხოლო გორის ლაბორატორიისათვის სრული არქიტექტურული პროექტი და სამუშაოთა აღწერილობა აგვისტოს თვეში გადაეცა პროექტის გუნდს.

ნარკომანიის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი. კერძოდ, შემუშავდა საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ ახალი რედაქცია და ამ კანონპროექტიდან გამომდინარე კანონპროექტები.

**შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის შიდსის პროექტები-ს ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

– ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა შიდსის კანონმდებლობის ანალიზსა და რევიზიაზე, ახალი, ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შემუშავების მიზნით დაასრულა მუშაობა და მოამზადა „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ;

– შიდსის ცენტრის თანამშრომლები ეწვივნენ კონფლიქტურ რეგიონში - ქ. სოხუმის ინფექციური სნეულებების, შიდსის პროფილაქტიკისა და მკურნალობის რესპუბლიკურ ცენტრს, სადაც ხორციელდება აივ ინფიცირებულთა ტესტირება და მკურნალობა.

ახალგაზრდებში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით:

– ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები სკოლებში;

– ჩატარდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები ახალგაზრდების ინფორმირების მიზნით;

– შეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდების კულტურულ საგანმანათლებლო სეგმენტისა და საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის ფარგლებში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები. ჯანსაღი ცხოვრების სასკოლო კლუბებთან თანამშრომლობით ყრუ-მუნჯმა მოსწავლეებმა მოამზადეს ინტეგრირებული პლაკატი-კალენდარი შესტების ენაზე.

– მოეწყო შეხვედრები ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ახალგაზრდებთან, მათ შორის, ქართულ-ოსური შერეული ოჯახების წარმომადგენლებთან. ახალგაზრდებს დაურიგდა საგანმანათლებლო მასალები.

**გლობალური ფონდის პროექტის „ თმ სტრატეგიის სრულყოფა საქართველოში“** ფარგლებში ტუბერკულოზის ავადობის, გავრცელებისა და სიკვდილიანობის შემცირების მიზნით:

– ჩატარდა ღონისძიებები საინფორმაციო-საგანმანათლებლო რისკ-ჯგუფებში, მოსახლეობასა და ტუბერკულოზით დაავადებულ პირებთან, საინფორმაციო მასალები გასავრცელებლად გადაეცა რეგიონალურ კოორდინატორებს, ასევე თბილისის საჯარო და კერძო სკოლებს;

– დაიბეჭდა და გავრცელდა სახელმძღვანელო „ტუბერკულოზის ბაქტერიოსკოპული დიაგნოსტიკა“;

– ჩატარდა ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის ინფექციის პრევენციული ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით.

**გლობალური ფონდის პროგრამის „მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია“** ფარგლებში მალარიის დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საქართველოში არსებული 80 ლაბორატორიიდან 31 ლაბორატორია აღიჭურვა სამედიცინო მასალებითა და ტექნიკით, 48 სამედიცინო დაწესებულება უზრუნველყოფილ იქნა მალარიის საწინააღმდეგო მედიკამენტებით.

მალარიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჯანდაცვის სამსახურების შესაძლებლობათა შემდგომი გაძლიერების მიზნით მობილურმა ჯგუფებმა მონახულეს ახალციხის, ზესტაფონის, ბაღდათის, ვანის რაიონებისა და ქ. ფოთის, ბათუმისა და ქობულეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრები, სადაც გაეწიათ მეთოდური და პრაქტიკული დახმარებები მალარიის პრევენციის მიზნით.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ჩატარდა 5 სასწავლო სემინარი თემაზე: „მალარიის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა“, გადამზადებულ იქნა 52 ლაბორანტი და პარაზიტოლოგი.

„ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისთვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი“-ს ფარგლებში გაფორმდა კონტრაქტი ქვეყნის პანდემიური გრიპისთვის მზადყოფნის ინტეგრირებული გეგმის შესაქმნელად და მიმდინარეობდა უცხოელი კონსულტანტების შეფასება ინტეგრირებული ლაბორატორიის მენეჯმენტის გასაძლიერებლად;

შესყიდულ იქნა 2008-2009 წლის სეზონური გრიპის ვაქცინის 5 000 დოზა, რომელიც გაუკეთდა რისკის პირველი ჯგუფის პერსონალს;

დასრულდა ახალშობილთა სუნთქვის აპარატების დისტრიბუცია მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებზე და რეანომობილების შესყიდვა, ასევე პირადი უსაფრთხოების საშუალებათა მიწოდება.

შეძენილი და გადაცემული იქნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ერთეულებისათვის 70 კომპიუტერი.

დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო მასალები: „კალენდარი 2009-2010“ (15 000 ცალი) და ბროშურები ფერმერებისათვის (20 000 ცალი).

„ტუბერკულოზის კონტროლის რეგიონალური პროგრამის II ფაზის ( 3)“-ს ფარგლებში მიმდინარეობდა ახალი რეფერენს ლაბორატორიის დაპროექტების სამუშაოები. ლაბორატორიის მშენებლობის განმახორცილებელი კომპანიის გამოსავლენად გაიმართა ტენდერი. პროექტის ფარგლებში შესყიდული იქნა პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტები.

## სოფლის მეურნეობის სექტორი

საანგარიშო პერიოდში „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში შუახევის, ღუშეთის, ასპინძისა და ონის რაიონებში დასრულდა ყველა ტენდერი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნით. კერძოდ, გაფორმდა კონტრაქტი ღუშეთი-გრემისხევის გზის რეაბილიტაციის მიზნით, მდინარე არაგვზე სოფელ სალაჯურებში ხიდის მშენებლობაზე, ონის რაიონში ზუდალისა და გომის ხიდების რეაბილიტაციაზე. გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები ასპინძა-ოთის, ასპინძა-ჭობარეთის, სხეფი-გომარდულის გზების რეაბილიტაციაზე და სოფ. ნალვარევში ახალი ხიდის მშენებლობაზე.

ფინანსთა სამინისტროსა და ოთხ არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) შორის „სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი“-ს ფარგლებში ხელი მოეწერა მეორად სესხზე ხელშეკრულებებს. ამასთან, შეირჩა საერთაშორისო კომპანია, რომელიც ტრენინგებს ჩაუტარებს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებს.

იოს არტნერი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის მიერ მომზადდა საქართველოს ღვინის სექტორის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიშის პროექტი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს მიაწოდა 30 ცალი ჯიპი (პიკაპი) და 42 მაცივარი.

„ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისთვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი“-ს ფარგლებში მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი ბრუცელოზის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.



ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს „ ჩ “ - აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში ხელი მოეწერა 146 პროექტს (9.9 მლნ აშშ დოლარი). აქედან 111 არის საწარმოთა ხელშეწყობის კომპონენტის პროექტები საერთო ბიუჯეტით 4.8 მლნ აშშ დოლარი, 24 უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის პროექტი, საერთო ბიუჯეტით 3.5 მლნ აშშ დოლარი და 11 (საერთო ბიუჯეტით 1.6 მლნ აშშ დოლარი) სატრაქტორო პარკების პროექტი, რაც ჯამში 3 600 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებს, ხოლო დამატებით სარგებელს მიიღებს დაახლოებით 4 500 ფერმერი.

2009 წლის განმავლობაში სულ გაიცა 6.3 მლნ აშშ დოლარი, აქედან 4.5 მლნ აშშ დოლარი არის საწარმოთა ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, ხოლო 1.7 მლნ აშშ დოლარი უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის კომპონენტის ფარგლებში.

### „ ჩ “ - საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დასრულდა ორ საინვესტიციო პროექტის განმახორციელებელ კომპანიასთან საინვესტიციო შეთანხმების ხელმოწერა და მათში ინვესტიციების განხორციელება საერთო თანხით 5.0 მლნ აშშ დოლარი. განხორციელდა ორი ახალი ინვესტიცია საერთო თანხით 3.7 მლნ აშშ დოლარი, ასევე დამტკიცდა და განხორციელდა ახალი ინვესტიცია (დამატებითი) პორტუგელის კომპანია „ბაზი“-ში საერთო თანხით 0.5 მლნ აშშ დოლარი. მნიშვნელოვნად გაიზარდა საინვესტიციო პორტუგელის კომპანიებისათვის გამოყოფილი ტექნიკური დახმარების რაოდენობა. დამტკიცდა ოთხი ახალი ტექნიკური დახმარების წინადადება საერთო თანხით 186.5 ათასი აშშ დოლარი.

საერთო ჯამში საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ფონდის საინვესტიციო პორტუგელში იყო 10 კომპანია, რომლებშიც ფონდმა განახორციელა ინვესტიცია საერთო თანხით 21.5 მლნ აშშ დოლარი, რაც ფონდის საინვესტიციო ბიუჯეტის დაახლოებით 85% შეადგენს. ამ თანხის 80%-ზე მეტი ინვესტირებულია რეგიონულ პროექტებში, უმეტესად აგრობიზნესისა და ტურიზმის სექტორებში.

დამტკიცებული პროექტების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში საინვესტიციო პორტუგელის კომპანიების ანგარიშზე გადარიცხული იყო 20.6 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანად დამტკიცებული ინვესტიციების 96%-ს შეადგენს.

გრძელდება ფონდის მიერ მიღებული თანხების რეინვესტირება. 2009 წლის დეკემბრის ბოლოსათვის საინვესტიციო პორტფელის კომპანიებიდან ფონდის ანგარიშზე გადარიცხულმა საერთო შემოსავალმა შეადგინა 1.6 მლნ აშშ დოლარი, აქედან რეინვესტირებული იყო 1.1 მლნ აშშ დოლარი.

გაიხსნა ფონდის მიერ დაფინანსებული ბეტონის ქარხანა ქალაქ ფოთში და კომპანია „ეკოპექსის“ განახლებული თხილის გადამამუშავებელი ფაბრიკა სოფელ მისაქციელში.

გრძელდებოდა საინვესტიციო პორტფელის კომპანიებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა. 2009 წლის დეკემბრის ბოლოსთვის დამტკიცებული იყო 13 ტექნიკური დახმარების პროექტი (აქედან 5 იყო დასრულებული) საერთო თანხით 423 ათასი აშშ დოლარი.

## ენერგეტიკის სექტორი

### ელექტროენერგეტიკული ბაზრის მხარდამჭერი პროექტი:

დისპეტჩერული მართვის ავტომატიზირებული სისტემის შჩ და ტელეკომუნიკაციის პროექტის ფარგლებში დისტანციური მართვის ტერმინალური კვანძების (დთ ) ნაწილში დასრულდა „წერტილი-წერტილთან“ შემოწმების ტესტი შემდეგი ქვესადგურებისათვის: ზესტაფონი 500, ზუგდიდი 220, რუსთავი 22, გურჯაანი 220, ხრამჭესი, რიონჭესი, შაორჭესი, ტყიბულჭესი, ყინვალჭესი, ზაჭესი, ხრამჭესი 2, ვარციხეჭესი 1, ვარციხეჭესი 2, ვარციხეჭესი 3, ვარციხეჭესი 4, ენგურჭესი, ვარდნილჭესი, გუმათჭესი 1; გუმათჭესი 2; ფერო 220, გარდაბანი 220/110 ნაწილში, ნავთლული 220, ბათუმი 220 და წყალტუბო 110;

დასრულდა მრიცხველებიდან იმპულსური სიგნალების მიღების ტესტი ყველა ობიექტისათვის; ჩატარდა დთ -ს მოწყობილობებისათვის ობიექტზე მიღების (შ თ) ტესტი ქვესადგურში „რუსთავი220“, „ლისი220“ და „დიდუბე 220“; განხორციელდა მზომი ხელსაწყოების მიერთების სქემის გაწყობა და სიზუსტის კლასის შემოწმება, ასევე,

წყლის დონის მზომი ხელსაწყოების მონტაჟი და გაწყობა; სადისპეტჩეროში დამონტაჟდა შჩ -ს აპარატურა და დისპეტჩერის სამუშაო ადგილები; შИ შ-მა ჩაატარა სწავლება/ტესტირება შ პროგრამების გამოყენების მიზნით ტვირთის მოხნის ( ოად შჰადდინგ), ჰიდრო-თბური კოორდინაციის ( თჩ), გენერაციის ავტომატური კონტროლის ( ჩ) და ტვირთის პროგნოზირების ( ჩ) პროგრამაზე; მოხდა დისპეტჩერების გადასვლა ახალ სამუშაო ადგილებზე და შჩ -ს აპარატურით აღჭურვილი სადისპეტჩეროს მუშაობაში გაშვება; შეიცვალა კავშირის კონდენსატორიდან მიერთების ფილტრამდე ჩამომყვანი სადენი და დამიწების სადენი ყველა ობიექტზე; დამთავრდა გაწყობითი სამუშაოები ბოლო კავშირებზე: ენგურჰესი-ზესტაფონი 500, რიონჰესი-გუმათჰესი 2 და გუმათჰესი 1; დამონტაჟდა და გაეშვა მიკროტალღური კავშირები ვარციხეჰესების და ენგურჰესი-ზუგდიდი-220 მიმართულებით; ჩატარდა შ / მოწყობილობების ტესტი (შ თ) კონტრაქტორ კომპანია შИ შ-თან ერთად სსე-ის შემდეგ ქვესადგურებში: ორთაჭალაჰესი და ქ/ს „დიღუბე 220“; სსე-ის სპეციალისტებისა და შИ შ-ის ერთობლივი მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდა სატელეკომუნიკაციო შ / ქსელის რეალურ დროში ტესტირების პროცესი; განხორციელდა ახალი სატელეფონო სისტემის აპარატების მონტაჟი ქვესადგურებში და ახალი ციფრული სატელეფონო სისტემის ადგილზე მიღების (შ თ) ტესტირება; სსე-ს სათაო ოფისში შИ შ-მა დაიწყო სწავლება სსე-ს სათაო ოფისისა და სერვის ცენტრების ტექნიკური პერსონალისათვის ოპტიკური კაბელის დაკიდების, გადაბმისა და გაზომვის ნაწილში; დამთავრდა სათაო ოფისის შჩ -ს აპარატურის გარანტირებული კვების კაბელიზაცია, მონტაჟი და გაწყობა.

## რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია I

ქ/ს „გარდაბანი 500“-ში შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში დამონტაჟდა ცენტრალური მართვისა და მონიტორინგის თანამედროვე სისტემა, რომელიც მიუერთდა შჩ -ს სისტემას; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 220კვ 12, 16, 19, 21, 22, 23, 24 და 25 უჯრედებს, ძალოვანი მოწყობილობებისა და მინაერთის სარელეო დაცვისა და მართვის ციფრული მოწყობილობების ჩათვლით; 220კვ 09, 08, 07, 06, 05, 03 და 01 უჯრედებში დამონტაჟდა ახალი ელ-გაზური ამომრთველები; აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა სარელეო დაცვისა და მართვის ფარის ახალი შენობა; სრულიად გამოიცვალა ახლად დამონტაჟებული მოწყობილობების საკაბელო მეურნეობა; დამონტაჟდა ახალი ცვლადი და მუდმივი დენის ფარი ახალი მართვის ფარის შენობაში; ქ/ს-ის გარდაბანი-220 ახალი მართვის ფარის შენობაში დამონტაჟდა ახალი

საკუმულატორო ბატარეები; დამონტაჟდა კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობები 220/110/6კვ ნაწილის დამოუკიდებელი ელ-კვების უზრუნველსაყოფად; ძალოვანი/საკონტროლო და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები განთავსდა ახალი მართვის ფარის შენობიდან 500კვ ქვესადგურამდე; კაბელები და საკონტროლო კაბელები განთავსდა ახალი მართვის ფარის შენობიდან №9 ენერგობლოკამდე; მოეწყო 220კვ ქვესადგურში დამოუკიდებელი შესასვლელი, მისასვლელი, შიდა გზა, განათებისა და ვიდუო კონტროლის სისტემები;

### **ქ/ს „ლისი 220“-ის მინაერთების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში:**

დამონტაჟდა ცენტრალური მართვისა და მონიტორინგის თანამედროვე სისტემა, რომელიც მიუერთდა შჩ -ს სისტემას; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 220კვ 03, 05, 09, და 10 უჯრედებს, ძალოვანი მოწყობილობებისა და მინაერთის სარელეო დაცვისა და მართვის ციფრული მოწყობილობების ჩათვლით; სრულიად გამოიცვალა ახლად დამონტაჟებული მოწყობილობების საკაბელო მეურნეობა და დამონტაჟდა სალტეთაშორისი და შემოვლითი სალტის ციფრული დაცვები.

ქ/ს “მარნეული 220”-ის 220 კვ მინაერთების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში: 220კვ 01 და 04 უჯრედებში დამონტაჟდა ახალი ელ-გაზური ამომრთველები და სარელეო დაცვის ციფრული მოწყობილობები; ასევე დამონტაჟდა სალტეთაშორისი და შემოვლითი სალტის ამომრთველის სარელეო დაცვის ციფრული მოწყობილობები.

ქ/ს „დიდუბე 220“-ის 220 კვ მინაერთების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში: 220 კვ-ის 01 და 02 უჯრედებში დამონტაჟდა სარელეო დაცვის ციფრული მოწყობილობები; ასევე ქვესადგურის გარე განათება;

### **ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა**

ქ/ს „გარდაბანი 500“-ში 500 კვ ქვესადგურში შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში: 500კვ ნაწილი მიუერთდა ცენტრალური მართვისა და მონიტორინგის თანამედროვე სისტემას, რომელიც თავის მხრივ მიუერთდა შჩ -ს სისტემას; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 500კვ 01/ , 01/ , 01/ჩ, 02/ , 03/ , 03/ , 03/ჩ და 04/ჩ უჯრედებს, ძალოვანი მოწყობილობებისა და მინაერთის სარელეო დაცვისა და მართვის ციფრული მოწყობილობების ჩათვლით; დამონტაჟდა და

ექსპლუატაციაში შევიდა სარელო დაცვისა და მართვის ფარის ახალი კონტეინერული სისტემა; სრულიად გამოიცვალა ახლად დამონტაჟებული მოწყობილობების საკაბელო მეურნეობა; დამონტაჟდა ახალი ცვლადი, მუდმივი ღენის ფარი და სააკუმულატორო ბატარეები 03/ უჯრედში განთავსებულ ახალ კონტეინერში; ასევე დამონტაჟდა კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობები 500კვ ნაწილის დამოუკიდებელი ელ-კვების უზრუნველსაყოფად; მოეწყო 500კვ ქვესადგურში განათების და ვიდეო კონტროლის სისტემა;

ქ/ს-ში გარდაბანი-330, უჯრედში ჩ01 გამოიცვალა საქაერო ამომრთველი და მის ნაცვლად დამონტაჟდა ელ-გაზური ამომრთველი, აღნიშნული მინაერთი აღიჭურვა სარელო დაცვის და უჯრედის კონტროლის ციფრული მოწყობილობებით;

**შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის** ფარგლებში მიმდინარეობდა სატენდერო ღოკუმენტაციის მომზადება და ტენდერში მონაწილეობისათვის წინასაკვალიფიკაციო განცხადებების მიღება. განაცხადი წარადგინა სულ 45 კომპანიამ;

**ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (ხულონის კომპონენტი)** ფარგლებში, პროექტის განმახორციელებლის განმარტებით, **ღ ინგენიერიე/ ღშ როგეტტი**-მ წარმოადგინა I ფაზის დაწყებისა და შუალედური ანგარიშები. ასევე წარმოდგენილ იქნა II ფაზის ანგარიშის პროექტი, რომელიც მოიცავდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გარემოსდაცვითი მენეჯმენტ-გეგმისა და განსახლების სამოქმედო გეგმის პროექტებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან მიღებული შენიშვნები ხულონის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტთან დაკავშირებით გადაგზავნილ იქნა **ღ ინგენიერიე/ ღშ როგეტტი**-სთვის;

**ჩოლენცო ოწერ ნგინეერინგ/შტუცკყ** აქტიურად მუშაობდა ხულონის ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის III ფაზაზე. წარმოადგინა ხულონის კაშხლის ტიპის შერჩევის ანგარიშის პროექტი, ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური, სეისმური კვლევებისა, ინფრასტრუქტურის ანგარიშები და ტოპოგრაფიული რუკები. ასევე, კონსულტანტმა განახორციელა საველე და გარკვეული ბურღვითი სამუშაოები, რის შემდეგაც წარმოადგინა გეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოტექნიკური ანგარიში. საანგარიშო პერიოდში, ენერგეტიკის სამინისტროში გაიმართა ჩოლენცო ოწერ ნგინეერინგ/შტუცკყ-სა და **ღ ინგენიერიე/ ღშ როგეტტი**-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ფართო განხილვა. განხილვაში მონაწილეობდნენ ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლები, მსოფლიო ბანკის და კონსულტანტების წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტთა პანელის წევრები და ადგილობრივი ექსპერტები. ჩოლენცო ოწერ ნგინეერინგ/შტუცკყ-ს მიერ პირველადი გეოლოგიური კვლევების დასრულების

შემდგომ ნათელი გახდა, რომ ნიადაგის დეტალური გამოკვლევისთვის საჭირო იყო დამატებითი გეოლოგიური კვლევების ჩატარება. მიმდინარეობდა აღნიშნული დამატებითი გეოლოგიური სამუშაოების მოცულობის შეფასება და ღირებულების განსაზღვრა. ყოველივე ამის შემდგომ დაიგეგმა არსებულ კონტრაქტში ცვლილების შეტანა და ზემოხსენებული დამატებითი კვლევების ჩატარება. ჩოლენცო ოწერ ნვინეერინგ/შტუცკჟ-ს აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის III ფაზაზე კერძოდ, ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ კვლევებზე. წარმოდგინა ჰიდრაულიკური კვლევების ანგარიში, საინჟინრო გაანგარიშები და ოპტიმიზაცია და კაშხლის ადგილმდებარეობის ტიპის და სიმაღლის შერჩევის მიმოხილვა.

ენგურჰესის აგრეგატების რეაბილიტაციის ფარგლებში №4 აგრეგატზე როტორის რეაბილიტაციის ყველა სამუშაო დასრულებულია. ასევე ჩატარდა სტატორის საბოლოო ტესტები და დასრულდა საკისრების შემადგენელი ნაწილების რეაბილიტაცია. 2009 წლის 10 აგვისტოდან №4 გენერატორი ჩართულია საქართველოს ენერგო სისტემაში სხვადასხვა ტვირთებზე მუშაობის რეჟიმში. 2009 წლის სექტემბერ-დეკემბერში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: გამართვითი სამუშაოების დროს წარმოქმნილი დეფექტების აღმოფხვრა; ვენტილაციის გაუმჯობესების მიზნით დამონტაჟდა ჰაერ გამყოფი ფარები სტატორის მთავარ გამოძევანებზე „ფოიტი“-ის სუპერვაიზერების მიერ და მოწოდებულ იქნა აგრეგატების სათადარიგო ნაწილები.

### **„ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი**

გაზსადენის მეორე ფაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დასრულდა ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციის მეორე ფაზის სამშენებლო სამუშაოები, რომლებსაც აწარმოებდა ქართული ერთობლივი საწარმო „ნიუ ენერჯი-თბილისი-საქჰიდრო“. რეაბილიტაცია ჩაუტარდა გაზსადენის 9 მონაკვეთს.

გაზსადენის მესამე ფაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციის მესამე ფაზის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო მიწები და სხვა მოწყობილობები შემოტანილი იქნა საქართველოში „ემ-სი-ჯი“-ს კონტრაქტორი კომპანიის „ილ ანდ ას ჩონსტრუქტიონ თრუსტ“-ის მიერ; მოპოვებული იქნა საჭირო ნებართვები გაზსადენის რეაბილიტაციის

მესამე ფაზის განსახორციელებლად; დაიწყო სამშენებლო სამუშაოები გაზსადენის 7 მონაკვეთზე, რომლებსაც ახორციელებდა საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შერჩეული 4 სამშენებლო კონტრაქტორი. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია აწარმოებდა მშენებლობის ზედამხედველობის სამუშაოებს; აშშ-ის კომპანიამ „უსტავსონ სსოციატეს“ დაასრულა საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის შესწავლის პირველი ეტაპის სამუშაოები, რაც ითვალისწინებდა გაზსაცავის წინა-სამშენებლო შესწავლების ტექნიკური დავალებისა და საქართველოში გაზსაცავის პროექტის განვითარების დეტალური პროგრამის მომზადებას; საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ, გაზსადენზე მილების ე.წ. „შეჭრის“ ოპერაციების გასაუმჯობესებლად და მათი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად, საქართველოში შემოტანილი იქნა შესაბამისი მოწყობილობები.

საკონსულტაციო კომპონენტის ფარგლებში დასრულდა საერთაშორისო ტენდერი იმ საკონსულტაციო კომპანიის შესარჩევად, რომელმაც უნდა ჩაატაროს საქართველოში ნინოწმინდის საბადოზე გაზსაცავის განხორციელებისთვის საჭირო წინა-სამშენებლო შესწავლა და დაპროექტების სამუშაოები. გამარჯვებულ დანიურ საკონსულტაციო კომპანიასთან დაბოლოვდა ილ & ას /შ ხელი მოეწერა 3.36 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტს.

## განათლების სექტორი

დასრულდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დისტრიბუცია სკოლებში.

მასწავლებელთა საჭიროებების დასადგენად შემუშავდა კითხვარი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის;

შემუშავდა კითხვარი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, რომლის მიზანია დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა დამოკიდებულებებისა და შეხედულებების კვლევა სერთიფიკატის ტიპებთან და სერთიფიცირების პროცესთან დაკავშირებით.

მომზადდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში ცვლილებების და დამატებების პაკეტი და მასწავლებლის მომზადების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების პროექტი;

მომზადებულია ცვლილებების პაკეტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესატანად მასწავლებლის მომზადების პროგრამების ტიპების განსაზღვრისა და მასწავლებლის კვალიფიკაციის მექანიზმთან დაკავშირებით; ასევე, მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადებასთან დაკავშირებით;

დაიბეჭდა 15 000 ცალი ბროშურა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის შესახებ, რომელიც ჟურნალ „მასწავლებელთან“ ერთად გავრცელდება სკოლებსა და რესურს-ცენტრებში;

მომზადდა მასწავლებლის მომზადების რეგულირებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა/კონცეფცია, რომელსაც მომავალში დაეფუძნება მასწავლებლების საუნივერსიტეტო მომზადება;

დასრულდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ქართულის მასწავლებლების ცოდნის დონის კვლევა;

მომზადდა მასწავლებელთა და მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის წესების ნორმატიული დოკუმენტი;

დარედაქტირდა და დაკაბადონდა მასწავლებლის პროფესიული ეთიკის სახელმძღვანელო, მიმდინარეობდა სახელმძღვანელოს ბეჭდვა და დისტრიბუცია სკოლებში;

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი რუსულ ენაზე დაურიგდა რუსულ და რუსულ-ქართულ სკოლებს;

დაიბეჭდა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებსა და რესურსცენტრებში დარიგდა წიგნი „მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“ (წიგნი მომზადებულია ევროსაბჭოს მხარდაჭერით);

ითარგმნა, დარედაქტირდა და დუბლირებისათვის მომზადდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის დამხმარე ფილმი „კლასის მართვა“;

გამოვიდა ჟურნალ „მასწავლებლის“ 2009 წლის რიგითი ნომერი, რომელიც მიეწოდა როგორც საქართველოს ყველა რესურსცენტრსა და საჯარო სკოლას, ისე განათლებისა



და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებს, განათლების ფაკულტეტებს, პროფესიულ კავშირებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს;

დამტკიცდა მასწავლებელთა სერთიფიცირების დებულება და მასწავლებლის სერთიფიკატის ნიმუში;

შეიქმნა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტის სამუშაო ვერსია. მიმდინარეობდა სტანდარტის განხილვა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სპეციალურ მასწავლებლებთან;

ჩატარდა მონიტორინგი პროგრამაზე „ასწავლე საქართველოსთვის“; მენტორ-მაძიებლობის პროგრამაზე; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მასწავლებელთა ტრენინგების პროგრამაზე (ისტ).

ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩატარდა პრეზენტაცია ცენტრის საქმიანობისა და მაძიებლობის საპილოტე პროექტის შესახებ.

მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები სოფელ დიღმის, ტაძრისის, ჯუგაანის, გაგაზის, ვაზიანის და ჩხარის საჯარო სკოლებში, ხოლო ბორჯომის №3 სკოლაში სამუშაოები დასრულებულია.

## **ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები:**

კომუნალური ინფრასტრუქტურა

**ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის I ფაზის** ფარგლებში მიმდინარეობდა პროექტით განსაზღვრული სამუშაოები, მათ შორის სალიბაურის რეზერვუარის, მეჯინისწყლის სატუმბო სადგურის, ჩაისუბნის გამწმენდი ნაგებობის და წყალმომარაგება-კანალიზაციის მიწების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა; ჩაისუბნის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია; დასრულდა მეჯინისწყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია,

განხორციელდა ჩაქვის, ჩაისუბნის და მეჯინისწყლის მაგისტრალური მილების შემოწმება გაჟონვაზე და შეკეთება; მომზადდა კონტრაქტის ცვლილება ბარცხანის სატუმბო სადგურის მშენებლობაზე; ჩატარდა ტენდერები სხვადასხვა მასალების შესყიდვისა და სამუშაოების განსახორციელებლად და სხვა. მიმდინარეობდა: დახმარების გაწევა და სწავლება პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს სამუშაო ჯგუფისათვის, „ბათუმის წყალი“-ს მენეჯმენტისათვის და ასევე საექსპლოატაციო განყოფილების პერსონალისათვის; „ბათუმის წყალი“-ს მენეჯმენტს გაეწია დახმარება ტარიფის განაცხადის მომზადებაში; გარემოს დაცვის ლაბორატორიის პერსონალის სწავლება; მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის დამუშავება/დარეგულირება, ანგარიშების სერვისის შექმნა და მისი დაკავშირება საინფორმაციო სისტემების განყოფილებასთან მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ანგარიშების მომზადებისათვის; ონლაინ ანგარიშგების საშუალებების შემუშავება, რაც საშუალებას იძლევა დარიცხვის და გადახდის მონიტორინგს რეალურ დროში; გრძელდებოდა ინდივიდუალური აღრიცხვის პროექტების განხორციელება და ბათუმის წყალის მიერ განსახორციელებელი სახლთა მიერთებების კონცეფციის მომზადება. პროექტის II ფაზის ფარგლებში დასრულდა: აჭარის სანაპირო ზოლის კანალიზაციის პროექტის მომზადება; ბათუმის საქალაქო ქსელის I ეტაპის პილარული მოდელის განახლებული ვარიანტის მომზადება (ახალი ტოპოგრაფია, ახალი სახლის მიერთებები და მეორადი აწვევის ტუმბოები და მისთ.); ქ. ბათუმის კანალიზაციის სისტემის ადგილის გამწმენდი ნაგებობის პროექტის დამუშავება.

### **ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი**

საანგარიშო პერიოდში დასრულდა: ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე ხევების რეგულირება და მაგისტრალური არხის წმენდა; ტაშისკარის მაგისტრალურ არხზე ბრეთისა და შაქმაქეთის დიუკერების რეაბილიტაცია; სიონის წყალსაცავის II ფაზის რეაბილიტაცია თიანეთის რაიონში. სადრენაჟო სისტემების შეტბორვისა და დატბორვისაგან დაცვის ღონისძიებები ცივი-ტეხურის, ტეხური-ნოღელას და ნოღელა-ცხენისწყლის მასივებზე, სენაკის და აბაშის რაიონებში. აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია ზესტაფონის რაიონში.

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი) და მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკი)

საანგარიშო პერიოდში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის“ ფარგლებში 39 ქვეპროექტი იმყოფებოდა შესყიდვების სტადიაზე და აქედან 20 ქვეპროექტში ჩატარდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია. 5 ქვეპროექტი დასრულდა. შესაბამისი სამუშაოები დაიწყო კონტრაქტების გაფორმებისთანავე.

საანგარიშო პერიოდში აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის“ ფარგლებში 12 ქვეპროექტში გამოვლინდა სამშენებლო ტენდერებში გამარჯვებული ორგანიზაციები. დაახლოებით 40-მდე პროექტი იმყოფებოდა შესყიდვების სტადიაში. პროექტის ფარგლებში, არაკრედიტუნარიან მუნიციპალიტეტებში, წყალსადენის რეაბილიტაციის და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის მიზნით, 38 ობიექტზე მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, დასრულდა 9, ხოლო შესყიდვების ეტაპზეა 3 ქვეპროექტი.

### რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი ( ჩ )

ფოთის „მუნიციპალური“ წყალმომარაგების პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა 7250 ერთეული 15 მმ-იანი დიამეტრის მრიცხველი და 401 ერთეული 25 მმ-იანი დიამეტრის მრიცხველი.

ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციაზე ახალგაზრდობისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე. ხოლო გრძელდებოდა ქუთაისის 28 ქუჩაზე. დასრულდა ტენდერი წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე ავტოქარხნის ტერიტორიაზე.

ქობულეთის მუნიციპალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გრძელდება სამუშაოები პროექტის პირველ ეტაპზე, რაც წყლის რეზერვუარების და მაგისტრალური მილმდენის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. დასრულდა საქლორატოროს მშენებლობა, ძველი რეზერვუარების დემონტაჟი, მოწყობილია რეზერვუარების სადრენაჟების 90%.

ბაკურიანის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის ფარგლებში გრძელდებოდა სამშენებლო სამუშაოები რეზერვუარების მშენებლობასა და წყალმომარაგების/კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაციაზე.

ბორჯომის მუნიციპალური წყალმომარაგების და კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაიწყო სამუშაოები პირველ (რეზერვუარები და მაგისტრალური მილი) და მეორე (წყლის და კანალიზაციის ქსელები) ეტაპებზე, ხოლო დასრულდა ტენდერი სამუშაოების მესამე ეტაპზე (მილსადენი სათავესა და რეზერვუარებს შორის, საქაჩები).

ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის სამშენებლო პროექტის მოსამზადებლად ჩატარდა ტენდერი ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის პროექტირების სამუშაოებზე, მიმდინარეობდა კონტრაქტზე მოლაპაკების პროცესი. კონტრაქტორის მიერ გრძელდება საპროექტო სამუშაოები.

## გზების რეაბილიტაცია

გრძელდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I პროექტის ფარგლებში აღიანი-იგოეთის მონაკვეთზე განხორციელდა გზის კეთილმოწყობის სამუშაოები. დასრულდა ახალი გზის მონაკვეთის მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია.

გაფორმდა კონტრაქტი რიკოთის გვირაბის შემოვლითი გზის რეაბილიტაციისათვის.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II პროექტის ფარგლებში იგოეთი სვენეთის 24 კილომეტრიან მონაკვეთზე (მარჯვენა მიმართულება) დასრულდა

სამშენებლო სამუშაოები და თბილისი-სენაკის მიმართულებით მოძრაობა გახსნილია სრულად. სენაკი-თბილისის მიმართულებით (მარცხენა მიმართულება) მოძრაობა გახსნილია 22 კმ იან მონაკვეთზე.

**აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III პროექტის ფარგლებში სვენეთი – რუისის მონაკვეთის (მე-80 – 95-ე კილომეტრზე) მშენებლობაზე გაფორმდა 3 კონტრაქტი.**

სვენეთი – მდინარე ლიახვის მონაკვეთისათვის და მდინარე ლიახვის ხიდის კონტრაქტებისათვის მიმდინარეობდა მიწა-ყრილების, რკინა-ბეტონის და ხელოვნური ნაგებობების (წყალგამტარი მილები, საველე გასასვლელების) მოწყობის სამუშაოები.

ლიახვის ხიდი – რუისის მონაკვეთზე შესრულდა მიწის სამუშაოები გვირაბის პორტალებთან.

გაფორმებულია კონტრაქტი დროებით საზედამხედველო სამუშაოებისათვის და მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები ძირითადი საზედამხედველო კომპანიის შესარჩევად.

**ვაზიანი-გომბორი-თელავის პროექტის ფარგლებში გაფორმებულია კონტრაქტი ვაზიანი-გომბორი-თელავის პირველ მონაკვეთზე (კმ0-კმ27). მიმდინარეობდა მიწის, ხელოვნური ნაგებობებისა და საფუძვლის მოწყობის სამუშაოები.**

მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები მეორე მონაკვეთისათვის (კმ27-კმ54) და საკონტრაქტო მოლაპარაკებები საზედამხედველო კომპანიასთან.

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი**–ს დამატებითი დაფინანსების ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა 26 საგზაო მონაკვეთზე, საიდანაც რეაბილიტირებულია 209 კმ გზა.

აზიის განვითარების ბანკის ( ) - აჭარის შემოვლითი გზების გაუმჯობესების პროექტი – მიმდინარეობდა საკონტრაქტო მოლაპარაკებები საპროექტო კომპანიასთან.

**ქიჩ** – იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო.

მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები კომპანიის შესარჩევად ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთისათვის საზედამხედველო და საპროექტო სამუშაოების განსახორციელებლად.

### **სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი (ათასწლეულის გამოწვევა საქართველო)**

გამოცხადდა ტენდერი დამატებით მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად. დაიწყო ხრემის ფენისათვის საჭირო მასალის წარმოება და ასევე შეძენა მარნეულში არსებული სამტკვევიდან. სოფელ ფარცხისში დასრულდა ჯორჯიაშვილის სარწყავი წყლის მილის გადატანითი სამუშაოები.

განახლდა სამუშაოები თელეთი-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საგზაო მონაკვეთზე. სულდა-კარწახი-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე განხორციელდა არსებული ასფალტის ფრეზირება, ზედმეტი მყარი გრუნტის მოჭრა, ყრილის მასალის მოწყობა - დატკეპნა და ყინვაგამძლე მასალის ფენის მოწყობა.

თბილისის აეროპორტის რადარით აღჭურვის პროექტის ფარგლებში დასრულდა რადიოლოკაციური სადგურის ყველა სამონტაჟო სამუშაო.

### **ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტი ( ღ )**

მიმდინარეობდა მუშაობა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პარკის განახლების პროექტზე. პროექტის მომზადებისათვის ხელშეკრულება დაიდო შპს „საქპროექტ არქიტექტურა“-სთან. პროექტის ფარგლებში გამარჯვებულად გამოცხადდა კომპანია „ჰუნდაი ავტო საქართველო“, სავარაუდოდ იგეგმება 76 საშუალო ზომის ავტობუსის შეძენა.

შპს „ჯი-თი გრუპი“-საგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები სრულად იქნა მიღებული შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პარკის ტექნიკური მომსახურების ბაზის განახლებისათვის. გაფორმდა ხელშეკრულება ქ. ბათუმის მერიასა და კომპანია „შპს I თ ღ თI“-ს შორის. კომპანიამ დაიწყო მუშაობა საქალაქო მარშრუტების შემუშავებაზე.

გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტსა“ და კომპანია „ჩ XXთI“-ს შორის, შპს-ის განვითარების პროექტზე.

### **გარემოს დაცვის სფერო:**

პროექტის „ბუნების დაცვის პროგრამა სამხრეთ კავკასია – საქართველო – ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში (ჭ)“ ფარგლებში შეირჩა პროექტის განმახორციელებელის ოფისი ახალქალაქში; შეთანხმდა 2009 წლის პრიორიტეტულ ღონისძიებებზე დასაგეგმი ტერიტორიის საზღვრების გამიჯვნა; დასრულდა საველე სამუშაოები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა პირველადი რუკები ეროვნული პარკისა და დამხმარე ზონისათვის. შეიქმნა დაგეგმილი ტერიტორიის არსებული მიწების ახალი, განახლებული რუკა.

“ხარავაულის სათემო ტყის საცდელი პროექტი“-ს ფარგლებში ჩატარდა ტენდერი ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებისათვის კონტრაქტორის დასაქირავებლად; ფჭ-ს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის შეთანხმდა პროექტის სადისპოზიციო თანხების ხარჯვის განახლებული გრაფიკი წლების და კვარტლების მიხედვით; სამინისტროს მიერ ოფიციალურად შეიქმნა პროექტის ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფი.

## **შ ლშ –ის საქართველოს კონტროლის პალატის კომპონენტი**

საანგარიშო პერიოდში განახლდა შ ლშ –ის კონტროლის პალატის კომპონენტით გათვალისწინებული კორპორატიული სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა 2009-2011 წლების სტრატეგიული მიმართულებები, ამის შესაბამისად ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მოხდა საერთო დანიშნულების სარევიზიო დეპარტამენტების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად ფუნქციონალურ-დარგობრივად დაყოფილი აუდიტის დეპარტამენტების ჩამოყალიბება. შეიქმნა შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც შეაფასებს პალატის ყველა ერთეულის საქმიანობას. შიდა აუდიტის დეპარტამენტის გარდა, შეიქმნა ექსპერტიზის სამსახური, რომელიც ყველა აუდიტორულ დეპარტამენტს აღმოუჩენს დახმარებას აუდიტის განხორციელების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში საფუძველი ჩაეყარა, აუდიტის მეთოდოლოგიის შესამუშავებლად და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და იმპლემენტაციის მიზნით, სამწლიან თანამშრომლობას შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისსა და საქართველოს კონტროლის პალატას შორის წარმართება მის საფუძველზე.

კონტროლის პალატის მიერ, მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, შეძენილ იქნა სათანადო აღჭურვილობა აუდიტორთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

## **შ ლშ –ის ხაზინის კომპონენტი**

საანგარიშო პერიოდში სახაზინო სამსახური მუშაობდა საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (I შ შ) დანერგვის სამოქმედო გეგმაზე. „სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის“ ( შ) ფარგლებში ჩამოყალიბდა კონცეპტუალური მოდელი და ფუნქციონალური და ტექნიკური აღწერილობა.

## **შ ლშ –ის ადამიანური რესურსების მართვის კომპონენტი**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო განათლების კანადის ბიუროს (ჩ I ) შორის დაიდო ინტელექტუალური მომსახურების



შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, ასევე კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ადამიანური რესურსების მართვის არსებული სისტემისა და პროცესების ანალიზი, სამუშაო გეგმის შექმნა, სამუშაო პროცესში პოტენციური პრობლემების და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა ცენტრალურ აპარატში, სახაზინო სამსახურსა და გენერალურ ინსპექციაში განახორციელა ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი, რის საფუძველზეც მომზადდა 2009 წლის მე-4 კვარტლისა და 2010 წლის სასწავლო საპროგნოზო გეგმები.

სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტების მიერ ერთობლივად შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პროგრამაში დასრულდა ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება.

## **შ ღშ –ის საბიუჯეტო კომპონენტი**

საბიუჯეტო კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაიბეჭდა შემდეგი დაიჯესტები: 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები; 2009 წლის სახელმწიფო და ქ. თბილისის ბიუჯეტები, 2009 წლის სახელმწიფო და ქ. თბილისის ბიუჯეტების 9 თვის შერულების ანგარიშები და 2010 წლის სახელმწიფო და ქ. თბილისის ბიუჯეტების პროექტები;

კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ პროექტის შექმნაზე. აღნიშნული პროექტის მიხედვით განხორციელდა საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაერთიანება და სრულყოფა, ასევე ერთიან საბიუჯეტო სისტემაში მოექცა სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ავტონომიური რეპუბლიკების ბიუჯეტები. აღნიშნული კოდექსით საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა დოკუმენტსა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს შორის ურთიერთკავშირისა და წლიურ საბიუჯეტო კანონში პროგრამული ბიუჯეტის ჩართვის საკითხები.

მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირების მოდელის გაუმჯობესების მიზნით ფინანსთა სამინისტროს მიერ შერჩეული იქნა საკონსულტაციო ფირმა – “**თ შ ჩონსულტინგ**”. მეორე ეტაპზე არადადამაკმაყოფილებელი მოდელის წარმოდგენის გამო, ფინანსთა სამინისტრომ შეწყვიტა კონტრაქტი აღნიშნულ საკონსულტაციო ფირმასთან.

**იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება:**

პროექტის „**იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში**“ ფარგლებში ჩატარდა ტექნიკური და სოციოლოგიური კვლევა წინასწარ შერჩეულ 9 ობიექტზე.

სენაკის რაიონში სარეაბილიტაციოდ განსაზღვრული ობიექტების აღმოჩენილი გადაფარვის გამო (შერჩეულ ობიექტებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო სხვა ორგანიზაციებმა) სენაკის 3 ობიექტი ამოვარდა სარეაბილიტაციო ობიექტების სიიდან და მათ ნაცვლად შერჩეული იქნა და ტექნიკური და სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ფოთში ყოფილი სასტუმრო „აიეტის“ შენობას.

გაფორმდა ხელშეკრულებები შპს „ოპიზართან“ 7 ობიექტის რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადებაზე.

შენობების ვიზუალური დათვალიერების, საერთო ფართისა და იქ მაცხოვრებელ დევნილთა დემოგრაფიული მონაცემების საფუძველზე განხორციელდა ქუთაისის 3 ობიექტის წინასწარი შეფასება, რომელიც გაგზავნილი იქნა ფჭ-ში ტექნიკური და სოციოლოგიური კვლევისათვის, შემდგომი დეტალური პროექტის მომზადებისათვის და რეაბილიტაციისათვის შესარჩევად. ფჭ-ს მისიამ საქართველოში ვიზიტის დროს მონახულა და თანხმობა გამოთქვა, რომ აღნიშნულ 3 ობიექტზე ჩატარდეს დეტალური შეფასება და სოციოლოგიური კვლევა.

დასრულდა რეაბილიტაციის დეტალური პროექტების მომზადება ფოთის ობიექტის, ზუგდიდის 1 ობიექტის, წყალტუბოს 1 ობიექტის და ქუთაისის 2 ობიექტისათვის.

ფოთში, წყალტუბოს 1 ობიექტში და ქუთაისის 2 ობიექტში მცხოვრებ დევნილებისათვის გაიმართა (ყველა ობიექტზე ცალ-ცალკე) პროექტისა და რეაბილიტაციის შემდეგ ოჯახების ბინებში განაწილების პრეზენტაცია. დევნილთა სიებში აღმოჩენილი სადაო/საპრეტენზიო საკითხების დაზუსტება. დევნილთა სიების დაზუსტების

შემდეგ მოხდება ოჯახების განლაგების კორექტირება და დევნილთათვის პროექტის ხელახალი წარდგენა. მას შემდეგ რაც ჩატარდება დევნილთათვის პროექტის საბოლოო პრეზენტაცია და მოხდება რეაბილიტაციის პერიოდში დევნილთათვის ალტერნატიული დროებითი საცხოვრებლის განსაზღვრა, გამოცხადდება ტენდერი დაპროექტებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოებზე.

დასრულდა პროექტის *“იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სახლების მშენებლობა გორში ( თძ) ”* ფარგლებში 2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთს შორის საომარი კონფლიქტის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი 1200 პირისათვის გორში 300 ქვის (ბლოკის) სახლის მშენებლობა. აღნიშნული სახლებისათვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განაცხადის შესაბამისად შესყიდული იქნა პირველადი მოხმარების საგნები.